ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

Akhali Taoba

„ახალი თაობა"
+
მარკო პოლო
8 ლარი




სამშაბათი, 15 ნოემბერი, 2011 №271 (5651) ფასი: 30 თეთრი

## ნაციონალები უკვე საარჩევნო სიებს ადგენენ გვ.6



## ივანიშვილმა სააკაშვილის მეუღლეს ოცნება აუსრულა

გვ. 2

რას ყიდის ბიზნესმენი მოსკოვში



გვ. 2

## ალასანია რეფერენდუმს ითხოვს

## „ქართუდან" 45 მილიონი გაიტანეს გვ.3

ბანკი პოლიტიკური ანგარიშსწორების შეწყვეტას ითხოვს



გვ.3

## პრეზიდენტის გამოსავლენად ცხინვალში მეორე ტური ჩატარდება

ოსური ოპოზიცია გამარჯვებას წინასწარ ზეიმობს

გვ.4



## ბათუმის მთავრობამ კვერცხებზე „შლოპანცი" შემოასკუპა, გიგი უგულავამ კი — „კედები"

კრუხი „შლოპანცი" პატარ-პატარა ტურისტებს გამოჩეკავს?



## საქართველოში ეკონომიკური ფორუმი გაიმართება

გვ.7



გვ.4

## გიორგი ცაგარეიშვილი: „ამ ბიუჯეტს ვერაფერი გავუგე"

## რატომ არ უმართლებთ ლეიბორისტებს

გვ.7



## მთავრობის 10-პუნქტიან გეგმაზე პარლამენტში პოლიტიკური დებატები გაიმართება გვ.3

ISSN 1987-9385

**2** 24 ნოემბრისთვის პარლამენტში სამთავრობო საათის გამართვა იგეგმება

**6** 2011 წლის სახელმწიფო ბიუჯეტი 213 მილიონი ლარით იზრდება

**3** ჯავახიშვილის ქუჩაზე გაზის ბალონს ცეცხლი გაუჩნდა

**6** რასმუსენი ველოსიპედიდან გადავარდა და ხელი მოიტეხა

# ივანიშვილმა სააკაშვილის მეუღლეს ოცნება აუსრულა

## რას ყიდის ბიზნესმენი მოსკოვში

შალვა ჯოხაძე

„საზოგადოებას რომ ეგონა, მთავრობას სოროსი აფინანსებდა, სინამდვილეში, იმ თანხას, ძირითადად, მე ვიხდიდი“, — ბიძინა ივანიშვილის ეს ფრაზა რომ მართალია, დღითიდღე უფრო მეტად ვრწმუნდებით. ივანიშვილის მიერ საქართველოში ქველმოქმედებაზე დახარჯული თანხების შესახებ ვნებათაღელვა არ წყდება. მილიარდერი საკუთარი ქველმოქმედების მასშტაბებზე საუბრისაგან ყოველთვის თავს იკავებდა, ახლა კი, პერიოდულად, ხელთ ახალ-ახალი ინფორმაცია გვივარდება, თუ რამდენი ფული აქვს გაღებული მეცენატ ბიზნესმენს. ამ საკითხზე საინტერესო ცნობები მოიპოვა „ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტმა“.


ბიძინა ივანიშვილი

– 18 ოქტომბერს „ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტმა“ ფინანსთა სამინისტროდან საქართველოს მიერ მიღებული გრანტების, ჰუმანიტარული და ტექნიკური დახმარების, სახელმწიფო სექტორში განხორციელებული ინვესტიციების აღრიცხვის 2008-2011 წლის საჯარო რეესტრები გამოითხოვა. 4 ნოემბერს, ფინანსთა სამინისტრომ ჩვენ მიერ მოთხოვნილი გრანტებისა და ჰუმანიტარული დახმარების საჯარო რეესტრები მოგვაწოდა...

მიღებული ერთიანი რეესტრებიდან ამოვიღეთ ის ინფორმაცია, რომელიც ეხებოდა იმ საქონელს, რომელსაც ფინანსთა სამინისტრომ მიანიჭა გრანტის სტატუსი და რომელიც დონორმა, ამ შემთხვევაში ფონდმა „ქართუმ“, მიაწოდა საქართველოში მოქმედ გრანტის მიმღებებს.

გვინდა აღვნიშნოთ, რომ 2011 წლის გრანტების რეესტრში, 2008-2010 წლების რეესტრისგან განსხვავებით, მითითებული იყო აგრეთვე იმ პროექტების სახელშეკრულებო ღირებულება, რომლის ფარგლებშიც ფონდი „ქართუ“ 2011 წელს გრანტების გაცემას ახორციელებდა. მაგალითად, რეესტრში აღნიშნული იყო, რომ პროექტ „რაგბის სტადიონების მშენებლობის“ ხელშეკრულების დადების თარიღი იყო 2011 წლის 10 იანვარი, ხელშეკრულების დასრულების თარიღი 2011 წლის 31 იანვარი, ხოლო მისი ღირებულება 12 710 000 ლარი. პროექტ „ნატანების საკონცერტო დარბაზის მშენებლობის“ სახელშეკრულებო ღირებულებამ 26 400 000 ლარი შეადგინა, ხოლო პროექტ „თსუ-ს I კორპუსის რემონტისა“ 5 100 000 ლარი და ა.შ..

საერთო ჯამში, 2011 წელს განსახორციელებელი ან დასასრულებელი პროექტების (სულ 30 პროექტი) საერთო სახელშეკრულებო ღირებულებამ შეადგინა 115 488 911 ლარი, – აღნიშნავენ „ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტში“ და დასძენენ, რომ არ იღებენ პასუხისმგებლობას რეესტრებში არსებული მონაცემების სისწორეზე, მხოლოდ ეყრდნობიან ფინანსთა სამინისტროს მიერ მიწოდებული საჯარო რეესტრის ელექტრონული ვერსიის მონაცემებს.

ამ მონაცემების გარდა, ირკვევა, რომ ივანიშვილს სხვადასხვა მიმართულებით ქველმოქმედებაზე საქართველოში მილიარდ დოლარზე მეტი აქვს დახარჯული. მათ შორის სიკვდილის პირას მისული ქართული ხელოვნების მხარდაჭერის არაერთი პროექტი იყო. „ქართუმ“ ჯერ 456 342 ლარი, შემდეგ კი 644 952 ლარი „კლასიკური მუსიკის ხელშეწყობის ასოციაციას“ გადაურიცხა. გავრცელებული ინფორმაციით, ორივე შემთხვევაში, თანხა რადიო „მუზის“ ფუნქციონირებისთვის ჩაირიცხა.

ცნობისათვის, რადიო „მუზა“ პირველი ლედის, სანდრა ელისაბედ რულოვსის ინიციატივით დაფუძნდა. თურმე, ასეთი რადიოს შექმნა რულოვსის დიდი ხნის ოცნება იყო, რომელიც, გამოდის, ივანიშვილმა აუსრულა. სხვათა შორის, „კლასიკური მუსიკის ხელშეწყობის ასოციაციას“ თავად სანდრა ელისაბედ რულოვსი ხელმძღვანელობს.

ასოციაციის გამგეობის წევრია საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის, გრიგოლ ვაშაძის მეუღლე ნინო ანანიაშვილი.

ნინო ანანიაშვილს ცალკე ფონდი თავადაც ჰქონია, რომლის დამფინანსებელთა შორისაც მთავარი ბიძინა ივანიშვილია.

ივანიშვილი ფულს სწირავდა ფალიაშვილის ოპერისა და ბალეტის თეატრსაც, სადაც ანანიაშვილი ბალეტის სამხატვრო ხელმძღვანელის თანამდებობაზე მუშაობს. ამ თეატრის თანამშრომელთა სოციალური დახმარებისთვის ერთ წელს 625 400 ლარი გადაირიცხა, მომდევნო წელს – 623 400 ლარი. თეატრის შენობის რეაბილიტაციისთვის კი ივანიშვილმა 2 337 600 ლარი გაიღო.

აღსანიშნავია, რომ ივანიშვილის ხელგაშლილი ქველმოქმედება მხოლოდ საქართველოზე არ ვრცელდება. როგორც ჩვენთვის გახდა ცნობილი, ის რუსეთშიც საკმაოდ დიდ თანხას ხარჯავს ამ მიმართულებით. ივანიშვილის ბანკ „როსიისკი კრედიტის“ წარმომადგენლები თავიანთი ქველმოქმედებით ამაყობენ, რაც მფლობელის დამსახურებაა. ბიძინა ივანიშვილი კიდევ ოთხ ადამიანთან ერთად ამ ბანკის დირექტორთა საბჭოში შედის. სხვათა შორის, საბჭოში კიდევ ერთი ქართველი, შმაგი კობახიძეა. ბანკის წარმომადგენლები აცხადებენ, რომ სულიერსა და კულტურულ ღირებულებებზე გამუდმებით ზრუნავენ, ეხმარებიან მრავალ ადამიანს, ვინც დახმარებას საჭიროებს. 1990 წლიდან მოყოლებული, აფინანსებენ არქიტექტურული ძეგლების აღდგენას, ეხმარებიან ბავშვთა ფონდებსა და ორგანიზაციებს (განსაკუთრებული ზრუნვის საგანს შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვები წარმოადგენენ), მეორე მსოფლიო ომის ვეტერანთა კომიტეტს, საგანმანათლებლო ობიექტებს, ბიბლიოთეკებს, ეკლესიას, ფულს რიცხავენ ჯანმრთელობისა და სპორტის პროგრამებში, დიდი ხნის განმავლობაში ეხმარებოდნენ რუსეთის დიდ თეატრს, ჩეხოვის სახელობის თეატრს, ერმიტაჟს, სპონსორობა გაუწიეს მოსკოვის საოპერო ფესტივალს და ა.შ.

ბანკი ერთადერთი ბიზნესი არ არის, რომელიც ბიძინა ივანიშვილს რუსეთში აქვს. იქ უკვე დაიწყეს საუბარი ივანიშვილის განცხადებაზე, რომლის თანახმადაც, მილიარდერმა ამ ქვეყანაში არსებული საკუთარი ბიზნესები უნდა გაყიდოს. რუსეთში დადის ხმები, რომ ივანიშვილი აპირებს, ეს ყველაფერი 2 მილიარდ დოლარად დათმოს, რომ ის მზადაა, რუსული ბიზნესები მსურველებს სერიოზული ფასდაკლებით დაუთმოს. არადა, ექსპერტების განცხადებით, ივანიშვილის მხოლოდ დეველოპერული აქტივები შეადგენს 5,5 მილირად დოლარს. ეს მართლაც უზარმაზარი ქონებაა, რაც ივანიშვილმა საკუთარი ალღოთი მოიპოვა. ბიძინა ივანიშვილის წარმატებას იმით ხსნიან, რომ მას დივერსიფიცირებული ბიზნესი აქვს. რუსეთში ის წარმოდგენილია როგორც დეველოპერულ კომპანიებში („უნიკორი“), ისე ფინანსებში (ბანკი „როსიისკი კრედიტი“), კოლექტიური ინვესტიციების მართვაში („ინტერფინ კაპიტალი“ და „ინტერფინ ტრეიდი“), სოფლის მეურნეობაში („სტოილენსკის ნივა“), ფარმაციაში („ერკაფარმი“, რომელიც მართავს აფთიაქების ქსელ „დოქტორ სტოლეტოვს“).

იმის მიუხედავად, რომ მილიარდერი კატეგორიულად აცხადებს, ბიზნესებს ლიკვიდაციის რეჟიმში ვყიდიო, ექსპერტები დასძენენ, რომ ქონებას ის მაინც ეტაპობრივად გაასხვისებს. ამის შესახებ „უნიკორთან“ დაახლოებული ერთ-ერთი წყაროც საუბრობს.

ექსპერტების შეფასებით, ივანიშვილის ბიზნესების შეძენის მსურველებმა განსაკუთრებული ინტერესი „დოქტორ სტოლეტოვთან“ დაკავშირებით შეიძლება გამოავლინონ, რომელსაც რუსეთის 11 რეგიონში (მათ შორის, მოსკოვშიც) 422 სავაჭრო წერტილი აქვს. კომპანია „ედვილის“ აღმასრულებელმა დირექტორმა, რუსტამ თოფჩიევმა ჟურნალისტებს განუცხადა, რომ „ერკაფარმი“ „დოქტორ სტოლეტოვს“ ჯერ არ გაყიდის, რადგანაც აქეთ იძენს დამატებით აფთიაქებს. თუმცა, ეს ყველაფერი, შესაძლოა, ამ კომპანიის პოზიციების გამყარებას უკავშირდებოდეს, რათა ის მყიდველისათვის კიდევ უფრო მეტად მიმზიდველი გახდეს.

ბიძინა ივანიშვილის რუსულ კოლექციაში ყველაზე ძვირადღირებული აქტივი მისი დეველოპერული ბიზნესია. „უნიკორი“ ამჟამად კომერციული და საცხოვრებელი მშენებლობის 7 პროექტს ახორციელებს, სულ 1 მილიონ კვადრატულ მეტრს აშენებს. კომპანია აშენებს ელიტურ მიკრორაიონს 450 ათას კვადრატულ მეტრზე, რომელსაც „სადოვიე კვარტალი“ ჰქვია. ის კაუჩუკის ყოფილი ქარხნის ტერიტორიაზე შენდება. უკვე სრულდება მრავალფუნქციური კომპლექსი „სამიტი“ (64 ათასი კვადრატული მეტრი), რომელიც საბჭოთა სასტუმრო „მინსკის“ ადგილას მოსკოვის ერთ-ერთ პრესტიჟულ უბანში აიგო. იქვე ახდენს სასტუმრო „ცენტრალნაიას“ რეკონსტრუქციას (18,311 ათასი კვადრატული მეტრი).

ექსპერტების შეფასებით, მხოლოდ „უნიკორის“ ქონება შეიძლება გაიყიდოს 2 მილიარდ დოლარზე მეტად, რადგანაც ამ მშენებლობების 1 კვ. მეტრი 5-8 ათას დოლარად გაიყიდება. თავად „უნიკორში“ ამბობენ, რომ ჯერ არაფრის გაყიდვა არ დაუწყიათ, თუმცა, კულუარებში გავრცელდა ინფორმაცია, რომ „სამიტის“ გაყიდვასთან დაკავშირებით მოლაპარაკებები უკვე დაწყებულია. „სამიტის“ ობიექტი ხუთვარსკვლავიანი სასტუმრო „ინტერკონტინენტალი-მოსკოვი-ტვერსკაია“ მალე უნდა გაიხსნას კიდეც. ამბობენ, რომ ერთ-ერთი ინვესტორი „სამიტში“ 550 მილიონ დოლარს იხდის.

# ალასანია რეფერენდუმს ითხოვს

ნათია ხურცილავა

**თავისუფალი დემოკრატების ლიდერი ირაკლი ალასანია აცხადებს, რომ კონსტიტუციაში შესატანი ცვლილება, დეპუტატთა რაოდენობის გაზრდის შესახებ აუცილებლად რეფერენდუმზე უნდა დადგეს.**

როგორც ცნობილია, პარლამენტის დეპუტატთა რაოდენობის შემცირება რეფერენდუში მონაწილეობის გზით მიიღი საქართველოს მოქალაქეებმა.

ახალ კონსტიტუციაში კი ჩაიწერა, რომ პარლამენტართა რიცხვი 40 დეპუტატით უნდა გაიზარდოს.

თავისუფალი დემოკრატების ლიდერმა ირაკლი ალასანიამ პარლამენტის შენობის წინ გააპროტესტა დპუტატთა რაოდენობის შესახებ მიღებული გადაწყვეტილება და აღნიშნა, რომ ეს საკითხი ხელისუფლებამ რეფერენდუმზე უნდა გაიტანოს.

ალასანიას განცხადებით, ეს არის მიხეილ სააკაშვილის ერთპიროვნული გადაწყვეტილება, რომელიც საქართველოს მოსახლეობას არ სჭირდება.

– ეს არის გადაწყვეტილება, რომელიც კიდევ 40 დეპუტატით გაზრდის იმ პარლამენტარების რიცხვს, რომელთა სახელებიც ამომრჩევლებმა საკუთარ რაიონებშიც არ იციან, – განაცხადა ირაკლი ალასანიამ.


ირაკლი ალასანია

თავისუფალი საქართველოს ლიდერი აცხადებს, რომ ეს არის ქართველი ხალხის მიერ 2003 წელს გამოხატული ნების საწინააღმდეგო, როცა რეფერენდუმის შედეგად მხარი დაუჭირეს დეპუტატთა რაოდენობის 150 კაცამდე შემცირებას.

ირაკლი ალასანია აღნიშნავს, რომ მხოლოდ დეპუტატთა რაოდენობის გაზრდით აპირებს მიხეილ სააკაშვილი სამუშაო ადგილების შექმნას, რომელიც ქვეყნის ბიუჯეტს ათეულობით მილიონი ლარი დაუჯდება.

ალასანიამ სამწუხარო უწოდა იმ ფაქტს, რომ ამ გადაწყვეტილებას მხარი დაუჭირა არა მხოლოდ ნაციონალურმა მოძრაობამ, არამედ ოპოზიციონერმა დეპუტატებმაც. ამ გადაწყვეტილებით ალასანიას განცხადებით ნათელი გახდა, რომ ეს არ იყო მოთხოვნა ქათველი ოპოზიციის.

დეპუტატთა რაოდენობის გაზრდის თაობაზე საკონსტიტუციო ცვლილებების ინიცირება პარლამენტში გასულ კვირას განხორციელდა.

კონსტიტუციაში შესატანი ცვლილების თანახმად, პარლამენტის წევრთა რაოდენობა 150-დან 190 დეპუტატამდე იზრდება.

საქართველოს პარლამენტართა რაოდენობა 235 დეპუტატიდან სწორედ რეფერენდუმის გზით 150 დეპუტატამდე შემცირდა, მაგრამ უკვე ხელისუფლებამ, როგორც ალასანია აცხადებს, პრეზიდენტმა სააკაშვილმა მიიღო გადაწყვეტილება, რომ 190 დეპუტატამდე გაზარდოს, რასაც ალასანია პოლიტიკური გადაწყვეტილებით ხსნის.

# 24 ნოემბრისთვის პარლამენტში სამთავრობო საათის გამართვა იგეგმება

24 ნოემბერს პარლამენტში სამთავრობო საათი გაიმართება. შესაბამისი ინიციატივა „ქრისტიან-დემოკრატებს“ ეკუთვნის.

როგორც ბიუროს სხდომაზე ფრაქცია „ქრისტიან-დემოკრატების“ წევრმა ლევან ვეფხვაძემ განაცხადა, სამთავრობო საათზე შრომის, ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური დაცვის მინისტრი ანდრია ურუშაძე და ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების მინისტრი ალექსანდრე ხეთაგური არიან მიწვეულნი. მათ შესაბამისი კითხვები უკვე დაეგზავნათ.

როგორც ბიუროს სხდომის შემდეგ ლევან ვეფხვაძემ „მედიანიუსს“ განუცხადა, ჯანდაცვის მინისტრთან მთავარი შეკითხვა იმას შეეხება, თუ რა კეთდება უწყებაში ჯანდაცვის ხელმისაწვდომობისათვის.

შენდება ფეშენებელური საავადმყოფოები, მაგრამ ისინი მუზეუმებისგან არაფრით განსხვავდება, რადგან მოსახლეობისათვის ჯანდაცვა მაინც ხელმიუწვდომელი რჩება. ამაზე პასუხისმგებელი კი, უპირველესად, ჯანდაცვის მინისტრია.

„ქრისტიან-დემოკრატები“ იმითიც დაინტერესდებიან, თუ რატომ დაასრულეს სადაზღვევო კომპანიებმა მიმდინარე წლის პირველი 6 თვე ზარალით და რატომ არიან მათი საქმიანობით უკმაყოფილონი ექიმებიცა და პაციენტებიც.

რაც შეეხება ხეთაგურს, ვეფხვაძის განცხადებით, მასთან უპირველესი შეკითხვა გრანდიოზული ჰესების მშენებლობას შეეხება, რომელთა აშენებაზეც, თავის დროზე, თვით საბჭოთა ხელისუფლებამ თქვა უარი. კერძოდ, დეპუტატებს აინტერესებთ, რატომ „ვანგრევთ მათი აშენებით ეკოლოგიას“ – იმისათვის, რომ თურქეთში ელექტროენერგიის ექსპორტი განხორციელდეს, თუ იმისათვის, რომ მოხმარებული ელექტროენერგიის ტარიფი შემცირდეს. „ქრისტიან-დემოკრატებს“ მინისტრებთან კიდევ არაერთი შეკითხვა აქვთ.

პარლამენტის რეგლამენტის თანახმად, სამთავრობო საათის მოწვევა თვის ბოლო ხუთშაბათის სხდომაზე არის შესაძლებელი. 24 ნოემბერი კი სწორედ ნოემბრის ბოლო ხუთშაბათს ემთხვევა.

მედიანიუსი

ახალი თაობა
გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე

სარეკლამო სამსახური – 2-84-92-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე

დაკაბადონება – ინგა დვალიშვილი, ნონა კანდელაკი, მზია ქოქაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 2–94-06-91
ვებ-გვერდი www. atb.ge E-mail: axtaoba@mail.ru
რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

# პრეზიდენტის გამოსავლენად ცხინვალში მეორე ტური ჩატარდება

## ოსური ოპოზიცია გამარჯვებას წინასწარ ზეიმობს

**27 ნოემბერს ცხინვალში მორიგი არჩევნები იქნება. ამ დღეს საპრეზიდენტო არჩევნების მეორე ტური გაიმართება. 13 ნოემბრის ჩატარებულმა არჩევნებმა გამარჯვებული ვერ გამოავლინა.**

თეა მარხვაიძე

მეორე ტურში ანატოლი ბიბილოვი და ალა ჯიოევა გავიდნენ. ამ უკანასკნელს მხარს ძამბოლატ თედეევი და ანატოლი ბარანკევიჩი უჭერდნენ. ბიბილოვს კი კრემლი და კოკოითი.

თუმცა როგორც ბოროტო ხმები ნახევარში გახდა ცნობილი, რომ არჩევნებში ალა ჯიოევა ლიდერობდა. საღამოს კი ყველა მეორე ტურზე საუბრობდა. მეორე ტური 27 ნოემბერს არის დანიშნული.

წინაწარი მონაცემებით ჯიოევამ და ბიბილოვმა ხმათა 23-23% მიიღეს. ოპოზიციის მტკიცებით, ჯიოევას ბიბილოვზე 33 ხმით მეტი ჰქონდა მიღებული. ამიტომაც ის პირველ ადგილზე



ამბობენ, კოკოითის ბიბილოვის გამარჯვება დიდად არ ეპიტნავება. მას პრეზიდენტობა სხვა კადრისთვის უნდოდა, მაგრამ მოსკოვიდან სხვა დირექტივა მოვიდა.

ამის შემდეგ კოკოითიმ ბიბილოვს ფარული ბრძოლა გამოუცხადა თურმე. ოპოზიციის მტკიცებით, კოკოითიანელები არჩებ\ვნებში გიორგი კაბისოვს უპირებდნენ გაყვანას. ამ კაცს ერთი პერიოდი ძალიან მაღალი რეიტინგი ჰქონდა.

რეიტინგი მას კონსტანტინე კოსაჩოვმა დაუფრთხო. ის ცხინვალს 8 ნოემბერს ესტუმრა და ღიად თქვა, რომ კრემლი ბიბილოვს უჭერდა მხარს. ამის შემდეგ ბიბილოვის საქმე კარგად წავიდა.

მის სასარგებლოდ პრეზიდენტობის რამდენიმე მსურველმა მოხსნა კანდიდატურა. კრემლის ფავორიტს მხარი რამდენიმე ოპოზიციურმა პარტიამაც დაუჭირა.

მის მთავარ კონკურენტად ალა ჯიოევა არავის მიუჩნევია. თუმცა სწორედ ჯიოევამ შექმნა პრობლემები. ეს არა ამ ქალის, არამედ მისი მხარდამჭერების დამსახურებაა. მისი მხარდამჭერები კი აქ დიდი პოპულარობით სარგებლობდნენ.

ეს არჩევნების შედეგებზეც აისახა. უკვე არჩევნების დღის პირველ გასულად გამოაცხადეს.

მეორე ტურმა და ჯიოევას წინ გაჭრამ ოსური ოპოზიცია ძალიან გაახარა. მართალია წინ მეორე ტურია მაგრამ თავი უკვე გამარჯვებულად მიაჩნიათ. გახარებულებმა ცესკოს წინ პატარა ზეიმიც კი მოაწყვეს.

ზეიმის ხასიათზე არ იყო ანატოლი ბიბილოვი. რომელიც პირობას დებს, რომ მეორე ტურს აუცილებლად მოიგებს. მეორე ტურის მოგებაში ჯიოევაც დარწმუნებულია

ყველაზე ცუდ ხასიათზე მაინც ედუარდ კოკოითია. რომელიც გაოგნებული და აღშფოთებულია არჩევნების შედეგებით. რუსულ მედიასთან საუბარში განაცხადა, რომ ქალი სამხრეთ ოსეთის პრეზიდენტი ვერ გახდება.

— ქალი სამხრეთ ოსეთის პრეზიდენტად? ეს გამორიცხულია. ეს კავკასიაა, — განაცხადა კოკოითიმ.

კოკოითის მსგავსად აღშფოთებულია თბილისიც. ოღონდ სხვა მიზეზით. ჩვენი ხელისუფლება ამ არჩევნებს უკანონოს უწოდებს.

სამაგიეროდ თბილისი ბედნიერია იმით, რომ არჩევნების შედეგებს არც ევროკავშირი და არც ნატო არ სცნობენ.

ეს ამბავი ცხინვალში არასდროს ადარდებდათ. ახლა მითუმეტეს. მათ წინ მეორე ტური ელოდებათ.

## „ქართუდან“ 45 მილიონი გაიტანეს

### ბანკი პოლიტიკური ანგარიშსწორების შეწყვეტას ითხოვს

თეა მარხვაიძე

**ბანკი „ქართუ“ პოლიტიკური დაპირისპირების ეპიცენტრად იქცა. მას შემდეგ რაც ივანიშვილმა პოლიტიკაში მოსვლა გაბედა ის კრიმინალად და პუტინის კლონად გამოცხადდა. კიდევ კარგი ამერიკამ ბენ ლადენის ლიკვიდაცია ადრევე მოახერხა, თორემ ნაციონალები ივანიშვილს მის დაფინანსებასაც დააბრალებდნენ. თუმცა რა იცი, ესეც შეიძლება გამოიქექოს.**

ვიდრე ოპოზიცია მასზე ლოცულობს და ხელისუფლება კომპრომატებს აგროვებს, „ქართუ“ ბანკიდან ფულის გატანა გრძელდება.

ჩვენმა საზოგადოებამ კარგად იცის, რომ ივანიშვილის გაპოლიტიკოსების შემდეგ „ქართუში“ მთელმა რიგმა ორგანიზაციებმა ანგარიშები დახურეს. მის მომსახურებაზეც უარი ბევრმა თქვა.

საქმეს ისეთი პირი უჩანს, რომ ეს გაუგებრობა ასე არ დასრულდება. ამას ბანკშიც გრძნობენ და ამიტომაც საგანგებო განცხადებაც გაავრცელეს. სადაც

ბანკებთან პოლიტიკური ნიშნით ანგარიშსწორების მცდელობების შეჩერებას ითხოვს.

— „ბანკი ქართუ“ ისურვებდა, რომ ბოლო დროს მის გარშემო განვითარებულ მოვლენებს სამართლიანი სამართლის ინტერესები ედოს საფუძვლად. სამწუხაროდ, ხელისუფლების წარმომადგენლების უკანონო მოქმედებებს საფუძვლად მხოლოდ პოლიტიკური მიზნები უდევს. ბანკის მესაკუთრის ბ-ნ ბიძინა ივანიშვილის ახლობლების დაპატიმრებები, ტერორი მის სამშენებლო ობიექტებსა თუ სს ,,ქართუ ჯგუფის“ სხვა ქონებაზე, საინკასაციო მანქანისა და ბანკის კუთვნილი მსხვილი თანხების დაყაჩაღება „შავი ფულის“ გათეთრების აბსოლუტურად უსაფუძვლო ბრალდებით, გაუგონარი ზეწოლა კლიენტებზე, რის შედეგადაც ბანკიდან დეპოზიტების გადინების საერთო თანხამ თითქმის 45 მლნ ლარი შეადგინა — ეს მხოლოდ ნაწილია იმ უკანონო ქმედებებისა, რაც ხელისუფლებამ უკვე განახორციელა. ყველაფერი დაიწყო ბატონი ბიძინა ივანიშვილის მიერ 2011 წლის 7 ოქტომბერს გაკეთებული საჯარო განცხადების შემდგომ, როდესაც მან საქართველოს ხელისუფლებაში არჩევნების გზით მოსვლის სურვილი გამოხატა. ხელისუფლების წარმომადგენლების უკანონო მოქმედებებს რომ მხოლოდ პოლიტიკური მიზნები უდევს საფუძვლად, კიდევ ერთხელ დაადასტურა საპარლამენტო უმრავლესობის ლიდერმა პეტრე ცისკარიშვილმა. მან ა.წ. 8 ნოემბერს საპარლამენტო ტრიბუნიდან განაცხადა: ,,საინტერესოა, რა მოხდება, ასეთი პიროვნება (მხედველობაშია ბიძინა ივანიშვილი), ებრაული წარსულითა და გვარით, დამასკოთი ან ისრაელის სახელმწიფოსთან სხვა დაპირისპირებული დედაქალაქით მართული, ისრაელში რომ ჩასულიყო და პროცესების მართვა მოესურვებინა. რომ მოეთხოვა მოქალაქეობა უნდა მივიღოო, ბანკებიდან ფული ჩემი საინკასაციო მანქანებით აქეთ-იქით უნდა ვატაროო... ასეთი განცხადებები რომ გაეკეთებინა იერუსალიმსა და თელ-ავივში, მას ვინმე გააჩერებდა? იფუნქციონირებდა პოლიტიკურად? ერთი წამით მაინც დაფიქრდით“. საპარლამენტო უმრავლესობის ლიდერის განცხადება ნათელს ხდის, რომ „ბანკი ქართუს“ კუთვნილი საინკასაციო მანქანა ორ მილიონ აშშ დოლართან და ერთ მილიონ ევროსთან ერთად უკანონოდ არის ხელყოფილი პოლიტიკური და არა დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის მოტივით, — ნათქვამია „ქართუს“ განცხადებაში.

მათი თქმით, აღნიშნულ კონტექსტში განხილულ უნდა იქნეს მიმდინარე წლის 28 ოქტომბერს საქართველოს პარლამენტის მიერ დაჩქარებული წესით მიღებული კანონიც ,,საქართველოს ზოგიერთ საკანონმდებლო აქტში ცვლილებების შეტანის შესახებ“.

— ამ კანონით სხვა, ცვლილებებთან ერთად, ახალი რედაქციით არის წარმოდგენილი და ა.წ. 7 ნოემბრიდან უკვე მოქმედებაშია შესული ,,სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონის 823-ე მუხლი.

აღნიშნული ცვლილება სერიოზული დარტყმის ქვეშ აყენებს საქართველოს საბანკო სისტემას, ლახავს მისი, ასევე მთლიანად ქართული სახელმწიფოს საერთაშორისო იმიჯს, რამდენადაც შექმნილ საკანონმდებლო გარემოში ბანკი, როგორც პირველი რიგის იპოთეკარი ფაქტობრივად აღარ წარმოადგენს უზრუნველყოფილ კრედიტორს და თუ იპოთეკის რეგისტრაციის შემდეგ აღმოჩნდება, რომ საგადასახადო გირავნობა/იპოთეკის წარმოშობის საფუძვლები არსებობდა ბანკის იპოთეკის რეგისტრაციამდე (თუმცა მოგვიანებით გამოვლინდა), მაშინ პირველ რიგში დაკმაყოფილდება საგადასახადო გირავნობა/იპოთეკით უზრუნველყოფილი მოთხოვნა და მხოლოდ შემდეგ (თუ რამე დარჩა) ბანკის მოთხოვნა, რაც უგულებელყოფს საჯარო რეესტრის ჩანაწერების სისწორის პრეზუმფციას და ფაქტობრივად უარყოფს იპოთეკის არსსა თუ საყოველთაოდ აღიარებულ ფუნდამენტურ პრინციპებს, — მიაჩნია „ქართუს“.

მათი თქმით, ბანკების მდგომარეობა კიდევ უფრო გართულდება, თუ ბანკის კლიენტი ბანკში ჩადებული ქონების, მცირედი თანხის გადახდით, დაბრუნების მიზნით გაურიგდება შემოსავლების სამსახურს და თავად გახდება ე.წ. დარღვევის, ანუ საგადასახადო გირავნობა/ოპოთეკის წარმოშობის საფუძვლების ,,აღმოჩენაში“ დამხმარე პირი.

— რა მოცულობის ვოლუნტარიზმი მოჰყვება ამ ცვლილებებს, ძნელი გასათვლელია, მით უფრო, რომ ჩვენი ბანკის მმართველობის ძველი გუნდის, სავარაუდოდ, გააზრებული პოლიტიკის შედეგად, მსხვილი მსესხებლების მნიშვნელოვანი ნაწილი ხელისუფლების ოდიოზური ფიგურების კონტროლქვეშაა და არ არის გამორიცხული, ერთობლივად დაგეგმილი და ღრმად შენიღბული ახალი პროვოკაციები ვიხილოთ, — შიშობენ ბანკში.

მათი აზრით, ასეთ ვითარებაში საკრედიტო დაწესებულებები ექცევიან არაპროგნოზირებად გარემოში და საბანკო სისტემის მდგრადობის ცნება მეტად მყიფე და საგადასახადო ორგანოების ,,კეთილ ნებაზე“ დამოკიდებული ხდება, რაც უთუოდ შეუქმნის სერიოზულ პრობლემებს დეპოზიტართა და ბანკების სხვა კრედიტორთა ფულადი სახსრების დაცულობის საიმედოობას, ფაქტობრივად შეუძლებელს გახდის იპოთეკური საკრედიტო ოპერაციების განხორციელება-გაფართოებას.

— ,,ბანკი ქართუს“ ხელმძღვანელობის შეშფოთებას აძლიერებს ის გარემოება, რომ ორიოდე წლის წინ ზუსტად ანალოგიური საკანონმდებლო ინიციატივა დაიბლოკა, უპირველეს ყოვლისა, ქვეყნის საბანკო სექტორის ერთობლივი ძალისხმევით; თუმცა დღეს არც საქართველოს ეროვნულ ბანკს, არც საბანკო ასოციაციასა და არც ერთ კომერციულ ბანკს მინიმალური პროტესტიც არ გამოუთქვამს აღნიშნულ საკითხზე, რაც უფრო მეტ საფუძველს უქმნის ეჭვს, რომ ეს საკანონმდებლო ინიციატივა პოლიტიკურადაა მოტივირებული და მხოლოდ სს ,,ბანკი ქართუს“ სადამსჯელო ოპერაციად იქნება გამოყენებული; მით უმეტეს, რომ ცვლილებები ორგანულად ჯდება ბატონ ბიძინა ივანიშვილისა თუ საქართველოში მისი საკუთრების წინააღმდეგ განხორციელებული მრავალი უკანონო აქტის კონტექსტში, — ნათქვამია განცხადებაში.

ამ წინააღმდეგობის მიუხედავად „ქართუ“უკან დახევას არ აპირებს. და სამომავლოდ გააქტიურებას გეგნავს.

— ჩვენ ვაპირებთ გავაძლიეროთ მუშაობა საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტებთან. მათ უზარმაზარი ფულადი თუ ინტელექტუალური რესურსი აქვთ ჩადებული საქართველოში ცივილიზებული საბანკო ინსტიტუტების ჩამოყალიბება-განვითარებაში და ხშირ შემთხვევაში, თავად არიან ქართული საბანკო დაწესებულებების მნიშვნელოვანი წილის მფლობელები, — მიაჩნიათ ბანკში.

„ბანკი ქართუ“, მოუწოდებს საქართველოს ეროვნულ ბანკს, საბანკო ასოციაციას, საქართველოში მოქმედ კომერციულ ბანკებსა და საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტებს პრინციპული შეფასება მისცენ მათი ბანკის ირგვლივ შექმნილ რეალობას.

— რაც უთუოდ დამღუპველად იმოქმედებს მთლიანად საქართველოს საბანკო სექტორზე და წინ აღუდგნენ ბანკებთან პოლიტიკური ნიშნით ანგარიშსწორების მცდელობის თითოეულ შემთხვევას, — ნათქვამია განცხადებაში.

## ტექნიკურ უნივერსიტეტში გათბობა არ არის

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის შენობებში გათბობა არ არის.

როგორც ,,მედიანიუსს“ უნივერსიტეტის სტუდენტებმა განუცხადეს, გათბობა ჩართულია მხოლოდ არქიტექტურის კათედრის აუდიტორიებში (პირველი კორპუსი) და უნივერისტეტის მეოთხე კორპუსში.

უნივერსიტეტის მეექვსე კორპუსში გათბობა სისტემის დაზიანების გამო დროებით არის გამორთული. უნივერსიტეტის პრესსამსახურის უფროსი ნინო კუპრაშვილი ,,მედიანიუსთან“ საუბარში კი აცხადებს, რომ უნივერსიტეტის ყველა კორპუსში გათბობა ჩართულია.

მედიანიუსი

## სიმსივნის წინააღმდეგ ბრძოლის სიმბოლოს შემქნელი კიბოთი გარდაიცვალა

ეველინ ლაუდერი, ცნობილი კომპანიის „ესტე ლაუდერის“ მფლობელის მეუღლე და ვიც-პრეზიდენტი, რომელიც ასევე ცნობილია ორგანიზაციის „ერთად მკერდის კიბოს წინააღმდეგ“ დაარსებით, 75 წლის ასაკში სიმსივნით გარდაიცვალა. გარდა ზემოხსენებული ორგანიზაციის დაარსებისა ეველინ ლაუდერი ცნობილია იმითაც, რომ მან თავის დროზე სიმსივნის წინააღმდეგ ბრძოლის სიმბოლოდ „ვარდისფერი ლენტი“ პირველმა გამოიყენა.

მედიანიუსი

## ჯავახიშვილის ქუჩაზე გაზის ბალონს ცეცხლი გაუჩნდა

გუშინ, თბილისში, ჯავახიშვილის №8 ცეცხლი გაჩნდა. როგორც ,,მედიანიუსს“ საგანგებო სიტუაციების საქალაქო სამსახურიდან აცნობეს, ცეცხლის თხევადი აირის პატარა ბალონს გაუჩნდა. შემთხვევა ქუჩაში მოხდა. დაშავებულები არ არიან. ცეცხლის ჩაქრობა საგანგებო სიტუაციათა სამსახურმა რამდენიმე წუთში შეძლო.

მედიანიუსი

## მთავრობის 10-პუნქტიან გეგმაზე პარლამენტში პოლიტიკური დებატები გაიმართება

პარლამენტში მთავრობის ათპუნქტიან გეგმასთან დაკავშირებით პოლიტიკური დებატები გაიმართება. ამ შეთავაზებით პარლამენტის ბიუროს დღეს გამართულ სხდომაზე ფრაქცია „ქრისტიან-დემოკრატების“ წევრი, პარლამენტის თავმჯდომარის მოადგილე ლევან ვეფხვაძე გამოვიდა.



ლევან ვეფხვაძე

მისი თქმით, მმართველ უმრავლესობას დაგეგმილი აქვს, მოსახლეობას ათპუნქტიანი გეგმა „სოფელ-სოფელ გააცნოს“. იგი მიიჩნევს, რომ ამ საკითხზე ჯერ პარლამენტში უნდა შედგეს პოლიტიკური დებატები და ოპოზიციას საკუთრი აზრის გამოთქმის საშუალება მიეცეს. მან კოლეგებს მოქმედი კანონმდებლობა შეახსენა, რომლის თანახმადაც, უმცირესობას უფლება აქვს, პოლიტიკური დებატების დანიშვნა მოითხოვოს.

ლევან ვეფხვაძემ აქვე ისიც აღნიშნა, რომ მოსახლეობას ამ პროგრამაზე მეტად სხვა მტკივნეული საკითხები, მათ შორის, შეშით მომარაგების პრობლემა აწუხებს.

დეპუტატს საპარლამენტო უმრავლესობის სახელით ზურაბ მელიქიშვილმა უპასუხა. მისი თქმით, მთავრობის 10-პუნქტიანი გეგმის თითოეული პუნქტი შედეგზეა ორიენტირებული და მიზნად ქვეყნის განვითარებას, დასაქმების ადგილების შექმნას, ჯანდაცვის ხელმისაწვდომობას და სხვას ისახავს. თუყმცა, ამის მიუხედავად, უმრავლესობა თანახმაა, რომ მასზე დებატები გაიმართოს.

— რაც შეეხება ჩვენს გეგმებს, დიახ, ვივლით სოფელ-სოფელ, ქალაქ-ქალაქ, ქუჩა-ქუჩა და სხვებისგან განსხვავებით, მოსახლეობას შევხვდებით, — აღნიშნა ზურაბ მელიქიშვილმა.

პარლამენტის თავმჯდომარე დავით ბაქრაძემ საპარლამენტო უმრავლესობასა და უმცირესობას მოუწოდა, პოლიტიკური დებატების თარიღზე 22 ნოემბრისათვის დაგეგმილ პლენარულ სხდომაზე შეთანხმდნენ.

მედიანიუსი

# გიორგი ცაგარეიშვილი: „ამ ბიუჯეტს ვერაფერი გავუგე“

გულიკო ბალაძე

**ინტერვიუ პარლამენტის წევრ გიორგი ცაგარეიშვილთან**

***— ბატონო გიორგი, დღეს ხელისუფლება აპელირებს ე.წ. ათპუნქტიანი გეგმითა და ბიუჯეტით, რომელიც, მე მგონი, არასრული სახით წარმოადგინა. მოვისმინე პარლამენტში გამართული დებატებიც და, საერთოდ, ბევრი რამ გაურკვეველია.***

— ამ ბიუჯეტში თქვენთვის კი არა, ჩვენთვისაც ბევრი რამ გაურკვეველია. მით უმეტეს, ბატონი მინისტრი ახალი დანიშნულია. ამ ყმაწვილმა კაცმა ჩემზე ძალიან არასერიოზული ადამიანის შთაბეჭდილება დატოვა. ვერ ვხვდები, რასთან გვაქვს საქმე. ვიცი, რომ ეს ადამიანი საკმაოდ გათვითცნობიერებულია. გარკვევა, ჩამოყალიბება და პარლამენტამდე ამ დოკუმენტის შინაარსის მოტანა მას ევალება. რას უნდა მივაწეროთ მისი ფიასკო, ნამდვილად არ ვიცი. დაახლოებით 18 კითხვა დავსვი, მაგრამ პასუხი ვერც ერთ კითხვაზე ვერ მივიღე.

***— თქვენ ფიქრობთ, რომ ფინანსთა მინისტრმა ფიასკო განიცადა?***

— დიახ. ერთია გუნდრუკის მკმევლები — უმრავლესობის ლიდერები რას იყბედებენ, ან ერთი-ორი ოპოზიციონერი რას გააკეთებს, ხოლო მეორეა — რეალობა. პარლამენტის სხდომაზე ჩემი და ჩემი თანაფრაქციელების გამოსვლა კრიტიკული, საქმიანი და კონკრეტულ საკითხებთან იყო დაკავშირებული. ჩვენი ოპონენტებისაგან კი პოლიტიკური დემაგოგიის ნიაღვარი მოედინებოდა. რით აღარ დაილალნენ ეს ადამიანები სისულელეების ლაპარაკით.

***— თუმცა, უმრავლესობის ლიდერი პეტრე ცისკარიშვილი ოპოზიციას აქეთ საყვედურობდა, რატომ ქილიკობდნენო.***

— ბატონი ცისკარიშვილი 15 წუთის განმავლობაში ლაპარაკობდა. ეს იყო თავიდან ბოლომდე სიტყვების გაუთავებელი რახა-რუხი და უშედეგო, უმიზნო საუბარი. ამ ადამიანების გამოსვლას ყოველთვის მხოლოდ კომფრონტაციული ელფერი გასდევს. რომელ საკითხზეც არ უნდა გამოდიოდეს, ბოლოს ყველაფერი რუსეთის აგენტობის დაბრალებამდე მიდის. ეს ადამიანები უკვე მარაზმში არიან გადავარდნილი. მე მათ უფრო დიდ მარაზმში გადავარდნას ვუსურვებ. ოღონდ ქვეყანას ნუ გადაიყოლებენ.

***— უნდათ სააკაშვილს პოლიტიკურ საფლავში ჩაყვნენ?***

— თქვენ გგონიათ ცისკარიშვილებისა და გაბაშვილებისთვის სხვა გამოსავალი არსებობს? მათთვის კი არა, თორთლაძისთვის აღარ არსებობს სხვა გამოსავალი. აქოშინებული შემოვარდა სხდომათა დარბაზში, როცა გაიგო, რბილად რომ ვთქვათ, ცუდ საქციელში ვამხილე ის, კომიტეტის თავმჯდომარე ქალბატონი გოგორიშვილი და მთელი უმრავლესობა. კონკრეტულად, ბიუჯეტი კი არის არატრანსფარანტული, ანუ არასგამჭვირვალე. 7 წელია პარლამენტში ვარ, ასეთი არაგამჭვირვალე ბიუჯეტი არ მინახავს. მისი მუხლები, საერთოდ, არ არის გაშლილი. მხოლოდ ოთხი მუხლია გაშლილი. ავიღოთ, მაგალითად, საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტრო. მხოლოდ ოთხი მუხლია. მომუშავეთა რიცხოვნება — 56 ადამიანი, ხარჯები — 35 მილიონი, შრომის ანაზღაურება — 1 215 000 არაფინანსურ აქტივობებზე – 1 130 000. დანარჩენი 32 მილიონი სად არის? რატომ არ არის გაწერილი?



გიორგი ცაგარეიშვილი

***— ანუ დარჩენილ 32 მილიონს ხელისუფლება იტოვებს სარეზერვოდ რაიმესთვის?***

— სარეზერვოდ აქვს თუ თავისი მიზნების დასაკმაყოფილებლად სჭირდება, კაცმა არ იცის, მაგრამ...

***— ან არჩევნებისთვის...***

— აქ უნდა იყოს გაშლილი. საბიუჯეტო კოდექსი ხელისუფლებას პირდაპირ ავალდებულებს, ყველა მუხლი გაშლილი იყოს, რომ წავიკითხოთ, რომელი მუხლის უკან რა ხარჯი დგას. საქართველოს მოქალაქეებმა უნდა ვიცოდეთ, რა სად იხარჯება, რაც კანონით საჯაროა. ეს ჩვენი ფულია. ჩვენს ფულს უკულმართად ანაწილებს მიხეილ სააკაშვილი და ნაციონალური მოძრაობა. ასე რომ, ბიუჯეტი არატრანსფარანტულია. ფაქტობრივად, ყველა ხარჯი დაფარულია. სხვა ხარჯებში გაწერილია მილიარდ ლარზე მეტი. პრეზიდენტისა და მთავრობის ფონდებზე გაწერილ 50-50 მილიონზე აღარაფერს ვამბობ. რამდენიმე პროექტი საკმაოდ დიდი მოცულობითაა დაფინანსებული. მაგალითად, სოფლის განვითარების პროგრამაზე 140 მილიონია გათვალისწინებული, ხოლო ლტოლვილთა და იძულებით გადაადგილებული პირებისთვის განკუთვნილ პროგრამებზე – 72 მილიონი. მთავრობა უზარმაზარ თანხებს ყოველგვარი სამოქალაქო კონტროლის გარეშე ხარჯავს. სააკაშვილის გადამკიდე, ბიუჯეტის არა მარტო სამოქალაქო კონტროლი, არამედ საპარლამენტო კონტროლიც ნულამდეა დაყვანილი.

***— ე.ი. უნდათ, არავინ იცოდეს, როგორ ხარჯავს ხელისუფლება ხალხის ფულს.***

— დიახ. კონტროლის პალატა შეამოწმებს თუ რა? ჩვენი საბიუჯეტო მოწყობის მეორე პრობლემაა კატასტროფულად გაზრდილი საგარეო ვალები. რაც ეს ხელისუფლება მოვიდა, მას შემდეგ, ფაქტობრივად, გაიზარდა ჩვენი საგარეო ვალი. საქართველოს საგარეო ვალი 11 მილიარდ ლარს აღწევს. საგარეო და საშინაო ვალების მომსახურებაზე მარტო მომავალი წლის ბიუჯეტიდან 580 მილიონი იქნება გამოყოფილი, რაც განათლების სამინისტროს ასიგნებებს უსწრებს. ჩვენ ჩვენი ვალების მომსახურებაზე იმდენს ვხარჯავთ, რამდენსაც განათლების სფეროზე. ეს არის აბსოლუტური კატასტროფა. ამის მიუხედავად, ვალებს კიდევ იღებენ და იღებენ. კომიკური სიტუაცია იქმნება.

***— დასაბუთება აქვთ, რაში სჭირდება ხელისუფლებას ის ფული, ვალის სახით რომ იღებენ?***

— „დასაბუთება“ აქვთ. რამდენიმე დღის წინ, საფრანგეთის მთავრობისაგან 49 მილიონი ლარი კრედიტი აიღეს. პარლამენტმა ეს ვალი დაამტკიცა. იცით, რაში იხარჯება ვალად აღებული 49 მილიონი? ზემო სვანეთში საბაგიროების გაკეთებაში.

***— კიდევ? ხომ გაკეთდა?***

— ეგ თქვენ იცით, რომ გაკეთდა. როგორც ჩანს, არ გაკეთებულა მთლიანად და პიარის მსხვერპლი ვართ. როგორც უგულავა ამბობს, კიდევ ბევრია გასაკეთებელი. ამიტომ უნდათ, ხალხის ხარჯზე 49 მილიონი ლარი აიღონ და საბაგიროები მოაწყონ. ეს არის სრული კატასტროფა. ვალი ვალს ემატება. შემდეგ ჩვენ პროცენტებს ვიხდით. 580 მილიონი მხოლოდ ვალის პროცენტია გადასახდელი. ეს მხოლოდ დასაწყისია. 2013 წელს 700 მილიონზე მეტს გადავიხდით. რაც დრო გავა, პროცენტების ოდენობა გაიზრდება. ეს არის მეორე უდიდესი პრობლემა და ამაზე არამარტო ჩვენ ვამახვილებთ ყურადღებას. საერთაშორისო სავალუტო ფონდის წარმომადგენელმა საქართველოში, ბატონმა გარდნერმა ხუთი დღის წინ გაავრცელა ოფიციალური განცხადება, სადაც პირდაპირ თქვა, რომ საგარეო ვალის ზრდა არის საქართველოს გამოწვევა. ჩვენ ვუახლოვდებით იმ ზღვარს, რის შემდეგაც აღარ შეიძლება ვალის აღება. 40%-იანი ზღვარი გადავლახეთ. კატასტროფა იქნება 60%-იან ზღვარს რომ გადალახავთ. კატასტროფის ზღვარს ნელ-ნელა ვუახლოვდებით. მომავალ წელს უკვე 43%-იან ზღვარს მივუახლოვდებით. ეს არის უმძიმესი განაჩენი, რომელიც ჩვენს საფინანსო სისტემას გამოუტანა სააკაშვილმა.

***— როგორ შეიძლება ეს პროცესი შეჩერდეს?***

— ეს პროცესი ამ ხელისუფლების ხელში არ შეჩერდება. აღნიშნული პროცესი შეჩერდება მხოლოდ მაშინ, როცა ბიზნესი დაიწყებს განვითარებას.

***— არა მგონია, ამ ხელისუფლების ხელში ბიზნესმა განვითარება დაიწყოს. ბიზნესი მაშინ დაიწყებს განვითარებას, როცა სააკაშვილი წავა.***

— რა თქმა უნდა. სააკაშვილი ბუნებრივად წავა. ოღონდ, არსებული ვალების გადახდა მაინც დაგვჭირდება. ჩვენ წინა ხელისუფლებებისა და მათ მიერ არებული ვალების სამართალმემკვიდრეები ვართ. რის გამოც უნდა ვიხადოთ, როგორც შევარდნაძის ხელისუფლების მიერ აღებული ვალები, ისე სააკაშვილის დროინდელი ვალები, მაგრამ სააკაშვილი ვალებს იღებს და არ წარმოუდგენია, რაში უნდა დახარჯოს. საბაგიროსთვის რომ ამხელა ვალს — 50 მილიონ ლარს — აიღებ, ასეთ ადამიანს ჭკუა მოეკითხება? მომიტრიალდება შემდეგ ჩემი რომელიმე ოპონენტი და მეტყვის, ჩვენ, ბატონო გია, იქ ტურიზმს ვავითარებთო. ტურიზმის განვითარება გალატაკებული ხალხის ხარჯზე, სადმე გაგიგიათ?!

***— ეტყობა, ხელისუფლების წარმომადგენლები იმ ქუჩებზე არ დადიან, სადაც სანაგვეებთან ადამიანების რიგები დგას, რომლებიც თავის გასატანად ნაგავში ეძებენ რაიმე გამოსადეგარს. ასეთ სიტუაციაში, ვინ ავალდებულებთ, ხუთწლედის გეგმები წარმოგვიდგინონ და დაგვიმტკიცონ?***

— თუ აკვირდებით, საერთოდ, ეს გეგმები მაშინ გამომზეურდება ხოლმე, როცა სააკაშვილს ძალიან უჭირს. 50-დღიანი, 90-დღიანი, „საქართველო სიღარიბის გარეშე“ და მსგავსი პროგრამებით, საქართველო დააქციეს, დაშალეს, ოკუპანტებს შეუწყეს ხელი, იქიდან ხალხი გამოედევნათ, ხალხი განსაცდელში მიატოვეს. მათი ნამდვილი გეგმები მალე გამომზეურდება. დღეს ხელისუფლება კატასტროფულ მდგომარეობაშია. სწორედ ეს დღე დაუდგა სააკაშვილს. ამიტომაც გამოჩნდა ახალი 28 ფურცელზე დატანილი 10 პუნქტიანი გეგმა, რომელიც, კარგ ქართულ სუფრაზე კარგ სადღეგრძელოს რომ იტყვი, იმ ტონში და იმ მოტივითაა დაწერილი. მაგრამ ჩვენ მსგავსი სიბრიყვეების კარგა ხანია აღარ გვჯერა. ახლა იწყებენ ამ გეგმის საზოგადოებაში გავრცელებას. წყალწაღებული ხავსს ეკიდებოდაო, ისეა მათი საქმე. ნაციონალების ვერც ერთი გეგმა ცხოვრებაში განხორციელებული ვერ ვნახეთ. ნოღაიდელის დროს ყვითელი ავტობუსებით ადამიანები სამუშაოებზე რომ დაჰყავდათ, დასაქმების გეგმა რომ იყო და უბედურება რომ დატრიალდა, ხომ გახსოვთ. ინგლისური ენის ინტენსიური შესწავლისა და სამუშაოზე მოწყობის პროგრამა რომ იყო, სად არის? ყველაფერი საპნის ბუშტივით გასკდა. 10 პუნქტიანი გეგმა ბიძინა ივანიშვილის საპირწონედ შექმნეს, რათა როგორმე დაძლიონ კრიზისი, რაც სააკაშვილს და ნაცმოძრაობას ბიძინა ივანიშვილის პოლიტიკაში შემოსვლის შემდეგ დაუდგათ.

# ბათუმის მთავრობამ კვერცხებზე „შლოპანცი“ შემოასკუპა, გიგი უგულავამ კი — „კედები“

## კრუხი „შლოპანცი“ პატარ-პატარა ტურისტებს გამოჩეკავს?

შალვა ჯოხაძე



**აჭარის მთავრობამ თანამედროვე ხელოვნებისადმი თაყვანისცემა კიდევ ერთხელ გამოავლინა და ბათუმის ცენტრში ისეთი საოცარი სკულპტურა დადგა, ძალიან დაგვაბნია. სასტუმროებს „კემპინსკისა“ და „რედისონს“ შორის არც მეტი, არც ნაკლები 12 გიგანტური კვერცხი და მათზე შემოდებული 2 ე.წ. შლოპანცი დადგეს.**







ამ სკულპტურის ფოტოები თავდაპირველად „ფეისბუქში“ გამოჩნდა და ამ სოციალური ქსელის ბევრმა წევრმა იფიქრა, რომ ეს ფოტომონტაჟი იყო. საბოლოოდ, ბათუმის მცხოვრებლებმა ეს საოცრება საკუთარი თვალით რომ იხილეს და ფოტოები კიდევ გადაუღეს, ყველამ ყველაფერი დაიჯერა. სხვათა შორის, სანამ ეს სკულპტურა ბათუმში გამოჩნდებოდა, დედაქალაქის მერმა გიგი უგულავამ თავის კაბინეტში დაიდგა შედარებით პატარა ქანდაკება „კედები“ კვერცხებზე. ორივე სკულპტურის, ანუ ამ კონცეფციის ავტორი ფრანგი ლილი ფანტოცია.

როგორც თავად ლილი ფანტოცი ერთ-ერთ ინტერვიუში ამბობს, 2009 წლის ნოემბერში ის თბილისში მხატვარმა გელა წულაძემ მოიწვია. ფანტოცი კოლეგებთან ერთად აქ ერთ-ერთ გამოფენას დაესწრო. მან წარმოადგინა საკუთარი კონცეფცია სპორტული ფეხსაცმელი, ეწ. კედები კვერცხებზე, რომელიც სიმბოლურად გამოხატავს იმ რთულ გზას, რომელიც ქვეყანამ გარდაქმნების გზაზე გაიარა. თამანედროვე ხელოვნების ამ ნიმუშით ძალიან დაინტერესდნენ და მისი შემცირებული მოდელი ახლა გიგი უგულავას კაბინეტში დგას.

ლილი ფანტოცის ნამუშევრით დაინტერესდნენ აჭარის მთავრობაშიც და მას შეკვეთა მისცეს, თუმცა რადგანაც ბათუმი საზღვაო კურორტია, გათვლა ტურისტებზეა, „კედები“ „შლოპანცებით“ შეცვალეს.

თურმე, სკულპტურა ოფიციალურად პირველ ნოემბერს უნდა გახსნილიყო, მაგრამ კვერცხები ბათუმში უწუმრად დადგეს.

სულ 12 კვერცხია. თითოეული კვერცხის სიმაღლე 1.60 მეტრია, მთლიანად მონუმენტი 5.5 მეტრი სიმაღლისაა, ფართობი კი 2.3 მეტრს შეადგენს. ხელოვანის განცხადებით, ბავშვებს შეუძლიათ, რომ ამ კვერცხებს შორის, როგორც ლაბირინთში, ითამაშონ, ხოლო „შლოპანცებზე“ წამოწვნენ და მზის აბაზანები მიიღონ. სკულპტურას განათებისთვის 12 პროექტორი მოყვება, თავისი მონტაჟითა და გაყვანილობით, თითოეულის საცალო ღირებულება 447 ევროა, გარანტია კი 3 წელი.

ლილი ფანტოცის ნამუშევართან დაკავშირებით ინფორმაცია გაზეთმა „ბათუმელებმა“ ადგილზევე მოიძია.

— ბათუმელების ნაწილმა ამ ქანდაკების გათავსების შესახებ სოციალურ ქსელ ფეისბუქიდან გაიგო, რამდენიმე მათგანმა გაზეთ „ბათუმელებთან“ „განაცხადა რომ მონუმეტი ფოტოშოპის შედეგად მიღებული ეგონათ და იქ გადასამოწმებლად მოვიდნენ. 2011 წლის ბიუჯეტში კონკრეტულად გაწერილი არ არის ამ ქანდაქებისთვის რა დაიხარჯა. 2011 წლის ბიუჯეტში პროგრამის ფარგლებში – „ისტორიული უბნების და



ტურისტული ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია“, არის მხოლოდ ერთი ზოგადი ჩანაწერი „ქანდაქებების დამზადება-დადგმის სამუშაოები“ რომლისთვისაც გამოყოფილია 328206.89. ლარი გამარტივებული შესყიდვის ფორმით. ეს თანხა შპს არტ სტუდია „დოტკომასთვის“ არის გადაცემული. თანხის გაცემის თარიღია 13 მაისი. 1 სექტემბერი პროექტის შესრულების ვადადაა მითითებული. ბათუმის საკრებულოს ოპოზიციის წევრები ირაკლი ჩავლეიშვილი კონკრეტულ ინფორმაციას არ ფლობს.

„ბათუმელების“ სატელეფონო ზარებს არ პასუხობენ ქალაქ ბათუმის მერიაში, — აღნიშნავს გამოცემა.

მოკლედ, არ ვიცით, რატომ დაინტერესდა აჭარის მთავრობა ფანტოცის უცნაური ნამუშევრით. შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ ეს „შლოპანცი“, როგორც ტურისტის სიმბოლო, კვერცხებზე კრუხივით იმიტომ შემოასკუპეს, რომ მომავალში პატარ-პატარა ტურისტები გამოიჩეკონ. ასეთი მეთოდებით ააყვავებენ საქართველოს და მის ეკონომიკას!

# საქართველოს დროშებით აჭრელებული ახალი ზელანდია და საქართველოს ნაკრების ზელანდიელი ქომაგები

## „სუნამოების გამყიდველი ქალიც კი ჩვენს გუნდს გულშემატკივრობდა...“

**გიორგი შიუკაშვილის მოგზაურობა ახალ ზელანდიაში მისი და ლუდის მიმართ დიდ სიყვარულს უკავშირდება. განსაკუთრებით “ნატახტარის კასრი“ უყვარს და ერთი პერიოდი იმდენს სვამდა, რომ მომატებული წონით თავადაც შეწუხდა და მისი ახლობლებიც შეაწუხა. მაგრამ ამ უმნიშვნელო მიზეზს გიორგისთვის ხელი არ შეუშლია ლუდის სმის გაგრძელებაში და ერთ საღამოსაც, როცა მეგობართან ლუდით სავსე პაკეტით ავიდა, მიხვდა, რომ მისი თავგანწირვა ამაო არ იყო. ერთი სიტყვით, ყველაფერი “ნატახტარის“ დიდი გათამაშებით დაიწყო...**

გიორგი შიუკაშვილი



***— რა მოხდა იმ საღამოს, როცა აღმოაჩინე, რომ შენ განსაკუთრებული ლუდის განსაკუთრებული ბოთლი შეგხვდა?***

— ერთი ჩვეულებრივი საღამო იყო, გამოვიარე სუპერმარკეტში და რამდენიმე „ნატახტარი“ ავიღე. ეს ჩვეულებრივი რიტუალივით იყო ჩემთვის. დავსხედით, გავხსენით ეს ბოთლები და სიმართლე გითხრათ, არც კი დაგვიხედავს თავსახურებისთვის არც ერთს. რომ გითხრათ, მოგების დიდი იმედი მქონდა და მაგიტომ ვყიდულობდი-თქო, მოგატყუებთ. უცებ, ჩემი მეგობრის მეუღლემ, ნაგავში გადასაყრელად რომ მიჰქონდა ეს თავსახურები, მაშინ აღმოაჩინა, რომ ლუდი მომგებიანი იყო და აი მერე ატყდა ერთი ამბავი. როგორც ლუდის შემძენს და მიმტანს, ეს მოგებაც მე მერგო წილად...

***— და ასე აღმოჩნდი ახალ ზელანდიაში...***

— სხვათა შორის, აეროპორტში მივედი თუ არა და ვნახე ის ადამიანები, ვისთან ერთადაც მივდიოდი ანუ თორნიკე, ნატახტარის მარკეტინგის სამსახურის უფროსი, მეორე ჩემისთანა იღბლიანი, — ავთო და რუსთავი 2-ის ჟურნალისტები, მაშინვე მივხვდი, რომ სულ ერთი ჭკუის ხალხი ვიყავით და კარგ დროს გავატარებდით. ასეც მოხდა.

მართალია, ჩასვლისთანავე ბარგი დავკარგეთ, მაგრამ ეს არ იყო დიდი პრობლემა. ცოტათი თორნიკეს და ავთოს გაუჭირდათ, პერანგის და მაისურის ამარა დარჩნენ, მაგრამ ვაჟკაცურად გაუძლეს.




ზოგადად, ზელანდია ძალიან საინტერესო ქვეყანაა. იქაურები ხასიათით წმინდა წყლის ბრიტანელები არიან, უბრალოდ ეგზოტიკურ ქვეყანაში ცხოვრობენ. რაც მთავარია, ძალიან სტუმართმოყვარე ხალხია. ერთ-ერთ მათგანს ვუთხარი კიდეც, — ქართველებივით სტუმართმოყვარეები ხართ-თქო და მიპასუხა, ჩვენთან იმდენად ცოტა სტუმარი ჩამოდის, ასე თბილად რომ არ დავხვდეთ, აღარავინ ჩამოვაო. ძალიან კარგი შთაბეჭდილება მოახდინა ჩემზე ველინგტონმა. ულამაზესი ქალაქია და რაც ყველაზე საინტერესოა, არქიტექტურა აქვს არაჩვეულებრივი. იქ ორი ერთნაირი სახლი არ მინახავს. თან პროფესიული თვალით ვუყურებდი ამ ყველაფერს, ინჟინერ-მშენებელი ვარ და მართლა აღფრთოვანებული დავრჩი.

***— საქართველოს შესახებ გარდა იმისა, რომ კარგ რაგბის ვთამაშობთ, რამე სმენიათ ახალ ზელანდიელებს?***

— როგორ იყო იცით, ზოგიერთი გვეუბნებოდა, რომ მას შემდეგ დაიწყეს გუგლზე საქართველოს შესახებ ინფორმაციის მოძიება, რაც ჩვენი ნაკრების ჩასვლის შესახებ გაიგეს. ზოგი იმასაც გვეუბნებოდა, — თქვენ რუსეთის ნაწილი ხართო, რასაც საშინლად ვაპროტესტებდით. ისე, ბანკში ისეთი ქალიც შეგვხვდა, რომელმაც ისიც კი იცოდა, რომ რუსეთთან ომი გვქონდა. მაგრამ ყველაზე მაგარი განცდა რა იყო იცით? მთელი ქალაქი აჭრელებული იყო საქართველოს დროშებით, რამაც ერთდროულად გამაოცა და გამახარა კიდეც.

***— ანუ, ადგილობრივები ჩვენ გვგულშემატკივრობდნენ? რამე განსაკუთრებული მიზეზი ჰქონდათ ამისთვის?***

— ვერ გეტყვით რა მიზეზი ჰქონდათ, მაგრამ ყოველი ფეხის ნაბიჯზე იგრძნობოდა ჩვენდამი კეთილგანწყობა. ალბათ იმიტომ, რომ ახალი ზელანდია რაგბის ქვეყანაა და კარგი თამაშის ფასი იციან. სუნამოების მაღაზიაში შევედით და გამყიდველმა ქალმა გვითხრა, ჯორჯიას ვგულშემატკივრობო. როგორ იყო იცით, როცა არგენტინა-საქართველოს თამაში იყო, მაშინ არგენტინას უჭერდნენ მხარს. ჩვენი და რუმინეთის თამაშის დროს, მგონი ყველა ჩვენს მხარეს იყო. სტადიონი სავსე იყო საქართველოს მაისურიანი ზელანდიელებით. სახეზეც საქართველოს დროშები ჰქონდათ დახატული. წარმოიდგინეთ, ჩვენ რა დღეში ვიყავით ამ ყველაფერს რომ ვუყურებდით.

***— ალბათ განსაკუთრებული განცდაა ისეთ მაგარ გუნდს რომ გულშემატკივრობ, როგორიც ჩვენი ნაკრებია რაგბიში.***

— რა თქმა უნდა და თანაც საქართველოდან შორს რომ ხდება ეს ყველაფერი, ასმაგი ემოცია გაქვს. ჩვენი ბიჭები ძალიან მობილიზებულები იყვნენ და რაც მთავარია, გამარჯვებისთვის განწყობილები. თამაში იმდენად ემოციური იყო, რომ მკითხოთ ახლა ვინ რა ლელო გაიტანაო, ვერ გეტყვით. ზუსტად ის მახსოვს, რომ მოვიგეთ.

***— მეორე გამარჯვებულმა მითხრა, რომ იქედან მოწონებული გოგოსთვის სიყვარულის ახსნას აპირებდა და თქვენც ეხმარებოდით ამ ამბავში, მაგრამ გადაიფიქრეთ, რამ შეგიშალათ ხელი?***

— ჩვენ კი არა, თვითონ გადაიფიქრა და რატომ, ეგ აღარ ვიცით. თორემ ჩვენ ყოველ წუთს მზად ვიყავით. ავთო ყველაზე უმცროსი და გამოუცდელი იყო ჩვენს შორის. ფრიდონა შევარქვით, იმიტომ რომ იქ მის სახელს ვერავინ იმახსოვრებდა და ძირითადად ავტოს ეძახდნენ. ახალ ზელანდიაში ფრიდონას ყველაზე დიდი პრობლემა იყო გზაზე გადასვლა. იქ მოძრაობა საპირისპირო მიმართულებითაა და უხეშად რომ აგიხსნათ, თავი უკულმა უნდა ატრიალო. ვერაფრით ვერ დაიმახსოვრა ეს ჩვენმა უმცროსმა მეგობარმა და ერთხელ კინაღამ ავტობუსი დაეჯახა, მეორედ — ახალი ზელანდიელი გოგო. ის გოგო უცინოდა, ფრიდონა კიდე უბღვერდა. საბოლოო ჯამში, „პოდრუჩკით“ დავდიოდით ფრიდონასთან ერთად, სანამ ადაპტაცია არ გაიარა.

სამაგიეროდ, ისეთი ნიჭი აღმოაჩნდა ფრიდონას, რომელიც მაგრად გამოგვადგა და ამიტომ ფრიდონას ახალი სახელი შევარქვით — „ჯიპიესი“. აბსოლუტურად ზეპირად იმახსოვრებდა ყველა გზას, მისასვლელსაც და მოსასვლელსაც. არადა, ისეთი მიხვეულ-მოხვეული ქუჩები იყო, ეს ნამდვილად არ იყო მარტივი ამბავი. რაც მთავარია, არასდროს შემცდარა. მერე უკვე, სინგაპურის აეროპორტშიც გამოავლინა ეგ ნიჭი. ერთი სიტყვით, მე და თორნიკე ფრიდონას იმედზე დავდიოდით.

***— გავიგე, ახალ ზელანდიაში ყველაზე საშინელ მტაცებელ ცხოველებზე სანადიროდ იყავით და საყოველთაო აღიარება მოიპოვეთ, მართალია ეს ამბავი?***

— აუუუ, ეგ იყო საოცარი ისტორია, ჩვენი და ფოლსომების შებმა. მოკლედ, ნადირობა სულაც არ იყო დაგეგმილი. აღმოჩნდა, რომ „ნატახტარის“ თორნიკე

არის ნადირობისა და თევზაობის დიდი მოყვარული და იქ შევედით სამონადირეო მაღაზიაში. საკმაოდ დიდხანას გავჩერდით, იმტომ რომ თორნიკე თითოეული ანკესის ისტორიას სწავლობდა. გამყიდველიც ძალიან ენაწყლიანი ტიპი აღმოჩნდა და ბოლოს იმითაც დაინტერესდა, საიდან ვიყავით. რომ გაიგო საქართველოდან

ვიყავით და თანაც ჩვენს ქვეყანაში მგლები არიან, სულ გაგიჟდა. თურმე ახალ ზელანდიაში მტაცლები არ არიან და ყველაზე დიდ მავნებლად ითვლება კურდღელი, — ბალახს გვიჭამსო. რომ გაიგო, ჩვენთან დათვიც არის, ტურაც და გარეული ტახიც, გვითხრა მე ახლა თქვენ დაგპატიჟებთ სანადიროდ და საქართველოში რომ ვიქნები, მერე თქვენ დამპატიჟეთ მგლებზე სანადიროდო. რადგან ჟურნალისტებთან ერთად ვიყავით და ერთ მანქანაში ვერ ვეტეოდით, თავის თანამშრომელს თხოვა ისიც წამოსულიყო მანქანით. თან, ისეთი სტუმართმოყვარეობა გამოიჩინა, რომ თავისიანი უკან ჩასვა, საბარგულში და ჩვენ წინ მოგვათავსა კომფორტულად. ყოველ 5 წუთში კი კითხულობდა თავის მეგობარს, არ გაიგუდოსო. ბოლოსდაბოლოს ვიკითხეთ, რაზე სანადიროდ მივდივართ-თქო და გვითხრეს, — ფოსომებზეო. იქ ისეთი ღრმა პროფესიული საუბარი მიდიოდა მონადირეებს შორის, რომ სირცხვილით ვერ ვიკითხეთ, რა იყო ეს ფოსომი. ბოლოსდაბოლოს, მაინც რომ ვერაფერს მივხვდით, ვიკადრეთ და ვკითხეთ.

აღმოჩნდა, რომ ეს იყო ხეზე მცოცავი რაღაც არსება, რომელიც ფოთლებს ჭამდა. ერთი სიტყვით, სანამ არ მოვკალით, ვერაფრით გავიგეთ, რა იყო ეს ფოსომი. აღმოჩნდა, რომ ერთი „ბულკივით“ ცხოველია. წარმოიდგინეთ, ციყვის მსგავსი, უფრო დიდი თავით და უფრო პატარა კუდით, ბრჭყალებით, ჭამს მხოლოდ ფოთლებს და ახალ ზელანდიაში სარგებლობს საშინელი რეპუტაციით. მივადევგით ამ ფოსომებს და გავჟუჟეთ დედაბუდიანად, მაგრამ თორნიკემ ყველა რეკორდი მოხსნა. ისეთი ნადირობა აჩვენა იქ, რომ ტაშს უკრავდნენ ბოლოს და ტაშითვე გამოაცილეს.

***— ამ დიდ მოგებამდე რამე სხვა გათამაშებაში მიგიღია მონაწილეობა?***

— არა, არაფერში საერთოდ და არც არაფერი მომიგია, თუ არ ჩავთვლით კორპორაციულ გათამაშებას ჩემს სამსახურში, სადაც DVD პლეერი მოვიგე.

***— „ნატახტარმა“ ახალი გათამაშება რომ მოაწყოს, რის მოგებას ისურვებდი?***

— რა გითხრათ, საერთოდ ნაკლებად მჯერა იმის, რომ ერთმა ადამიანმა ორჯერ მოიგოს ასეთი დიდი გათამაშება. ისე კი, მე ფეხბურთის დიდი ფანი ვარ. ახლა მსოფლიო ჩემპიონატი იწყება ბრაზილიაში და დიდი სიამოვნებით ამოვყოფდი იქ თავს, მაგრამ მოგების შანსი ალბათ ნულის ტოლი მაქვს, ისევე როგორც იმის შანსი, რომ ჩვენს ნაკრებს ვიხილავ მსოფლიო ჩემპიონატზე. თუმცა, ხომ იცით, კაცი იმედით ცოცხლობს და მეც მაგის იმედზე ვარ.

ლატარეაში ვინმეს ორჯერ მოეგოს, მე ეგეთი ამბავი არ გამიგია, მაგრამ გამოჩნდება ვინმე ბედნიერი, რომელსაც ისეთივე კარგ მოგზაურობასა და შთაბეჭდილებებს ვუსურვებ, როგორიც ჩვენ გვქონდა.



*დავით ამბოკაძე*

შედით საიტზე atb.ge



ნინო მეტრეველი

# ნაციონალები უკვე საარჩევნო სიებს ადგენენ

**დასავლეთიდან ლამის ყოველდღიური რეკომენდაციებით და შენიშვნებით, ბევრი რამ იმაზეა დამოკიდებული, 2012 წლის საპარლამენტო არჩევნებს რამდენად დემოკრატიულად და სამართლიანად ჩაატარებთ, ოპოზიცია კია ნიშნის მოგებით აღფრთოვანებული, ან სამართლიანად ჩაატარებენ და წააგებენ, ან არადა, რა ჩიტსაც დაიჭერენ, ნახავენო, მაგრამ იმ არჩევნების აგკარგიანობაზე „არა მხოლოდ ნაციონალური მოძრაობის, არამედ ქვეყნის ბედიცაა დამოკიდებული. ამაზე სულ ახლახან ნატოს გენერალურმა მდივანმა სხეფერმაც გამოგვიცხადა არაორზროვნად.**

უფრო ადრე, საფრანგეთის პრეზიდენტმა, რომელიც ჩვენმა ხელისუფლებამ მიიღო, როგორც საუკეთესო მეგობარი და გააცილა,როგორც არასასურველი სტუმარი. სარკოზი აეროპორტამდე არც ერთ ქართველ პატივსაცემ სახელისუფლებო გვამს არ მიუცილებია. როგორც ითქვა, თავისი შენიშვნებით და რეკომენდაციებით სააკაშვილს თავი იმდენად მოაბეზრა, კარისკაცებსაც კი აუკრძალა მისი გაცილებაო.

2012 წლის ოქტომბრის არჩევნები რომ სამკვდრო– სასიცოცხლო იქნება, ამის წამწვარი სუნი უკვე ტრიალებს.

პოლიტიკაში შემოჭრილმა ბიძინა ივანიშვილმა ფეხის შემოდგომისთანავე გამოაცხადა, რომ მომავალ პარლამენტში უმრავლესობა აუცილებლად სჭირდება ქვეყნისთვის აუცილებელი ცვლილებებისთვის და ამისთვის ყველაფერს გააკეთებს. ტრადიციულად უმრავლესობისთვის იბრძოლებს ნაციონალური მოძრაობაც. საქართველოს საკანონმბდებლო ორგანოში ყველა ხელისუფლების დროს კანონები ხელისუფლების ახირებების და ხუშტურების მიხედვით მიიღება იმის გამო, რომ უმრავლესობა ჰყავთ და არავისთან კოალიცია არ სჭირდებათ, ამიტომ ვართ კარგ დღეში. ერთ დროს მაია ნადირაძე რომ აცხადებად ამაყად, ახლა ჩვენ ვართ ხელისუფლებაში და იმას ვაკეთებთ, რაც გვინდა დაროგორც გვინდა, მერე თქვენ რომ იქნებით, ისე გააკეთეთ, „როგორც საჭიროდ ჩათვლითო. დღეს ამას პირდაპირ სახელისუფლებო პარტიაარ გვეუბნება, უფრო მოზომილები გახდნენ, მაგრამ საქმით იგივეს აკეთებენ. ამდენად კარგად გვაქვს ნაწვნევი რა „ბედნიერებაა“ ძალისთვის, როცა ერთ პარტიას შეუძლია თავისი ნება-სურვილებით ხალხის ნების გადაწყვეტა, რაოდენ პოპულარულიც არ უნდა იყოს და ხალხის მაღალი ნდობით სარგებლობდეს. თავის დროზე ნაცმოძრაობისადმი ნდობა პლუს უსასრულობამდე იყო და სწორედ ამ მაღალმა ნდობამ გაუჩინა მათ “მე ვარ და ჩემი ნაბადის გრძნობა.“ საბოლოოდ ყველაფერზე ტაშის დაკვრამ და ბრმად მიყოლამ ლიდერის გადაწვეტილებებისკენ სადამდემიგვიყვანა, საკუთარ ტყავზე კარგად ვიწვნიეთ.



პეტრე ცისკარიშვილი

აქამდე ოპოზიციაში ყველა თანხმდებოდა, რომ მომავალი პარლამენტი და მთავრობა კოალიციური უნდა იყოს. პარლამენტში კანონების მიღება სხვადასხვა ოპოზიციური პარტიების შეთანხმებითუნდა ხდებოდეს და მინისტრთა კაბინეტიც სხვადასხვა პოლიტიკური ძალებით უნდა იყოს დაკომპლქტებული, რომ ხალხის მოგებას თუნდაც სამომავლო არჩევნებში ხმების მისაღებადცდილობდნენ და არა პიარით, არამედ საქმის რეალურად კეთებით.

კოალიციური მმართველობის დროს შენი ოპონენტი პარტიის წევრი არ მოგცემს ხალხის მოტყუებით ქულების ჩაწერის უფლებას.

ოპოზიციაში ეს ხელმოუწერელი შეთანხმება, რომ ერთი ნებისმიერი პარტიისთვის საპარლამენტო უმრავლესობის ყოლა ქვეყნისთვის დაღუპვას ნიშნავს, რომ ახალ პარლამენტში ყველა გადაწყვეტილება პარტიებს შორის კონსენსუსის საგანი უნდა იყოს, მთავრობა– კოალიციური, ბიძინა ივანიშვილმა შეცვალა და არსებული თამაშის წესები ძალაში დატოვა– უმრავლესობა პარლამენტში, რაც ავტომატურად ნიშნავს მთავრობის ერთი პოლიტიკური ძალით დაკომპლექტებას.

საკმაოდ საეჭვო შინაარსის ამ განცხადებაზე, რასაც კარგა არაფრამდე მიჰყავს ქვეყანა, ივანიშვილის პარტნიორმა რესპუბულიკელებმა და „თავისუფალმა დემოკრატებმა, „გაატარეს,“ ისე, ვითომ არც გაუგიათ. არადა, ძალიან ყურადსაღები და მნიშვნელოვანი განცხადებაა. სხვათა შორის, ისევ რესპუბლიკელებისგან გამიგია, რომ სააკაშვილი ხელისუფლებამ გარყვნა, თორემ ასეთი აზრები პრეზიდენტობამდე არ აწუხებდა და დიდი ძალაუფლება ყველას რყვნისო. შესაბამისად არც დღეს ძალიან პოპულარული ივანიშვლის კარგი გუნების იმედად შეიძლება ყოფნა. ხელისუფალის გამაწონასწორებელი ძლიერი ოპოზიციაა და პარლამენტში უმრავლესობის ყოლის სურვილისკენ მინიშნება უკვე ცუდია, რაც არ უნდა კარგი განზრახვით იყოს ჩაფიქრებული.

მომავალ პარლამენტში საკუთარი უმრავლესობისთვის საფუძვლის ჩაყრას ნაცმოძრაობა უკვე შეუდგა. შემდეგი მომწვევის საკანონმდებლო ორგანოში, სადაც პოლიტიკურ ძალებს ქუდზე კაცი ეყოლებათ საძებარი, არა 75, არამედ 83 მაჟორიტარი იქნება. მაჟორიტარ დეპუტატებად რომ ხელისუფლების რჩეულებს ირჩევენ და მათ რჩეულებსამომრჩეველიარჩნვების შემდეგ საერთოდ ველარ ხედავს, ეს ხელისუფლებაშიც კარგად იციან, მაგრამ მათი რაოდენობა მაინც გაზარდეს. ამდენად თუ პოლიტიკური ბალანსი და განლაგება პოლიტიკურ დაფაზე მომდევნეო არჩევნების წინ რადიკალურად არ შეიცვალა, ნაცმოძრაობას ახალ პარლამენტში 83კაცი მაჟორიტარების სახით უკვე გარანტირებული ჰყავს. ისე როგორ მოკვდებიან ნაცები, რომ ოცი კაცი პარტიის სიითაც არ გაიყვანონ და საკონსიტიტუციო თუ არა, უბრალო უმრავლესობა მაინც ხელთ არ იგდონ. ასეთ შემთხვევაში კონსტიტუციაში ცვლილებების გარდა ყველაფრის გაკეთებას შეძლებან. საკონსტიტუციო უმრავლესობა წესით აღარც სჭირდებათ, რაც გასაფუჭებელი იყო, ამ რვა წლის განმავლობაში ყველაფერი გააფუჭეს და კონსტიტუცია რამდენჯერმე მორიგეს პაპის დანატოვარი ჩოხასავით ტანზე.

პრეზიდენტი ამბობს, ძალიანაც არ მინდოდა პარლამენტის წევრთა რაოდენობის გაზრდა, მაგრამ ოპოზიციას ხათრი ველარ გავუტეხე, დიდი რაოდენობის საპარლამენტო ორგანოში უფრო მეტი შანსი აქვთ შესვლისო. შეიძლება ასეც იყოს, თუმცა აქ ოპოზიციის, თუნდაც სულგაყიდული ოპოზიციის ხათრი არაფერ შუაშია. თავად ნაცებს სჭირდებათ „დემოკრატიის შუქურა“ ქვეყანაში დემოკრატიის ლამაზი ფერებით აჭრელებული არჩევნები და პარლამენტი, სადაც რამდენიმე სამი, ხუთი, თუნდაც ათკაციანი ოპოზიციური პარტია იქნება რითაც მთელ მსოფლიოში იტრაბახებენ, ნახეთ, რა დემოკრატიული არჩნევნებიჩავატარეთო. თან უმრავლესობა ეყოლებათ და თავიაანთ ჭკუაზე იპარპაშებენ.

პარლამენტის წევრთა რაოდენობის შემცირება 235 დან 150-მდე 2003 წლის ნომებრის რეფერენდუმით გადაწყდა, რომელიც საპარლამენტო არჩევნებთან ერთად ჩატარდა. ვარდების რევოლიციის შემდეგ იმ სამი ბიულეტენიდან, რომელიც ორ ნოემბერს საარჩევნო ყუთში ჩავარდა, ორი მაჟორიტრის და რეფერენდუმის ბიულეტენები ვარდოსნებმა სამართლიანად ცნეს, ერთი, რომლითაც პოლიტიკური პარტია იყო შემოხაზული– გაყალბებულად. მაშინ მთელი მაჟორიტართა კორპუსი რევოლუციონერთა მხარეს გადაბარგდა და მათ შეცვლაში არაფერი ხეირი იყო, პროპორციულ ნაწილის შეცვლაკი გამარჯვებულებისთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი იყო. ჯერ ერთი, იმის საჩევნებლად, რომ არჩევნები მართლა გაყალბდა და მეორეც, 2 ნოემბრის არჩევნებში პარლამენტში სოლიდური რაოდენობით გასული მოქკავშირის, „აღორძინების“ და ლეიბორისტების ჩასანაცვლებლად. მათი ადგილები ხელმეორედ ჩატარებულ არჩნევნებში ნაცებმა გადაინაწილეს. ერთი შეხედვით, ესსხვა თემაა, მაგრამ არცთუ სხვა. მაშინ რომ აჰყვა ეიფორიაში მყოფიხალხი რევოლუციონერებს, ყველაფერში ყოველგვარი განსჯის გარეშე, უსიტყვოდ ეთანხმებოდა და ერთი არავინ იკითხა, არც ქვეყნის შიგნით და არც გარეთ, ერთ საარჩევნო ყუთში სამი ბიულეტენიდან ორი რეალური და ერთი გაყალბებული როგორ იყოო, იგრძნეს თავი ქვეყნის მამა-პატრონებად და ამიტომ ვართ ამ დღეში.

რეფერედუმის შედეგების გაუქმება მხოლოდ რეფერენდუმით შეიძლება, მაგრამ ეს პრობლემა ხელისუფლებამ ძალიან მარტივად, ძველებური „ნაციონალური“ ხერხით მოხსნა.

## დაჯარიმებული პირები ადმინისტრაციული სახდელებისაგან გათავისუფლდებიან

ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის რიგი მუხლებით დაჯარიმებული პირები დაკისრებული ადმინისტრაციული სახდელებისგან გათავისუფლდებიან. სწორედ ამას ითვალისწინებს ზოგიერთი ადმინისტრაციული სახდელისაგან გათავისუფლების შესახებ საქართველოს კანონის პროექტი, რომლის ინიცირება პარლამენტის ბიუროს სხდომაზე მოხდა. საკანონმდებლო ინიციატივა მთავრობას ეკუთვნის. პროექტის თანახმად, დაკისრებული სახდელისგან გათავისუფლება კოდექსის 53/2-ე მუხლით დაჯარიმებულ პირებს შეეხება. ის მიწის ნაკვეთის არამიზნობრივად გამოყენებას და ამ ქმედების ჩამდენის 500-დან 1000 ლარამდე დაჯარიმებას ითვალისწინებს.



ჯარიმისგან თავისუფლდებიან უკანონო ტყითსარგებლობის გამო (მუხლი 66) დაჯარიმებული პირებიც, რომელთაც 500 ლარის ოდენობის ჯარიმა და სამართალდარღვევის საგნის კონფისკაცია დაეკისრათ.

ამნისტია ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 77-ე მუხლსაც (ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა გაფრქვევა ნორმების გადამეტებით ან ამ ნორმების უქონლობისას და ატმოსფერულ ჰაერზე მავნე ფიზიკური ზემოქმედება) ეხება, რაც 500-დან 1000 ლარამდე დაჯარიმებას ითვალისწინებს, კანონის 82-ე მუხლს (ატმოსფერული ჰაერის მავნე ნივთიერებებით დაბინძურება ნებისმიერი ტიპის ნარჩენების ღია წესით ან არადანიშნულების საწვავ დანადგარებში დაწვისას), რასაც 400-დან 600 ლარამდე დაჯარიმება მოჰყვება, 82/1-ე მუხლს (ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა გაფრქვევების აღრიცხვის მონაცემების დადგენილი ფორმითა და დადგენილ ვადებში წარმოუდგენლობა), რაც 150-ლარიან ჯარიმას გულისხმობს და ასევე 82/2-ე მუხლების პირველი, მეორე, მეხუთე და მეექვსე ნაწილებით გათვალისწინებულ ქმედებებს (გარემოსდაცვითი ტექნიკური რეგლამენტების მოთხოვნების დარღვევა), რაც საერთო ჯამში 500-დან 4000 ლარის ოდენობის ჯარიმის დაწესებას ითვალისწინებს.

კანონპროექტით, დაჯარიმებისგან ხე-ტყის პირველადი გადამუშავების, ხე-ტყის ტრანსპორტირებისა და რეალიზაციის მოთხოვნათა დარღვევის გამო სანქციადაკისრებული პირებიც უნდა გათავისუფლდნენ. ამნისტია შესაბამისი, 128/2-ე მუხლის პირველი, მეორე და მესამე ნაწილებით გათვალისწინებულ ქმედებებს ეხება, რასაც პირების 2000 და 4000 ლარით დაჯარიმება მოჰყვა.

ამავე პროექტში კოდექსის 128/3-ე მუხლის პირველი, მეორე და მესამე ნაწილებით გათვალისწინებული ქმედებების ამნისტირებაც არის გათვალისწინებული, რაც ხე-ტყის პირველადი გადამამუშავებელი ობიექტის (სახერხი საამქრო) ტექნიკური რეგლამენტის მოთხოვნების დარღვევას ეხება და 500-დან 1000 ლარის ოდენობის ჯარიმებს ითვალისწინებს.

აღსანიშნავია, რომ ამნისტია იმ პირებს შეეხებათ, რომლებმაც ზემოთ ჩამოთვლილი ქმედებები 2011 წლის 1 ნოემბრამდე ჩაიდინეს და რომელთა მიმართაც ადმინისტრაციული სახდელის დადების შესახებ დადგენილება ჯერ არ აღსრულებულა.

**მედიანიუსი**

## რასმუსენი ველოსიპედიდან გადავარდა და ხელი მოიტეხა



ანდერს ფოგ რასმუსენი

ნატოს გენერალურმა მდივანმა ანდერს ფოგ რასმუსენმა ველოსიპედით სეირნობისას მარცხენა ხელი მოიტეხა და ამის გამო რამდენიმე მნიშვნელოვანი ღინისძიების გადადება მოუწია.

იგი „ნატო-რუსეთის“ საბჭოს სხდომაში მონაწილეობას ვერ მიიღებს. ამ სხდომაზე ჰაერსაწინააღმდეგო თავდაცვითი სისტემების საკითხი უნდა განხილულიყო. ზემოხსენებულ ინციდენტს რასმუსენი ფეისბუკზე, თავის ოფიციალურ გვერდზე ეხმიანება.

– ძვირფასო მეგობრებო, სამთო-ველორბოლა სახიფათო სპორტია. გუშინ მე ჩემი ველოსიპედიდან გადმოვარდი და სამწუხაროდ მარცხენა მხარზე მოტეხილობა აღმენიშნება. ჩემი მარცხენა ხელი მთლიანად თაბაშირშია ჩასმული. მოძრობა აკრძალული მაქვს. გამოჯანსაღების პროცესს გარკვეული პერიოდი დაჭირდება. საუბედუროდ, მე მომიხდა ესტონეთში, ლატვიასა და ლიტვაში დაგეგმილი ტურნეს გადადება. მალე დავბურნდები, – ვკითხულობთ რასმუსენის განცხადებაში.

**მედიანიუსი**

## სოფელ არბოშიკში 200-მდე ოჯახი სასმელი წლის გარეშეა დარჩენილი

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის სოფელ არბოშიკში 200-მდე ოჯახი სასმელი წლის გარეშეა დარჩენილი. პრობლემას წყალსაქაჩი მოტორი ქმნის, რომელიც ადგილობრივების განცხადებით, 8 თვის წინ დაიწვა და მისი შეკეთება არ ხდება.

– არბოშიკელების თქმით, წყლის მოტანა 10 კილომეტრის მანძილიდან უწევთ. ხშირად წყალზე წასულებს გზაშიც აღამდებათ. ჩვენთან საუბარში ადგილობივებმა განაცხადეს, რომ დახმარებისთვის რწმუნებულსაც და რაიონის სპირველ პირებსაც მიმართეს, თუმცა პრობლემა მაინც არ გვარდება, – იუწყება რადიო „ჰერეთი“.

სოფლის რწმუნებული რობიზონ დათუკიშვილი ამბობს, რომ გაზაფხულამდე მდგომარეობა ვერ გამოსწორდება რადგან, მიმდინარე წლის სოფლის დახმარების პროგრამა უკვე გახარჯულია, სხვა თანხები კი არ აქვთ. დათუკიშვილის თქმით, მოსახლეობას მოტორის ყიდვა საკუთარი თანხებითაც შესთავაზეს, თუმცა მათ ფულის შეგროვებაზე უარი თქვეს.

**მედიანიუსი**

## 2011 წლის სახელმწიფო ბიუჯეტი 213 მილიონი ლარით იზრდება

2011 წლის სახელმწიფო ბიუჯეტი 213 მილიონი ლარით იზრდება. შესაბამისი ცვლილებების პროექტი მთავრობამ პარლამენტში დღეს წარადგინა. ბიუჯეტის პროექტით, დაახლოებით 120 მილიონი ლარით იზრდება საგადასახადო შემოსავლები, სხვა შემოსავლებისგან მიღებული თანხა კი 100 მილიონ ლარს აღწევს. მთავრობის საპარლამენტო მდივან გიორგი ხუროშვილის განცხადებით, საგადასახადო შემოსავლების ზრდა დაბალი საგადასახადო წნეხის პირობებში ეკონომიკის სტიმულირების ზრდის, რეფორმებისა და ინოვაციების შედეგია.



გიორგი ხუროშვილი

ბიუჯეტში ცვილებების შედეგად, რიგი საბიუჯეტო ორგანიზაციების ასიგნებებიც იზრდება.

ხუროშვილის ინფორმაციით, თანხა მიიმართება ჯანდაცვის, სოფლის მეურნეობის პროგრამების დაფინანსებაზე, სასჯელაღსრულების დაწესებულებებში გრძელვადიანი პაემნების ოთახების კეთილმოწყობაზე, ინფრასტრუქტურულ და ა.შ. პროექტებზე. როგორც ბიუროს სხდომაზე საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის თავმჯდომარე ზურაბ მელიქიშვილმა განაცხადა, აღნიშნული ცვლილები, ძირითადად, მთლიანი შიდა პროდუქტის მაჩვენებლის 4,5-დან 6 პროცენტამდე ზრდით არის განპირობებული. მიმდინარე წლის ბიუჯეტში ცვლილებების პროექტს პარლამენტი 24 ნოემბერს განიხილავს და დაამტკიცებს.

**მედიანიუსი**

თამარ ნინიძე

# რატომ არ უმართლებთ ლეიბორისტებს

შალიკომ, როგორც მას უწოდებენ ჟურნალისტები, სწორედ ჟურნალისტებს უგანა ცოტა ხნის წინ. შალვას მორიგი შემოტევა სიბრაზის ფონზე უვითარდება ხოლმე. ადრეც ჰქონდა მსგავსი შემთხვევები, ხან ერთ ტელეარხს და გაზეთს შემოსწყრებოდა, ხან მეორეს, ხან კონკრეტული ჟურნალისტის ობიექტური და სიმართლით სავსე სტატია არ მოეწონებოდა, არც ილიას შეგონება მოსწონს ეტყობა, მოყვარეს პირში უძრახეო.

ახლაც ნათელაშვილი ,,კავკასიასა" და მაესტროს" უბრაზდება. დავით აქუბარდიას, როგორც ჩანს, ისე მობეზრდა შალიკოს გაბუტვები, რომ პიდაპირ ეთერში ღიად შეუთვალა, რაც გინდა გიქნია, მომბეზრდა შენი ხუშტურების ატანაო. შალვას პარტია თავზე მერამდენედ ემხობა, ნესტან კირთაძის პარტიიდან გაქცევაზე მედიას ბევრი რომ არ ელაპარაკა, შალვამ 7 ნოემბრის აქცია მოიგონა და გააპიარა, 2007 წლის 7 ნოემბრის დარბევის ოთხი წლისთავზე ყველა პარტიამ საპროტესტო აქცია უნდა გამართოს, ლეიბორისტები პარლამენტთან ვიკრიბებით და ვისაც გინდათ შემოგვიერთდითო. არავინ შემოერთებიათ, ის კი არა, შალვასგან დაწუნებული ბიზნესმენის ივანიშვილის პრესსამდივნომ განცხადება გაავრცელა, ეს შალვას კი არა, მიშას მიტინგია და ნუ შეურთდებითო.

ამიტომაც ვერ შეიკრიბა ქუდზე კაცი პარლამენტის წინ შალვას შეძახილზე, მივიდნენ მხოლოდ პარტიის აქტივისტები და ას კაცამდეც კი ვერ მოგროვდნენ. მოკლედ, ფართოდ რეკლამირებულმა აქციამ სრული კრახი განიცადა, შალვა კი საეჭვოა, ასეთი მცირერიცხოვანი პიარაქციებით იმ სტაბილურ ელექტორატს შეინარჩუნებს, რომელიც მას რატომღაც დიდი ხანია მოჰყვება. პირიქით, ექსპერტები ამბობენ, რომ შალვას ელექტორატი ბიძინასკენ გადაიქაჩება და შალვას არა თუ პრეზიდენტობა, დეპუტატობაც კი უკან დარჩებაო. არადა შალვას ჰქონდა პოტენციალი, ადრე, ჯერ კიდევ 2002 წელს, როცა გრიალით შევიდა დედაქალაქის საკრებულოში, სააკაშვილთან რომ არ მოელაპარაკა, ახლა ვინ იცის, ეგებ ,,შალვა გადადექი" ეძახა ოპოზიციას. იმასაც ამბობდნენ, შალვა პარლამენტში ადგილებს ყიდისო. სიებში მოხვედრაზე სარფიანი ვაჭრობაა გაჩაღებული და რეიტინგული შალვა ლოკომოტივის როლში ვიღაცვიღაცეებს დეპუტატად გასვლაში დაეხმარაო.

ჭორ–მართალი ერთმანეთში აირია, შალვას, სამწუხაროდ, არ სწყალობს ბედი, ფორტუნა მის მხარეს არ არის. ვერა და ვერ დგება იქ, სადაც ქარიშხალია, 2008 წლის არჩევნებზე, როცა სხვა ოპოზიციონერებმა მანდატები დახიეს, შალვას ლეიბორისტები დეპუტატები გახდნენ, მართლა კურიოზია, პარლამენტში რომ არ დადიან და ხელფასებს კი იღებენ, ნაციონალები კი რაღაც დიდი ენთუზიაზმით არ აპროტესტებენ ამ უცნაურობას. ვფიქრობ, ლეიბორისტების კერძო საკუთრებისადმი განსაკუთრებულ სიძულვილს მხოლოდ მისი მცირერიცხოვანი ელექტორატი თუ იზიარებს. აბა, ლოზუნგი: ,,მიწა გლეხებს, ქარხნები მუშებს", დიდი ოქტომბრის რევოლუციის ბელადის ვლადიმერ ლენინის შემდეგ შალვას გარდა სხვას არავის აუტაცებია. მეტიც, გაიხსენეთ, რა ამაყად აცხადებს ,,ამხანაგი" შალვა, წავართვათ კორუმპირებულებს მათი ქონება და დავურიგოთ უსახლკაროებსო; აი ეს ლოზუნგი კი მიშა სააკაშვილმა შალვას წაართვა თუ შალვამ მიშას, დაბეჯითებით ვერ ვიტყვი. Kსერიოზული პოლიტიკური კარიერის დასაწყისი ეტყობა დაბოლოებისკენ მიდის, დიდ რეჟისორს ფანტაზია შემოაკლდა, ძველებურად ვეღარ ბრწყინავს.

2009 წლის 26 მაისს სტადიონზე შეკრებილი ხალხის წინაშე ბევრმა ოპოზიციონერმა ლიდერმა ჩაიარა საზეიმო მარშით, ბევრი მათგანი ერთმანეთთან მეგობრულად, მხარდამხარ მოდიოდა, მხოლოდ შალვა გამოჩნდა მარტო, ეულად, ეტყობა სურდა ეჩვენებინა, მე ვარ და მხოლოდ მე და სხვა არავინ თქვენი ჭეშმარიტი მხსნელიო. შალვა ახლაც თამაშგარე პოზიციაზეა, მისდა სავალალოდ, რამდენიმე ოპოზიციონერთან ერთად შალვაც აღმოჩნდა ბიძინასგან გარიყულთა რიგში. ერთი რომ დაეძახა, შალვა მყისვე მასთან გაჩნდებოდა, მაგრამ ახლა ბიძინა მისთვის პირსისხლიანი ამერიკული პროექტია, ობამას ხელდასმული და პირადად მხარდაჭერილი ახალი სახე. შალვას არაჩვეულებრივი ტალანტი აქვს, ისეთ დროს თქვას თანამშრომლობაზე უარი, როცა ეს ყველაზე მეტად წაადგება მისი პარტიის რეი-



ტინგს, კარგა ხანია ოპოზიციონერების გვერდით აღარ ჩნდება, ფსევდოები არიან და მარტო მე ვიბრძვი ჭეშმარიტებისთვისო. ოპოზიციონერების კვალდაკვალ ბოიკოტს ჟურნალისტებსაც უცხადებს. საით მიყავს პარტია შალვას, ეს შეიძლება თვითონ მანაც არ იცის.

საკუთარი განსაკუთრებულობის დამტკიცებისთვის იბრძვიან ,,ახალი მემარჯვენეებიც", ჩნდებიან იქ, სადაც იმ არსებულ რეალობაში არ უნდა ჩნდებოდნენ, თავს აფიქსირებენ იმ ვითარებაში, რომელიც მათთვის იმ მომენტში წამგებიანია. თვალი გადავავლოთ მათ წარსულს.

ახლად შექმნილი პარტია პარლამენტში ნიკო ლეკიშვილთან მეგობრობის გამო მოხვდა. მოქალაქეთა კავშირის ე.წ. რეფორმატორების ფრთა, ჟვანია–სააკაშვილის მეთაურობით ახალგამოჩეკილი ბიზნესმენების ახალფეხადგმულ პოლიტიკურ ძალას, ცოტა არ იყოს, ირონიულად უყურებდა, პირადად დიადი ნიკო ლეკიშვილის პროექტად იხილავდნენ და პოლიტიკაში გრანდიოზულ მომავალსაც არ უწინასწარმეტყველებდნენ. ლევან გაჩეჩილაძე ჯივიესის ღვინოების მწარმოებელი და დავით გამყრელიძე, სადაზღვევო კომპანია ,,ალდაგის" შეფი იმხანად გავლენიან სახელისუფლებო ფიგურებთან მეგობრობას თავისი ბიზნესის ასაყვავებლადაც იყენებდნენ. Aარაერთხელ მოუწია გამყრელიძეს მოესმინა ჟვანიასა და სააკაშვილისგან ბრალდებები მისი მონოპოლისტური ბიზნესისა და საეჭვო ურთიერთობების შესახებ მაშინდელ შს მინიტრს კახა თარგამაძესთან. Pპირდაპირი ბრალდებით კი მხოლოდ გამყრელიძის ალდაგს ჰქონდა უფლება, დაეზღვია ავტომანქანები საქართველოში და თან შს მინისტრის მხარდაჭერით. ამ ბრალდებების გამო სმკ-სა და ახალ მემარჯვენეებს შორის დიდი უფსკრული გაჩნდა.

ახალგაზრდა პოლიტიკოსებს გაჩეჩილაძესა და გამყრელიძეს ამბიციები მოემატათ, მოგვიანებით მათ შორისაც გადაირბინა შავმა კატამ. ზოგიერთები ყველაფერში დამნაშავედ გამყრელიძეს მიიჩნევდნენ. ინტრიგების ხლართვა ამან დაიწყო, თორემ, აბა, ლევანი უბრალოა, სუფთა და პატიოსანიო. მოკლედ, ვინ იყო მტყუანი და ვინ არა, ეს არ არის მნიშვნელოვანი, ფაქტია, რომ დავითმა ლევანს პარტია აახია.

2003 წლის ვარდების რევოლუციის წინა პერიოდიც საინტერესოა, მაშინ, როცა ნახევარი თბილისი გარეთ იყო და შევარდნაძეს უყვიროდა გადადექიო და მეორე ნახევარი მიშას წყევლიდა, პარლამენტში ქვორუმი არ იკრიბებოდა და შევარდნაძე ახალ არჩეული პარლამენტის დეპუტატებს ემუდარებოდა, მოდით დარბაზში ქვორუმს ვერ ვკრიბავთ და პარლამენტის ლეგიტიმურობას ვერ ვადასტურებო. დიდი ხნის ხვეწნის შემდეგ ,,გადამწყვეტ" მომენტში ,,ახალი მემარჯვენეები" გამოჩნდნენ და შევარდნაძემაც ჩათვალა, ქვორუმს ვკრიბავ და პარლამენტი მუშაობას იწყებსო. მაგრამ, ამაოდ. ცოტა ადრე რომ გამოჩენილიყვნენ, შეიძლება დღეს პოლიტიკური რეალობა სხვაგვარი ყოფილიყო. ვარდების რევოლუციის დროს გამყრელიძე ანტიმიშისტი იყო, გაჩეჩილაძემ კი მორიგი კომპოტი გამოუშვა, ბოთლს სახელიც შეურჩია ,,მიხეილ სააკაშვილი."

ბევრი რომ არ გავაგრძელოთ, ,,რვიანი" ახლებმა" და ქრისტიან–დემოკრატებმა დაშალეს, უფრო მომხიბვლელი შეთავაზება მიიღეს ხელისუფლებისგან და ოპოზიციის გვერდით დგომის ნაცვლად სააკაშვილის ბანაკში ამოჰყვეს თავი. სამწუხაროა თუ სასიხარულო, ამას დრო გვიჩვენებს, სწორად მოიქცნენ თუ შეცდნენ, საპარლამენტო არჩევნებზე გამოჩნდება. ,,ახლები" აცხადებენ, რომ მარტო გავლენ არჩევნებზე, ასე გავიდნენ მარტონი საპრეზიდენტო არჩევნებზეც, როცა 4% ხმა აიღო მათმა ნაქებმა ლიდერმა. საკუთარ ძალებში დარწმუნებული ,,ლეიბორისტები" და ,,ახალი მემარჯვენეები" დღეს გზის გასაყარზე არიან. ,,რვიანს" რომ შლიდა, გამყრელიძემ მაშინ თქვა საინტერესო აზრი, თუ ჩვენ პარლამენტში ვერ გავალთ, მე პოლიტიკიდან წავალო. ასე რომ, ვნახოთ, გარეთ დარჩენის შემთხვევაში შეასრულებს თუ არა გამყრელიძე იმას, რაც დაიქადნა.

# საქართველოში ეკონომიკური ფორუმი გაიმართება

ნათია ხურცილავა

**საგარეო საქმეთა სამინისტროში ცხინვალში დეფაქტოდ ჩატარებული არჩევნები შეაფასეს. ისევე, როგორც საერთაშორისო თანამეგობრობა, საქართველო არ აღიარებს სამხრეთ ოსეთის მიერ ჩატარებულ ე.წ. საპრეზიდენტო არჩევნებს.**

უკანონო არჩევნებთან დაკავშირებით საგარეო საქმეთა სამინისტროში გაკეთდა განცხადება.

თბილისში ვერ ხედავენ განსხვავებას, ერთ დეფაქტო ხელისუფლებას, რომელი დეფაქტო ხელისუფლება ჩაანაცვლებს.

ე.წ. არჩევნებში, რომელიც ცხინვალში ჩატარდა, მონაწილეობა არ მიუღიათ საქართველოს მოქალაქეებს, რომლებიც ცხინვალის რეგიონში ცხოვრობდნენ და ახლა გამოძევებული არიან საკუთარი სახლებიდან.

საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე ნინო კალანდაძე აცხადებს, რომ საქართველოს მოქალაქეების ორ მესამედს არ მიუღია არჩევნებში მონაწილეობა და, შესაბამისად, ეს არჩევნები საოკუპაციო რეჟიმებისა და მათ მარიონეტების ფესევდო დემოკრატიის თამაშია.

– ეს ე.წ. არჩევნები საოკუპაციო რეჟიმებისა და მისი მარიონეტული რეჟიმების მორიგი მცდელობაა ფსევდო დემოკრატიული თამაშების გამოხატვისა. რა შედეგით წარიმართება ე.წ. არჩევნები და საბოლოოდ რა შედეგით დასრულდება, არც ჩვენთვის და არც საერთაშორისო თანამეგრობისთვის არავითარი არსებითი მნიშვნელობა არა აქვს. რეალურად საუბარია იმაზე, რომ ერთი მარიონეტული რეჟიმი მეორეთი ჩანაცვლდეს. ასევე საუბარია იმაზე, რომ ჩატარდეს არჩევნები საქართველოს იმ ტერიტორიაზე, სადაც მოსახლეობის ორ მესამედს წართმეული აქვს უფლება, რომ არჩევნებში მონაწილეობა მიიღოს, – განაცხადა საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილემ ნინო კალანდაძემ.

საგარეო საქმეთა სამინისტრი მადლობას უხდის საერთაშორისო თანამეგობრობას იმისთვის, რომ ისინი არ აღიარებენ ოკუპირებულ სამხრეთ ოსეთში ჩატარებულ ე.წ. საპრეზიდენტო არჩევნებს.

ცნობილი გახდა, რომ საგარეო უწყება უახლეს მომავალში გამოაქვეყნებს რუკებს, სადაც რუსეთ-საქართველოს შორის ტვირთებისთვის მონიტორინგის ზუსტი გეოგრაფიული მდებარეობა იქნება აღნიშნული.

ამის შესახებ ნინო კალანდაძემ განაცხადა.

– როდესაც დასრულდება ტექნიკურ საკითხებთან დაკავშირებული მხარეების მოგვარება, საგარეო საქმეთა სამინისტრო გამოაქვეყნებს რუკას, რათა კარგად ჩანდეს, თუ სად განთავსდებიან მონიტორები და სად გაივლება ხაზი, – განაცხადა კალანდაძემ.

მისივე თქმით, საქართველომ რუსეთის მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში გაწევრიანებასთან დაკავშირებით მოლაპარაკებებზე შეძლო ქართული მხარის მიერ დათქმულ პირობებზე დაეყოლიებინა მისკოვი.

ნინო კალანდაძის განცხადებით, შეთანხმება ითვალისწინებს გეოგრაფიულ აღნიშვნასაც.

საუბარია ფსოუზე, როკსა და ლარსის მონაკვეთზე.

– ჩვენთვის ეს ძალიან დიდი მიღწევაა, რადგან ხაზი გაესვა, რუსეთი ნაწილობრივ აღიარებს, რომ ეს არის საქართველოს ტერიტორია. ორგანიზაციაში რუსეთის გაწევრიანების საბოლოო ეტაპი სავარაუდოდ დეკემბერში დასრულდება, როდესაც საკითხი მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის გენერალურ საბჭოზე განიხილება, – განაცხადა კალანდაძემ.

კიდევ ერთი საკითხი, რაზეც კომენტარი საგარეო საქმეთა სამინისტროში გააკეთეს, ტაივანის მიერ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიების აღიარება - არ აღიარების საკითხს ეხება.

საგარეო უწყება ამ ეტაპზე ტაივანის მიერ ოკუპირებული ტერიტორიების აღიარების საფრთხეს ვერ ხედავს. ამის შესახებ განცხადებას კალანდაძე აკეთებს.

მისივე თქმით, რუსეთის ფედერაცია მსოფლიო ასპარეზზე აქტიურად მუშაობს, რომ მის მიერ უკანონოდ აღიარებული საქართველოს ტერიტორიების ლეგიტიმაციის გაზრდა სცადოს სხვადასხვა შემოვლითი გზებით.

– მიუხედავად ამისა, საგარეო საქმეთა სამინისტრო აქტიურად მუშაობს ამ მიმართულებით. საბედნიეროდ, აქამდე ძალიან წარმატებით. ჩვენ იმედს ვიტოვებთ, რომ მომავალშიც ჩვენი მცდელობა წარმატებული იქნება, – განაცხადა კალანდაძემ.

რუსეთში ტაივანის წარმომადგენელმა ანტონიო ჩენიმ რამდენიმე დღის წინ განაცხადა, რომ ტაივანი მზადაა აფხაზეთთან და ე.წ. სამხრეთ ოსეთთან სავაჭრო, ეკონომიკური და კულტურული თანამშრომლობა დაიწყოს.

საქართველოში კიდევ ერთ მაღალი დონის ვიზიტი იგეგმება.

საქართველოს 16 ნოემბერს ევროკავშირის უმაღლესი კომისარი საგარეო და უსაფრთხოების საკითხებში კეტრინ ეშტონი ეწვევა.

კეტრინ ეშტონი საქართველოს სამხრეთ კავკასიური ტურნეს ფარგლებში ეწვევა.

თბილისში ეშტონი აზერბაიჯანიდან ჩამოვა და ორი მაღალი დონის შეხვედრას გამართავს.

ევროკავშირის მაღალი დონის დიპლომატი შეხვედრებს საქართველოს პრეზიდენტთან და საგარეო საქმეთა მინისტრთან გამართავს.

შეხვედრებზე განხილული იქნება მთელი რიგი საკითხები, მათ შორის ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულების საკითხები.

თბილისში ვიზიტის დასრულების შემდეგ იგი 17 ნოემბერს ერევანში გაემგზავრება.

რეგიონული ტურნეს ფარგლებში კეტრინ ეშტონს მეორე ვიზიტი ექნება საქართველოში, ის გასულ წელს იმყოფებოსა საქართველოში.




საგარეო და უსაფრთხოების საკითხებში ევროკავშირის უმაღლესი კომისრის, კეტრინ ეშტონის პრეს-სპიკერმა განცხადება გაავრცელა, რომლის მიხედვითაც, ევროკავშირი საქართველოს სეპარატისტულ რეგიონში – სამხრეთ ოსეთში გამართულ არჩევნებს არ აღიარებს.

– საქართველოს სეპარატისტულ რეგიონში, სამხრეთ ოსეთში 13 ნოემბერს ჩატარებული არჩევნების შესახებ ინფორმაციის გათვალისწინებით, ეს განცხადება არის შეხსენება, რომ ევროკავშირი არ აღიარებს კონსტიტუციურ და კანონიერ ფარგლებს, რომელშიც ეს არჩევნები გაიმართა. ევროკავშირი ადასტურებს მხარდაჭერას საქართველოს ტერიტორიული ერთიანობისა და სუვერენიტეტისადმი, როგორც ეს აღიარებულია საერთაშორისო ნორმების მიხედვით. ევროკავშირი ხაზს უსვამს ჟენევის საერთაშორისო დისკუსიების მნიშვნელობას რეგიონში უსაფრთხოებისა და სტაბილურობის უზრუნველყოფისთვის, – ნათქვამია განცხადებაში, რომელიც ევროკავშირის ოფიციალურ ვებგვერდზეა განთავსებული.

მაღალი დონის კიდევ ერთი ვიზიტი გუშინ გაიმართა, ამჯერად თბილისს ეუთოს საპარლამენტო ასამბლეის გენერალური მდივანი ეწვია.

ოლივერ სპენსერმა თბილისში რამდენიმე მნიშვნელოვანი შეხვედრა გამართა.

როგორც ჟურნალისტებისთვის ცნობილი გახდა, ევროპაში უშიშროებისა და თანამშრომლობის ორგანიზაციის ასამბლეის ეკონომიკური ფორუმი თბილისში გაიმართება.

ამდენად, ოლივერ სპენსერის ვიზიტი ერთგვარი მოსამზადებელი ვიზიტია აღნიშნული ფორუმის წინ.

ეკონომიკური ფორუმი საქართველოში 2012 წლის მაისში გაიმართება და მასში 55 ქვეყნის 200-ზე მეტი დეპუტატი მიიღებს მონაწილეობას.

– ჩვენი მთავარი მიზანია მომზადება იმ შეხვედრისთვის, რომელიც აქ გაზაფხულზე გაიმართება. მასში ეუთოს წარმომადგენლები მიიღებენ მონაწილეობას. იმსჯელებენ რეგიონის ეკონომიკურ განვითარებაზე, ასევე ვისაუბრებთ კონკრეტულ საკითხებზე, რომელიც განხილული იქნება ფორუმზე, – განაცხადა ოლივერ სპენსერმა.

შედით საიტზე atb.ge

# კოტე მახარაძის იუბილეს მარჯანიშვილის თეატრი აღნიშნავს

ეკა ირემაშვილი

ქართველი მსახიობისა და სპორტული კომენტატორის კოტე მახარაძის 85 წლის იუბილეს 18 ნოემბერს კოტე მარჯანიშვილის სახელობის თეატრი იზეიმებს. ამ თარიღთან დაკავშირებით, წარმოდგენილი იქნება ლეგენდარული სპექტაკლი „ურიელ აკოსტა".

კოტე მახარაძე თეატრალური ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ რუსთაველის თეატრში მუშაობდა, თუმცა 1970 წელს გადავიდა მარჯანიშვილის თეატრში, სადაც მრავალ სპექტაკლში მიიღო მონაწილეობა. მათგან აღსანიშნავია ვერიკო ანჯაფარიძის მიერ 1972 წელს აღდგენილი ლეგენდარული სპექტაკლი „ურიელ აკოსტა", რომელშიც ურიელის როლს კოტე მახარაძე ასრულებდა, ხოლო ივდითის როლს, მისი მომავალი მეუღლე – სოფიკო ჭიაურელი. მოგვიანებით კოტე მახარაძემ ვერიკო ანჯაფარიძის სახელობის ერთი მსახიობის თეატრი „ვერიკო" ფიქრის გორაზე დაარსა, სადაც წლების განმავლობაში ვერიკო ანჯაფარიძე ოჯახთან ერთად ცხოვრობდა. ერთი მსახიობის თეატრში ძირითადად მონოსპექტაკლები იდგმებოდა, თუმცა მის რეპერტუარში იყო სპექტაკლები, რომლებშიც ორი მოქმედი პირი იყო.

კოტე მახარაძე ცალკე ფენომენია, როგორც სპორტული კომენტატორი. 1981 წელს მას მიჰყავდა ლეგენდარული მატჩი ფეხბურთში, ევროპის თასების მფლობელთა თასზე, თბილისის „დინამოსა" და „კარლ ცაისს" შორის, რომელშიც „დინამომ" გამარჯვება მოიპოვა. სპორტულ სამყაროში დაარსებულია კოტე მახარაძის სახელობის თასის საფეხბურთო ტურნირი, მისი სახელობის საერთაშორისო საკალათბურთო ტურნირი, ჯამლეტ ხუხაშვილმა კი დააარსა სპორტული რადიო „ჯაკო". კოტე მახარაძე 2003 წელს გარდაიცვალა, იგი დიდუბის მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა პანთეონში დაკრძალეს.

კოტე მახარაძის 85 წლის იუბილესთან დაკავშირებით, მარჯანიშვილის თეატრმა მიიღო გადაწყვეტილება, სწორედ ლეგენდარული სპექტაკლით მიაგოს პატივი მსახიობის ხსოვნას. კოტე მარჯანიშვილის რეჟისორულ შედევრებში ერთ-ერთი უპირველესია კარლ გუცკოვის „ურიელ აკოსტა". სპექტაკლი 1929 წელს დაიდგა, მას შემდეგ თითქმის 82 წელი გავიდა, სპექტაკლი კი ისევ ცოცხლობს. კოტე მარჯანიშვილის რეჟისორული გადაწყვეტის და პეტრე ოცხელის მხატვრობის სრულმა ჰარმონიამ სცენაზე შექმნა მოდელი, რომლის სიცოცხლისუნარიანობამ თაობებს და წლებს გაუძლო. მეორე ასეთი მაგალითი სპექტაკლის სიცოცხლის ხანგრძლივობისა საქართველოში არ არსებობს.

– „ურიელ აკოსტას" პრემიერა 1929 წლის 2 თებერვალს შედგა. პირველ ლეგენდარულ სპექტაკლში, უდიდესი მსახიობები მონაწილეობდნენ, ურიელ აკოსტას უშანგი ჩხეიძე, ხოლო ივდითს ვერიკო ანჯაფარიძე ასრულებდა. 1962 წელს ვერიკო ანჯაფარიძის მიერ აღდგენილ იქნა სპექტაკლი. განახლებულ ვარიანტში უშანგი ჩხეიძე პიერ კობახიძემ შეცვალა. 1972 წელს სპექტაკლი კვლავ განაახლა ვერიკო ანჯაფარიძემ. ივდითს – სოფიკო ჭიაურელი, ხოლო ურიელ აკოსტას კოტე მახარაძე ასრულებდნენ. 1991 წელს სპექტაკლი უკვე სოფიკო ჭიაურელმა აღადგინა. ურიელ აკოსტა ითამაშა ზურა სტურუამ, ხოლო ივდითი – ნინო დუმბაძემ. 2006 წელს ქალბატონ სოფიკო ჭიაურელის ინიციატივით კვლავ მოხერხდა ამ ლეგენდარული სპექტაკლის აღდგენა. ამჯერად მაყურებლის წინაშე სპექტაკლს მსახიობთა უკვე მეოთხე თაობა წარადგენს. ურიელ აკოსტას ნიკა თავაძე, ხოლო ივდითს ნატა მურვანიძე თამაშობს, – აცხადებენ მარჯანიშვილის თეატრში.



კარლ გუცკოვის სამმოქმედებიანი პიესის თარგმანი ვალერიან გაფრინდაშვილს ეკუთვნის, დადგმა – კოტე მარჯანიშვილის, მხატვრობა – პეტრე ოცხელის, მუსიკა – თამარ ვახვახიშვილის, ქორეოგრაფია – დავით მაჭავარიანის, სპექტაკლი, რმოელიც ამჟამად მარჯანიშვილის თეატრის დიდ სცენაზე თამაშდება, სოფიკო ჭიაურელის აღდგენილია. სპექტაკლი აღადგინეს მხატვრებმა შმაგი სავანელმა, ანკა კალატოზიშვილმა, ქორეოგრაფმა – გია მარღანიამ, რეჟისორის თანაშემწემ – ნათელა შალიკაშვილმა. აღდგენილ სპექტაკლში მონაწილეობენ – ნიკა თავაძე (ურიელ აკოსტა), ნატო მურვანიძე (ივთდითი), დავით დვალიშვილი (დე-სილვა), გივი ჩუგუაშვილი (დე-სანტოს), დიმიტრი ტატიშვილი (ბენ-იოხაი), მარლენ ეგუტია (მანასე), ნინო დუმბაძე (ესთერი, ურიელის დედა), ზაზა იაქაშვილი (რუვიმი, ურიელის ძმა), როლანდ ოქროპირიძე (იოველი, ურიელის ძმა), ლეო ანთაძე (ბენაკიბა), ნატო კახიძე (ბარუხ სპინოზა), ზაზა გოგუაძე (ვან-ებდენ), ვაჟა კვიტაიშვილი (მანასეს მსახური), ივანე ოსაძე

(დე-სილვას მსახური), კოტე თოლორაია, ვალერი კორშია, ონისე ონიანი, ივანე ოსაძე

(რაბინები), ეკა ნიჟარაძე, მაია კაციტაძე, ირმა ბერიანიძე, ნიკა კუჭავა, ბექა გოდერძიშვილი, ჯაბა კილაძე (მოცეკვავეები), სოფო გრიგოლაშვილი, ლუკა კუჭუხიძე (მესანთლეები).

კოტე მახარაძის 85 წლის იუბილესთვის მზადების პარალელურად, მარჯანიშვილის თეატრი მარკეტინგული კვლევებით დაინტერესდა და უცხოურ კომპანიასთან ერთად წარმოადგინა პროექტი – ვინ მოდის დღეს თეატრში და რაზე უნდა იფიქროს თეატრმა ხვალ, რომელიც პირველი მარკეტინგული კვლევა და ანალიზია თეატრის მაყურებლის შესახებ. კვლევის შედეგად თეატრმა დადო დასკვნა, რომელშიც ნათქვამია – მაყურებლის გარეშე თეატრი არ არსებობს; მარჯანიშვილის თეატრი, ყველა სხვა თეატრის მსგავსად, მუდმივად ზრუნავს მაყურებელზე – და არა მარტო შემოქმედებით, არამედ იმ ატმოსფეროთი, რომელიც ყველა თეატრში განუმეორებელია და თეატრალური „თავგადასავლის" მნიშვნელოვანი ნაწილია.

– ჩვენთვის ძვირფასი და მნიშვნელოვანია ყველა, ვინც თეატრში მოდის და ამასთან ერთად ისინიც, ვინც თეატრში არ მოდის. სწორედ ამიტომ გადავწყვიტეთ ჩაგვეტარებინა თეატრის მაყურებლის პროფესიული კვლევა, – აღნიშნავენ მარჯანიშვილის თეატრში.

ჩატარებული კვლევის მიზანია მაყურებლის თეატრისადმი დამოკიდებულების განსაზღვრა და თეატრის მარკეტინგული და პიარ სტრატეგიის შემდგომი მიმართულების ჩამოყალიბება. ჯგუფი „უკეთესი გადაწყვეტილებები ანალიზის მეშვეობით" ერთ-ერთი საუკეთესოა ანალიზისა და კვლევის მიმართულებით. სწორედ ეს ჯგუფი მუშაობდა 6 თვის განმავლობაში იმისათვის, რომ დაედგინა ზუსტი და მიახლოებითი მონაცემები თბილისის მოსახლეობის ცხოვრებაში თეატრის როლისა და მნიშვნელობის შესახებ. კვლევა ჩატარდა როგორც ზოგადად ფოკუს ჯგუფებთან და სატელეფონო გამოკითხვით, ასევე რაც ძალიან მნიშვნელოვანია, უშუალოდ მარჯანიშვილის თეატრის მაყურებელთან. გამოკითხვით დადგინდა, რომ თბილისის მოსახლეობის 52 %-ზე მეტი არ ყოფილა თეატრში ბოლო 3 წლის მანძილზე; წლის სეზონს დიდი მნიშვნელობა მაყურებლისათვის არა აქვს; აქტიური მაყურებელის 46 % დაუქორწინებელია. პროექტის „ვინ არ მოდის თეატრში და რატომ!" კვლევის ოფიციალური შედეგების პრეზენტაცია მარჯანიშვილის თეატრში ნოემბრის ბოლოს გაიმართება.

– ნოემბრის ბოლო კვირას მარჯანიშვილის თეატრში უამრავ საინტერესო რამეს გაიგებთ თეატრისა და მისი მაყურებლის შესახებ. გაიგებთ იმასაც, თუ რა „გაიგო" მარჯანიშვილის თეატრმა ამ ძალიან მნიშვნელოვანი ანალიზიდან და როგორ დაგეგმავს მომავალს, – აცხადებენ თეატრის პრესსამსახურში.

კოტე მარჯანიშვილის სახელობის თეატრმა დამატებითი განმარტებები გააკეთა თეატრისა და კომპანია „მაგთიკომის" ერთობლივი პროექტის შესახებ.მათ ერთობლივი პროექტი (ბალის აბონენტთათვის) უკვე მესამე წელია მიმდინარეობს. ამ პროექტის ფარგლებში, ბალის აბონენტებს მთელი წლის განმავლობაში ეძლევათ საშუალება თეატრის ორივე სცენაზე (დიდი სცენა, სხვენი) შეიძინონ ბილეთები 70% ფასდაკლებით (3 ლარად) . „ბალის დღე" კი თეატრში ყოველი სამშაბათი და ხუთშაბათია.

– ვფიქრობთ, გაუგებრობის თავიდან აცილების მიზნით, მნიშვნელოვანია განვმარტოთ ისიც, რომ ბილეთების რაოდენობა „ბალის აბონენტთა დღეს" (სამშაბათს და ხუთშაბათს) ლიმიტირებულია ორივე სცენაზე და მთლიანად ბალის აბონენტებს ვერ დაეთმობა. ბილეთების სრული რეალიზების შემთხვევაში ერთ სპექტაკლზე (ნებისმიერ „ბალის დღეს"), ხდება ბილეთების გადანაწილება მეორე სპექტაკლზე (სცენაზე) – ისევ „ბალის" აბონენტთა ინტერესის გათვალისწინებითა და სურვილით. მარჯანიშვილის თეატრი კვლავ გააგრძელებს კომპანია მაგთიკომთან ერთად „ბალის აქციაში" მონაწილეობას, – ნათქვამია თეატრის მიერ გავრცელებულ ოფიციალურ განცხადებაში.

წლევანედლ თეატრალურ სეზონზე მარჯანიშვილის თეატრმა ორი უცხოური პრემიერა გამართა დიდ ბრიტანეტსა და ბულგარეთში. ქალაქ კოლჩესტერში (თეატრი „მერკური") სპექტაკლის „კაპიტან კორელის მანდოლინა" პრემიერამ წარმატებით ჩაიარა. „კაპიტან კორელის მანდოლინა" დიდ ბრიტანეთამდე თბილისში გათამაშდა. მარჯანიშვილის თეატრის, თეატრის „მერკური" (კოლჩესტერი, დიდი ბრიტანეთი) და საერთაშორისო ხელოვნებისა და კულტურის ფონდის ერთობლივი პროდუქცია თბილისის საერთაშორისო თეატრალური ფესტივალის პროგრამის ფარგლებში იქნა წარმოდგენილი. ლუი დე ბერნიეს „კაპიტან კორელის მანდოლინა" ქართულ სცენაზე წარმატებით დაიდგა. „სიყვარული ნებისმიერ ბრიყვსაც ეწვევა, სიყვარული

მაშინაც არ გტოვებს, როცა უკვე აღარ გიყვარს" – ასეთია სპექტაკლის დევიზი. სპექტაკლის შესახებ კი მხოლოდ ის არის ცნობილი, რომ წარმოდგენაში 1941 წელია. ომმა კეფალონიის ულამაზეს კუნძულსაც მიაღწია, მუსოლინის ჯარმაკუნძული დაიპყრო. ირგვლივ არეულობაა და სწორედ ამ ქაოსში იბადება სიყვარული. ეს სიცილითა და ცრემლებით მოთხრობილი ამბავია სიცოცხლესა და სიკვდილზე, რომელიც ებრაელი გოგონასა და იტალიელი ჯარისკაცის სიყვარულზე მოგვითხრობს. წარმოდგენის სცენური ვერსია მაიკ მარანის ეკუთვნის, თოჯინები – ნინო ნამიჭეიშვილს, კომპოზიტორი ვახტანგ კახიძეა, ხოლო ქორეოგრაფი – გია მარღანია.

სპექტაკლში მონაწილეობენ მაიკ მარანი, გას გალაჰერი, ტონი ქეიზმენთი, როჯერ დელვს-ბროუტონი, ნატო კახიძე. ასევე მეთოჯინეები მალხაზ გაბუნია, ზურა გაგლოშვილი, მემე ელბაქიძე, ანა იაკობაშვილი, გია მარღანია, მაია მაზიაშვილი, ნინო ნამიჭეიშვილი, მაია სულხანიშვილი, სოფიო ხიზანეიშვილი, ბენო ჯიჯიაშვილი.

დიდი ბრიტანეთის გარდა, მარჯანიშვილის თეატრი ბულგარეთშიც ჩავიდა. სპექტაკლი „ჟოლო" გასტროლზე გაემგზავრა ბულგარეთში, ქალაქ პაზარჯიკში, საერთაშორისო ფესტივალიზე „შემოდგომის თეატრალური შეხვედრები". უცხოელ მაყურებელს შესაძლებლობა მიეცა ენახა სპექტალი „ჟოლო", რომელიც ლევან წულაძემ კოკი მიტანის მიხედვით დადგა. სპექტაკლში მსახიობები ნატო მურვანიძე და ნიკა კუჭავა მონაწილეობენ.

კოტე მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო დრამატულმა თეატრმა სამთვიანი სტაჟირების დაწყებაზე საგანგებო განცხადება გაავრცელა. თეატრი მსურველებს შეასწავლის რეჟისორის თანაშემწის, ხმის ოპერატორის, რეკვიზიტორის, ჩამცმელის, გრიმიორის, გამნათებელის პროფესიებს. აუცილებელ პირობად კი თეატრი გუნდური მუშაობის უნარს, კომპიუტერული პროგრამების ცოდნას, დავალებების დათქმულ დროს ჩაბარების უნარს, ანალიტიკურ აზროვნებას, პასუხისმგებლობასა და კომუნიკაბელურობას მოითხოვს.


## ფოთისა და ხობის მიტროპოლიტ გრიგოლის კურთხევით 2009 წლის ივლისიდან მიმდინარეობს ხობის მონასტრის უძველესი ტაძრის სარესტავრაციო-აღდგენითი სამუშაოები

პროექტის ფარგლებში შესაძლებელი გახდა ტაძრის შიგნით და ეზოში ჩაგვეტარებინა არქეოლოგიური გათხრები. ახალმა აღმოჩენებმა შეცვალა ტაძრის ისტორია. ის, რაც ისტორიულად ცნობილი იყო, დღეს ფაქტითაც დასტურდება — აღმოჩენილ იქნა პირველი ტაძრის საძირკველი და წმიდა ცოტნე აღმსარებლის საოჯახო საძვალე. არქიტექტორების, ხელოვნებათმცოდნეებისა და ისტორიკოსების ჯგუფი მუშაობს ამ საკითხების შესწავლაზე. პარალელურად ბატონ ბუბა კუდავას (ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის დირექტორი) ხელმძღვანელობით გამოსაცემად მზადდება წიგნი „ხობის მონასტერი".

ტაძარში დამონტაჟდა ახალი კანკელი, იწერება ახალი ხატები, გამოიცვალა სარკმლები, დასრულდა იატაკის ფილების დაგება; მიმდინარეობს საპატრიარქო რეზიდენციის მშენებლობა. ტაძარსა და რეზიდენციაში დამონტაჟდა გათბობის სისტემა.

მზადდება პროექტი წმიდა ცოტნე აღმსარებლისა და მისი ოჯახის წევრების საძვალის მოსაწყობად.

დასამზადებელია საეკლესიო ავეჯი; შესაცვლელია განათების სისტემა, ტაძრის ძირითადი კარები.

იმისათვის, რომ შევძლოთ დაწყებული სამუშაოების დასრულება, გვჭირდება თანადგომა.

გახდით მონასტრის მეგობარი.

გვჯერა, თქვენი თანადგომით შევძლებთ გავუფრთხილდეთ წინაპართა დანატოვარს და თავად გავხდეთ ღირსეული წინაპარი.




იცხოვრეთ მომავალისთვის.

უფალი გფარავდეთ ყველგან და ყოველთვის.

**საბანკო რეკვიზიტები:**

ფოთისა და ხობის ეპარქია, ს/ნ 215 090 425
ხობი, სოფ.ნოჯიხევი
ღვთისმშობლის ხარების დედათა მონასტერი.
ს.ს. „ლიბერთი ბანკის" ხობის ფილიალი
ბ/კ: 220 101 465
ანგ. N 36 010 892 GEL;
136 180 892 USD;
236 180 892 EUR



თანხის ჩასარიცხად შეგიძლიათ გამოიყენოთ სწრაფი გადახდის აპარატები: იხილეთ მენიუში — სხვადასხვა — საქველმოქმედო — ხობის მონასტერი.

ან დარეკოთ: მაგთი, ჯეოსელი, ბილაინი — 700 607; ახალი ქსელები — 700 608; სილქნეტი — 608 608 (ზარის ღირებულებაა 1 ლარი).

ხობის ღვთისმშობლის ხარების დედათა მონასტრის წინამძღვარი
იღუმენია ანა (მუსელიანი)



## SMS-განცხადებები - 3090

● ვიყიდი თბილისში ძველ სახლს ან ბინას. 3 წლიანი განვადებით.ან გადავცვლი ბორჯომის ახალდაბასში. მიწის ნაკვეთს სახლის პროექტით. არის შენობაც ვამატებ 2000 დოლ. 879 05 64 875

## განცხადებები

● სასწრაფოდ! იყიდება ორხევში ახვლედიანის ჩიხში 3160 კვ.მ. ფართის კაპიტალური საწარმო, ფასი 400.000 დოლარი. ტელ: 599-55-68-58.

● იყიდება 2-ოთახიანი ბინა დიდი ლოჯიით, ს.ფართი 80 კვ.მ. 4(5) ნახალოვკაში. ტელ.: 2-69-00-52; 597 99 32 13

● ცხადდება მიღება მასაჟისა და კოსმეტოლოგიის სწრაფშემსწავლელ კურსებზე, დამთავრების შემდეგ გაიცემა „სერთიფიკატი". ხელმძღვანელი ექიმი გულიკო ჩიკვილაძე. ტელ: 2-96-67-03; 595-35-64-13.

● სახის ნებისმიერი პრობლემის მოგვარება, გამონაყარი (ასაკობრივი, პათოლოგიური) ფერისმჭამელა, ჭარბთმიანობისგან გათავისუფლება უმტკივნეულოდ, ბიომალამოთი, შედეგი 100%. ტელ: 899-96-44-94; 234-02-38 ქ-ნი ექიმი სპეციალისტი სალომე.

● მამაკაცებისათვის: იმპოტენცია, პროსტატიტი, ადენომა, ხშირი შარდვა, უნებლიე შარდვა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ტკივილი შარდვისას. მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით. 100%-იანი შედეგებით. ტელ: 558-96-89-15; 234-02-38 ექიმი, ქ-ნი მეგი.

● ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სწრაფი გათავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, ნერვული სისტემის მოწესრიგება, ღვიძლის ფუნქციის აღდგენა. მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით. 100%-იანი შედეგით. ტელ: 558-96-89-15; 234-02-38 ექიმი, ქ-ნი მეგი.

● კუჭ-ნაწლავის პრობლემების: გასტრიტი (მწვ. და ქრო.), კოლიტი, ენტერიტი, ყაბზობა, დისბაქტერიოზი. მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით. ორგანიზმის გაწმენდა, იმუნიტეტის გაძლიერება. 100%-იანი შედეგით. ტელ: 599-96-44-94; 234-02-38 ექიმი ქ-ნი სალომე.

● იმპოტენციის, პროსტატიტის, ადენომის, შარდვის პრობლემების (გახშირებული, შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ქავილი ენურიზი ბავშვებში და მოზრდილებში) მკურნალობა უნიკალური მცენარეული პრეპარატებით, 100%-იანი შედეგით. ტელ: 599-25-44-14 ან 234-02-38 ექიმი ქ-ნი მზია.

● ალკოჰოლიზმისგან სწრაფი განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, ნევროზების, შიშების, უძილობის, დეპრესიის მკურნალობა, ორგანიზმის გაწმენდა მცენარეული პროდუქციით, შედეგები 100%-იანია. ტელ: 599-25-44-14; 599-25-44-14 ექიმი ქ-ნი მზია.

# „არმიას“ ურთულესი გამოცდა ელის

დღეს, ევროჩელენჯის ბ ჯგუფში მოასპარეზე საკალათბურთო კლუბი „არმია“ თურქეთში მეორე ტურის მატჩს გამართავს ჯგუფის ლიდერ „ბეშიქთაშთან“.

არმიელები უკვე თურქეთში არიან და უკვე ორი ვარჯიშის გამართვა მოასწრეს. კოტე ტულუშმა გუნდი ჯერ დილით ავარჯიშა, შემდეგ კი საღამოთი. გუნდი მსუბუქად დღეს დილითაც მოითელება.

სტამბოლში გუნდს არ წაჰყოლია ტრავმირებული კალათბურთელები დავით უგრეხელიძე და გიორგი შარაბიძე, ხოლო კიდევ ერთი ტრავმირებული ბუბა ბერიშვილი გუნდს ახლია, მაგრამ ამჯერად სხვა მისიით – ის ვაჟა მხეიძესთან ერთად, ტულუშის თანაშემწე იქნება.

„ბეშიქთაშთან“ სათამაშოდ „არმია“ შემდეგი შემადგენლობით ემზადება:

ბუბა კვიმსაძე, ანატოლი ბოისა, ირაკლი საყვარელიძე, სანდიეტა გეინსი, გილერმო დიასი, ლევან მოსეშვილი, ვახტანგ მინაშვილი, ზვიად ბაბიაშვილი, ჯერემი რიჩარდსონი, უილიამ ტომასი, რევაზ ათანელიშვილი, იოაკიმ კელბომი.

თურქული კლუბი კი არმიელებს ასეთი შემადგენლობით დაუხვდება:

მეჰმეთ იაგმური, ბარის ჰერსეკი, კარტარ ოზმიზრაკი, ზორან ერცეგი, დერონ უილიამსი, სემიჰ ერდენი, ფიკრეტ აკიმი, ადემ ორენი, სერჰატ ცეტინი, მარსელიუს კემპი, დევიდ ჰოუკინსი, ერსინ დაგლი.

ცხადია, ამ კალათბურთელებიდან ყველაზე გამორჩეული ფიგურა დერონ უილიამსია, რომელიც 2005 წელს ნბა-ს დრაფტზე მესამე პიქად აიყვანა „იუტა ჯაზმა“. მომდევნო წელსვე უილიამსი ლიგის ახალწვეულთა სიმბოლურ ნაკრებში შეიყვანეს, 2008 და 2010 წლებში კი ნბა-ს სეზონის მეორე ხუთეულის წევრად დაასახელეს, ბოლო ორი სეზონი ოლ-სტარის შემადგენლობაშიც ითამაშა. არის ოლიმპიური ჩემპიონი (2008) ა,ერიკის ნაკრების შემადგენლობაში. 2011 წელს გადავიდა „ნიუ ჯერსი ნეთსიში“, თუმცა ამ გუნდში ჯერ არ უთამაშია, რადგან ნბა-ში ლოკაუტია. ამიტომ კალათბურთელმა თავად განაცხადა, რომ ლოკაუტის დასრულებამდე „ბეშიქთაშში“ ითამაშებდა. ასე რომ, თუ ლოკაუტი დროულად არ დამთავრდა, „არმიასა“ და „ბეშიქთაშის“ მეორე წრის მატჩში ნბა-ს ერთ-ერთი კაშკაშა ვარსკვლავი, შესაძლოა, თბილისშიც ვიხილოთ.

შეგახსენებთ, რომ ევროჩელენჯის ბ ჯგუფის პირველ ტურში, „არმიამ“ გერმანული „გიოტინგენი“82:76 დაამარცხა, ხოლო „ბეშიქთაშმა“, სტუმრად ჰოლანდიური „ლეიდენი“ გაანადგურა – 86:58 მოუგო და ჯგუფში პირველ ადგილზე ბურთების უკეთესი შეფარდებით იმყოფება. გეტყვით იმასაც, რომ „ლეიდენთან“ მატჩში დერონ უილიამსმა გუნდს 20 ქულა და 7 პასი შესძინა.

# ორი ბრინჯაო მსოფლიო თასიდან

სამოას დედაქალაქ აპიაში გამართულ მსოფლიოს თასზე მონაწილეობა ორმა ქართველმა ძიუდოისტმა მიიღო და სამშობლოში ორივე ბრინჯაოს მედლით დაბრუნდა.

პირველი მედალი 81 კილოგრამ წონით კატეგორიაში მოჭიდავე ავთანდილ ჭრიკიშვილმა ირგუნა და ბრინჯაოსთან ერთად 40 სარეიტინგო ქულასაც გამოჰკრა ხელი.

აღსანიშნავია, რომ ამ ტურნირე ჩასვლისგან თავი ბევრმა წამყვანმა მოჭიდავემ შეიკავა, ამიტომაც ჩვენებური პირველ ნომრად იყო განთესილი და მისგან უკეთეს შედეგსაც ველოდით, თუმცა ასე არ მოხდა. პირველ წრეში ჭრიკიშვილმა ავსტრალიელი კაი ტროტერის წმინდად დამარცხების შემდეგ, მეოთხედფინალში თურქ აჰმეთ სარის ველარაფერი მოუხერხა და მაცხი განიცადა, რის შემდეგაცრეპეშაჟის ნახევარფინალში გადაერთო, სადაც ბრიტანელ თომას დევისი ვაზარიუკოთი დაჯაბნა, ხოლო რეპეჟაშის ფინალში კი ჩინელი რიჯიგავა სი იუკოთი დაჯაბნა აჯობა.

73 კილოგრამ წონით კატეგორიაში მოჭიდავე ნუგზარ ტატალაშვილის ბრინჯაოს უფრო წარმატებული უნდა ვუწოდოთ. ამჟამინდელი რეიტინგით 73 კილოგრამი ერთადერთი წონაა, რომელშიც ქართველი ძიუდოისტი ლონდონის სალიცენზიო განაცხადში ვერ ხვდება და ჩვენებური ამ თამასას მიუახლოვდა.

ამ წონაში ტატამზე მხოლოდ 17 მონაწილე გავიდა ტატამზე. ტატალაშვილი ტურნირში პირდაპირ მეოთხედფინალიდან ჩაერთო. ავსტრალიელ დარენ როჯერსს იპონით გასცდა, მაგრამ ჩინელ ვეი ლიუსთან იუკოთი წააგო და ოქრო-ვერცხლის შანსი დაკარგა. ბრინჯაოსთვის ბრძოლაში კი ჯერ არგენტინელი კლარა ალეხანდროს დამარცხება დასჭირდა, შემდეგ კი თურნირზე პირველად ნომრად განთესილი ამერიკელი ნიკოლას დელპოპოლოსი.

# რედნაპს სასამართლო ელის

იანვარში „ტოტენჰემ ჰოთსპურის“ მწვრთნელ ჰარი რედნაპს სასამართლო გარჩევა ელის. 64 წლის სპეციალისტი პროცესზე მილან მანდარიჩთან ერთად წარდგება.

საქმე ის არის, რომ რედნაპი და მანდარიჩი ერთად „პორტსმუთში“ მუშაობდნენ. მანდარიჩი თავმჯდომარე გახლდათ, რედნაპი კი მწვრთნელი. საეჭვოა ორი თანხის ამბავი – 145 და 150.000 ათასი დოლარზე, რომელიც რედნაპს მანდარიჩისგან მიუღია. როგორც ირკვევა, მწვრთნელმა ანგარიში მონაკოს ბანკში გახსნა და თავმჯდომარემაც ფული იქ გადაურიცხა. ეს კი გადასახადებისგან თავის დაძვრენის გამო მომხდარა. ცხადია, რედნაპიცა და მანდარიჩიც კანონის დარღვევას უარყოფენ.

არადა, რედნაპი „ტოტენჰემში“ მიღწეული წარმატებების გამო ინგლისში არნახულად პოპულარული გახდა და ფაბიო კაპელოს გადადგომის შემდეგ ანუ 2012 წლის ზაფხულში, ევროპის ჩემპიონატის დასრულდების შემდეგ, მის შემცვლელად ჰყავთ შეგულებული.

შეგახსენებთ, რომ „ტოტენჰემ ჰოთსპური“ ჰარი რედნაპის ხელში, ბოლო 25 წლის განმავლობაში, საუკეთესო ფეხბურთს აჩვენებს. „დეზები“ გასულ სეზონში ჩემპიონთა ლიგაში გამოდიოდნენ და მეტიც, ჯგუფურ ეტაპს გაცდნენ კიდეც და მეოთხედფინალში „რეალთან“ დამარცხდნენ.

გარდა ამისა, ბოლო წლებში გუნდი პრემიერლიგის უძლიერეს გუნდებს საკმაოდ ავიწროებს და ოთხეულში ადგილის დამკვიდრებას ცდილობს.

ვერ გეტყვით, ამ პროცესის გამო, თუ სხვა მიზეზებია, მაგრამ რედნაპმა ახლხანს გულის ოპერაცია გაიკეთა და ამის გამო, „სფურზის“ ბოლო ორი მატჩი გამოსტოვა.

# შედეგები

**ესპანეთი. სეგუნდა დივიზიონი**

| | |
|---|---|
| გვადალახარა-ალკოიანო | 1:1 |
| ვილიარელი ბ-ალმერია | 2:1 |
| უელვა-ლას პლამასი | 4:2 |
| დეპორტივო-სელტა | 2:1 |

**იტალია. სერია ბ**

| | |
|---|---|
| რეჯინა-ნოჩერინა | 2:1 |
| ბრეშა-ასკოლი | 0:1 |
| ვერონა-კროტონე | 2:1 |
| გროსეტო-ვარრეზე | 1:5 |
| გუბიო-სასუოლო | 0:1 |
| მოდენა-ემპოლი | 0:2 |
| სამპდორია-ვიჩენცა | 0:1 |
| ჩიტადელა-ლივორნო | 2:2 |
| იუვე სტაბია-ალბინოლეფე | 2:2 |
| ტორინო-ბარი | 1:1 |

**პორტუგალია. ლიგის თასი**

| | |
|---|---|
| ლეირია-სანტა კლარა | 1:0 |

**ბრაზილია. სერია ა**

| | |
|---|---|
| გრემიო-პლამეირასი | 2:2 |
| კორინთიანსი-ატლეტიკო(პ) | 2:1 |
| კურიტიბა-ფლამენგო | 2:0 |
| სეარა-სანტოსი | 2:3 |
| ატლეტიკო(გ)-ბაია | 0:1 |
| ვასკო-ბოტაფოგო | 2:0 |
| კრუზეირო-ინტერნასიონალი | 1:0 |

**ჩოგბურთი**

**ატპ. პარიზი. ჰარდი**

**ფინალი**

| | |
|---|---|
| ფედერერი-ცონგა | 6:1;7:6 |

**ჰოკეი**

**ნჰლ. რეგულარული ჩემპიონატი**

| | |
|---|---|
| ფლორიდა-ფილადელფია | 2:3 |
| ჩიკაგო-ედმონტონი | 6:3 |
| ანაჰაიმი-მინესოტა | 2:3 |
| ვანკუვერი-აილენდერსი | 4:1 |

მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა

# იკერ კასილიასი: „არავის ნებართვა არ მჭირდება, ხავისთან, პუიოლთან ან ვალდესთან ერთად ვივახშმო“

დღეს, ესპანეთის ნაკრები მორიგ ამხანაგურ მატჩს გამართავს კოსტა რიკის ეროვნულ გუნდთან და თუ ამ მატჩში პირენეელთა მწვრთნელმა ვისენტე დელ ბოსკემ კარის დაცვა იკერ კასილიასს ანდო, მადრიდის „რეალის“ კაპიტანი ეროვნულ გუნდში ჩატარებული მატჩების რაოდენობით რეკორდსმენი გახდება. აქამდე რეკორდი კიდევ ერთ მეკარეს, ანდონი სუბისარეტას ეკუთვნოდა – 126 მატჩი. ეს შედეგი კასილიასმა შაბათს, ინგლისის ნაკრებთან თამაშისას გაიმეორა, ახლა ჯერი ერთპიროვნულ რეკორდზეა.



კასილიასის სანაკრებო დებიუტი 2000 წლის 3 ივნისს შვედეთთან ჰქონდა. თუმცა, მის უმთავრეს მიღწევად ევროპისა (2008) და მსოფლიოს ჩემპიონატების (2010) მოგება ითვლება.

***– გასულ სეზონში „რეალმა“ „სამეფო თასი“ მოიგო, ლა ლიგაში ყველაზე მეტი გოლი გაიტანა, კრიშტიანუ რონალდუმ „პიჩიჩის“ (საუკეთესო ბომბარდირი) ტიტული მიიღო, მაგრამ ისე ჩანს, რომ განვლილი სეზონი თქვენთვის „ბარსელონასთან“ ჩატარებული თამაშების გამო გაფერმკთალდა.***

– ვისაც არ უნდა ეწყინოს, „რეალი“ მსოფლიოში საუკეთესო გუნდია. შეიძლება ვინმეს ეჩვენება, რომ გასულ სეზონში არაფრისთვის მიგვიღწევია. ჩემთვის რომ ეთქვათ, ახალი გუნდი, ახალი მწვრთნელით, ჩემპიონატში მეორე ადგილს დაიკავებს, ესპანეთის თასს მოიგებს და ჩემპიონთა ლიგის ნახევარფინალში გავაო, ამას უდავოდ დავიჯერებდი. ახლა წარსულის გახსენებას არ ვაპირებთ და მომავალზე ვფიქრობთ. მთავარი ის არის, რომ ორი წლის განმვალობაში ერთი გუნდის ჰეგემონია დაემხო.

***– ბევრს საუბრობდნენ იმის შესახებ, რომ სეზონში ამდენი „კლასიკო“ ევროპის ჩემპიონატის წინ ეროვნულ ნაკრებში ფეხბურთელების ურთიერთობაზე იმოქმედებდა. ამის შესახებ რას ფიქრობთ?***

– ჩემი აზრით, ჟურნალისტებმა რაღაცაზე ხომ უნდა უნდა ილაპარაკონ და ახლა მათ ნაკრებზე საუბრის მიზეზი აქვთ. ხალხს კი ასეთ რამეებზე ლაპარაკი მოსწონს, რადგან ჭორები უყვართ. მე არავის ნებართვა არ მჭირდება, ხავისთან, პუიოლთან ან ვალდესთან ერთად ვივახშმო. ამას, როდესაც და ვისთანაც მინდა, მაშინ გავაკეთებ. როდესაც ისინი თავის გუნდში თამაშობენ, მაშინ საკუთარ ინტერესს იცავენ, როდესაც მე „რელაში“ ვთამაშობ – ჩემს ინტერესებს. მე პროფესიონალი ვარ და როდესაც ნაკრების მაისური მაცვია, კარგად მაქვს გათავისებული ჩემი ქვეყნის და 46 მილიონი ადამიანის ღირსეულად წარმოჩენა.

***– ნაკრებში ყველაზე კარგი ურთიერთობა ვისთან გაქვს?***

– მე ყველასთან კარგი ურთიერთობა მაქვს, მაგრამ უფრო ახლოს ვარ მათთან, ვისაც უკვე დიდი ხანია ვიცნობ – პუიოლი, ხავი, რამოსი.

***– ამის შესახებ ვისენტე დელ ბოსკე რას ამბობს?***

– ვისენტე ყოველთვის ისე აზროვნებს, როგორც მამა და ბაბუა. მან მითხრა, რომ პრობლემის შექმნის შემთხვევაში ჩვენ ყველაფრის გადაწყვეტა შეგვიძლია.

***– ერთი მატჩიც და ესპანეთის ნაკრების რეკორდსმენი ხართ. თქვენი კარიერის ასეთ მნიშვნელოვან მომენტში ყველაზე მეტად რა გახსენდებათ?***

– მსურს, პარტნიორებს მადლობა გადავუხადო, რომ ისინი დამეხმარნენ უკეთესი გავმხდარიყავი, როგორც ფეხბურთელი და პიროვნება. მხოლოდ მათზე არ ვსაუბრობ, ვინც ახლა ნაკრებშია. ყველას ვიხსენებ, ვისთანაც ნაკრებში ერთხელ მაინც მითამაშია.

***– რა გეხმარებათ ამდენი ხნის განმავლობაში ასეთ მაღალ დონეზე თამაშში?***

– ყოველთვის ვცდილობ, ნებისმიერი მომენტისგან სიამოვნება მივიღო. ეროვნული გუნდის თითოეულ შეკრებას ისე აღვიქვამ, როგორც ბოლოს. თავიდანვე ასეთი პოზიცია მქონდა და ჩემი აზრით, სწორედ ეს დამეხმარა წარმატების მიღწევაში.

***– ესპანეთის ნაკრების ახალი ფორმის პრეზენტაცია, რომლითაც ევროპის ჩემპიონატზე ითამაშებთ, უკვე შედგა. თქვენი სათამაშო მაისური აბსოლუტურად ყვითელია და მხოლოდ მკერდზე გასდევს შავი ზოლი. ცრუმორწმუნე ხართ?***

– არა. ამ ფერს ჩემთვის წარმატება მოაქვს და მსურს მომავალშიც ასე გაგრძელდეს. ცხადია, ახალი სათამაშო ფორმით ევროპისა და მსოფლიოს ჩემპიონატებზე ჩვენი წარმატების განმეორება რთული იქნება. თუმცა, იმედი მაქვს, რომ ახალი ფორმა, ჩემ შემთხვევაში ყვითელი, ახალი ტიტულების მოპოვების შემდეგ გადაღებულ ფოტოებზე კარგად გამოჩნდება. ეს საუცხოო იქნება.

# ძალოსნებმა სამი ოლიმპიური ლიცენზია მოიპოვეს

საფრანგეთის დედაქალაქ პარიზში ჩატარებულ მსოფლიოს ჩემპიონატზე ქართველმა ძალოსანმა გია მაჭავარიანმა (105 კგ.) პირადი რეკორდი დაამყარა. ჩვენებურმა ჯამური 409 კგ. დასძლია და მესამეადგილოსან მეტოქეს ერთადერთი კილოგრამით ჩამორჩა.

მაჭავარიანმა ატაცში 180, 184 და 187 კგ. დასძლია, აკვრაში კი 212, 218 და 222-კილოგრამიანი შტანგა დაიმორჩილა. ქართველმა ძალოსანმა პირველ მოძრაობაში მცირე ბრინჯაოს მედალი ირგუნა, მეორეში კი მეექვსე შედეგი ჰქონდა.

მაჭავარიანი საბოლოო ცხრილში კვარცხლბეკთან ძალიან ახლოს გახლდათ, თუმცა, უკრაინელმა ალექსეი ტოროხტიმ ბოლო ცდაზე 229 კილოგრამიანი შტანგა დაიმორჩილა და ჩვენებურს პირველი მოძრაობის შემდეგ არსებული 6-კილოგრამიანი ჰადიკაპი გაუბათილა.

ამავე წონაში კიდევ ერთმა ქართველმა სპორტსმენმა დავით გოგიამაც იასპარეზა, რომელმაც ბ ჯგუფში მეხუთე პოზიცია დაიკავა და ჯამში მე-16 საფეხურს დაეპატრონა. გოგიამ ატაცში 167 კგ. მხოლოდ მეორე ცდაზე დასძლია, თუმცა შემდეგ 171-კილოგრამიან შტანგასაც გაუმკლავდა. აკვრაში კი 200 და 205 კილოგრამიანი შტანგის დამორჩილების შემდეგ, 208 კილოგრამს ვერაფერი მოუხერხა. საბოლოოდ, დავითის ჯამური შედეგი 376 კილოგრამი გახლდათ.

სხვა წონებში ჩვენებურები მეტნაკლებად წარმატებულად გამოვიდნენ. 18 წლის გიორგი ლომთაძემ 69 კგ. წონითი კატეგორიის ც ჯგუფში ატაცში 134 და 137-კილოგრამიანი შტანგა დაძლია, 139-ზე მისვლა კი გაუცუუდა. აი, აკვრაში კი, 163-კილოგრამიან შტანგას სამჯერ შეეჭიდა, თუმცა, სამივე შემთხვევაში, უშედეგოდ. საბოლოოდ, ჩვენებური შეფასების გარეშე დარჩა.

85 კგ. წონით კატეგორიაში ბ ჯგუფში მოასპარეზე რაულ ცირეკიძემ ატაცში 157 კილოგრამიანი ძელი დასძლია, აკვრაში კი – 195 და საბოლოოდ, ოქროს მედლის მფლობელ ირანელ კიანუშ როსტამის (382 კგ.) 30 კგით ჩამორჩა.

ირაკლი თურმანიძემ და ლაშა ტალახაძემ ძალები მძიმე წონის ბ ჯგუფში სცადეს.

თურმანიძემ ატაცის პირველ ცდაზე 180 კგ.-იანი შტანგა დასძლია და მყის ჯგუფის ფავორიტადაც იქცა, თუმცა, მომდევნო მისვლებზე ჯერ – 185, ხოლო შემდეგ 188 კგ. ვერ დასძლია და მდგომარეობა გაიუარესა. აკვრაში თურმანიძემ სამივე ცდა (210 კგ. 215 კგ. 218 კგ.) გამოიყენა, მაგრამ ჯამური 398 კგ.-ით ტაივანელ შიჰ-ჩიეჰ ჩენს (411 კგ.) მაინც საგრძნობლად ჩამორჩა და მეორე გახლდათ.

ტალახაძემ ატაცში 175 და 180-კილოგრამიანი შტანგა ასწია, მესამე ცდაზე კი 187 კგ.-ს ვერ გაუმკლავდა. აკვრაში ლაშამ 27-კილოგრამიანი შტანგა მეორე მისვლაზე დაიმორჩილა, მესამე ცდა კი აღარ გამოუყენებია და 387 კგ.-ით ბ ჯგუფში ბოლო – მეცხრე ადგილზე აღმოჩნდა.

ეს მსოფლიოს ჩემპიონატი 2012 წლის ლონდონის ოლიმპიური თამაშების სალიცენზიო იყო და მედლების გარდა, ქვეყნები მის შესანარჩუნებლადაც იბრძოდნენ.

ქართველი ძალოსნების მთავარი ამოცანა შარშანდელ მსოფლიოს ჩემპიონატზე დაგროვებული ქულები და მოპოვებული 3 ოლიმპიური ლიცენზია უნდა შეენარჩუნებინათ, რაც ჩვენმა სპორტსმენებმა შეასრულეს და „ლონდონი-2012“-ისთვის სამი საგზური გაინაღდეს.

გეტყვით იმასაც, რომ დღევანდელი მონაცემებით, სულ ქართველი ათლეტების ანგარიშზე 10 ოლიმპიური ლიცენზიაა.

# ნბა-ს ბედი დღეს უნდა გადაწყდეს

ამ დილით უნდა გადაწყვეტილიყო ეროვნული საკალათბურთო ასოციაციის 2011-12 წლების სეზონის ბედი. ნიუ იორკში გაიმართება მოთამაშეთა პროფკავშირის სხდომა, სადაც კალათბურთელები იმსჯელებენ კლუბების მფლობელთა ბოლო შეთავაზების შესახებ და ერთიან პოზიციას შეიმუშავებენ.

შესაძლოა, გადაწყვეტილება ფარული კენჭისყრითაც კი მიიღონ. ახალი კოლექტიური ხელშეკრულების ბოლო ვარიანტზე კი მოთამაშეთა უარი, სავარაუდოდ, სეზონის საბოლოოდ გაუქმებას გამოიწვევს, ხოლო მათი თანხმობის შემთხვევაში რეგულარული ჩემპიონატი 15 დეკემბერს დაიწყება და თითო გუნდი 72 მატჩს ჩაატარებს.

ამ უმნიშვნელოვანესი სხდომის წინ ამერიკულ პრესაში ბევრი დაიწერა ლოკაუტის დასრულების შანსებზე. მაგალითად, არაოფიციალური ინფორმაციით ცნობილი გახდა, რომ პროფკავშირი არ ეთანხმება შემოთავაზებულ წინადადებას და დიდი ალბათობით შეიძლება იმის თქმა, რომ ჩემპიონატი არ ჩატარდება.

„დალასის“ მცველმა, გასული სეზონის საუკეთესო „მეექვსე მოთამაშემ“ ჯეისონ ტერიმ განაცხადა, რომ მოთამაშეებმა უკან არ უნდა დაიხიონ, თუნდაც ეს სეზონის დაკარგვის ფასად დაუჯდეთ.

– ჩვენ კალათბურთის თამაში გვინდა, მაგრამ მოთამაშეები არ უნდა დათანხმდნენ მათთვის მიუღებელ პირობებს. ყველას უნდა ესმოდეს, რომ ნბა-ში არსებობს კალათბურთელთა სამი ჯგუფი – უმაღლესი, საშუალო და დაბალი კლასი. ახლა, კლუბების მფლობელები ცდილობენ თავიდან მოიშორონ საშუალო კლასი. ჩვენ არ დავთანხმდებით არასასურველი პირობებით ხელშეკრულების გაფორმებას, თუნდაც ამან სეზონის გაუქმებამდე მიგვიყვანოს.

მაგრამ ვრცელდება ისეთი განცხადებებიც, რომელიც კალათბურთის მოყვარულებს იმედიანად განაწყობს. ჟურნალისტი შონ პაუელი იტყობინება, რომ მოთამაშეთა პროფკავშირი, სავარაუდოდ, დაეთანხმება კლუბების მფლობელთა ბოლო წინადადებას.

კიდევ ერთი საინტერესო ინფორმაცია იმაში მდგომარეობს, რომ, შესაძლოა, შეიცვალოს მოთამაშეთა პროფკავშირების ხელმძღვანელი. ამ ორგანიზაციის წამყვანი პოსტის დაკავებას აპირებს „დეტროიტ პისტონზის“ ლეგენდარული კალათბურთელი აიზია ტომასი. შეგახსენებთ, რომ პროფკავშირებს 1996 წლიდან სათავეში უდგას ბილი ჰანტერი.

შედით საიტზე atb.ge



## იაპონიის ეკონომიკა ზრდის ნიშნებს ამჟღავნებს

იაპონიის ეკონომიკამ მიმდინარე წლის მესამე კვარტალში, მიწისძვრისა და ცუნამის შემდგომ პერიოდში ზრდის პირველი ნიშნები გამოამჟღავნა.

იაპონიის ხელისუფლების მონაცემებით, სექტემბრის ბოლოს ერთიანი შიდა პროდუქტი წინა თვესთან შედარებით ერთნახევარი პროცენტით გაიზარდა.

წლიური გადაანგარიშებით ეს მაჩვენებელი 6%-იან ზრდას ნიშნავს, რაც მრავალი ანალიტიკოსის ვარაუდით, იენის კურსის განმტკიცების მიზეზი შეიძლება გახდეს. თუმცა ეკონომიკის ზრდას მსოფლიო გლობალური ეკონომიკის პრობლემებმა შეიძლება შეუშალოს ხელი.

იაპონიის ეკონომიკა ძლიერი მიწისძვრის შემდგომ მძლავრ დაცემას განიცდის. სტიქიის დარტყმის შედეგად დაზიანდა მრავალი სამრეწველო საწარმო. დაირღვა კავშირები მიმწოდებლებსა და მომხმარებლებს შორის.

ბოლო დროს გავრცელებული მონაცემები კი მოწმობს, რომ ექსპორტი იზრდება, რაც ეკონომიკის ზრდას უწყობს ხელს. თუმცა, მრავალი ეკონომისტის ვარაუდით, ქვეყნის ეკონომიკის ზრდის პერსპექტივები კვლავინდებურად არასახარბიელოა. ძალაში რჩება მრავალი ფაქტორი, რამაც ეკონომიკის ზრდას შეიძლება შეუშალოს ხელი.

მათ შორის ასახლებენ ეროვნული ვალუტის კურსის გადაჭარბებული გამყარება, გლობალური ეკონომიკური ზრდის შენელება. Gგარდა ამისა, ეკონომიკის განვითარებას ხელს შეუშლის ნედლეულის მიწოდების შეფერხება ტაილანდიდან, რომელიც ძლიერი წყალდიდობის შედეგად დაზარალდა.

გ.თ.

## იტალიის ახალი პრემიერი მთავრობის ფორმირებას შეუდგა

იტალიის პრმიერ მინისტრად დანიშნულმა მარიო მონტიმ ახალი მთავრობის ფორმირება დაიწყო. სილვიო ბერლუსკონის გადადგომის მიზეზად ქცეული ვალების კრიზისიდან ქვეყნის გამოყვანა სწორედ ამ მთავრობამ უნდა ითავოს.

იტალიის პრეზიდენტმა ჯორჯიო ნაპოლიტანომ მონტი პრემიერ მინისტრის პოსტზე კვირას წარადგინა. თავის გამოსვლაში მონტიმ განაცხადა, რომ იტალიისათვის ღირსეული, იმედით სავსე მომავლის აგება სურს.

იტალიის საფონდო ბაზრები პრემიერ მინისტრის შეცვლას სუსტი ოპტიმიზმით შეხვდნენ, რამაც იტალიის ეკონომიკის სამომავლო გეგმებს პოზიტიური შეფერილობა მისცა.

იტალიისათვის სასიხარულო მომენტს წარმოადგენს აგრეთვე ის, რომ მონტის პრემიერად დანიშვნას ოპტიმიზმიტ შეხვდნენ აგრეთვე აზიის საფონდო ბაზრებიც.

ღომისატვის კიდევ ერთ მნიშვნელოვან მომენტად იტალის სამთავრობო ობლიგაციების გაყიდვა უნდა იქცეს. ამ ფასიანი ქაღალდების პროცენტი იტალიის კრიზისიდან გამოყვანის შესაძლებლობებისადმი ინვესტორების დამოკიდებულების ნიშნად უნდა იქცეს.

იტალიის ყოფილი პრემიერ მინისტრი სილვიო ბერლუსკონი გასულ კვირას გადადგა, მას შემდეგ რაც იტალიის სახელმწიფო ობლიგაციების პროცენტმა 7-ს გადააჭარბა.

თავის დროზე სწორედ ამ საფეხურზე იყვნენ საბერძნეთი, ირლანდია და პორტუგალია, როდესაც ევროკავშირს დეფოლტის თავიდან აცილების მიზნით კრედიტები სთხოვეს.

68 წლის მონტი პროფესორი ეკონომისტია. მთავრობის ფორმირების ზუსტი თარიღის დასახელებისაგან მან თავი შეიკავა. არც იმის შესახებ უთქვამს რამე, თუ ვის დანიშვნას აპირებდა მინისტრის თანამდებობებზე.

იმავდროულად, ახალმა პრემიერმა განაცხადა, რომ მთავრობის შემადგენლობის შესახებ კონსულტაციებს ორშაბათიდან დაიწყებდა. Eქსპერტების ვარაუდით, ამ პროცესს რამდენიმე დღე შეიძლება დასჭირდეს.

იტალიის მთAვრობის ობლიგაციების პროცენტის ზრდამ ევროზონის სტაბილურობასთან დაკავშირებით სერიოზული შეშფოთება გამოიწვია.

ევროკავშირის ლიდერებმა განაცხადეს, რომ გულმოდგინედ დააკვირდებიან იტალიაში მიმდინარე პროცესებს, რაც მიზნად ბიუჯეტის დეფიციტის შემცირებას და ვალების ორმოდან ქვეყნის ამოყვანას ისახავს მიზნად.



პრემიერ მინისტრად დანიშვნის წინ მონტი იტალიელ პოლიტიკოსებთან რამდენიმე შეხვედრა გამართა. შედეგად, ახალი პრემიერ მინისტრის კანდიდატურას იტალიის პარტიების უმეტესობამ დაუჭირა მხარი, სილვიო ბერლუსკონის პარტიის ჩათვლით.

ახალმა კაბინეტმა მკაცრი ეკონომიის პოლიტიკა უნდა გაატაროს. შესაბამისი გეგმები პარლამენტმა გასულ კვირას მოიწონა.

პრემიერის პოსტზე დანიშვნის შემდეგ რეპორტიორებთან შეხვედრის დროს მონტიმ განაცხადა, რომ იტალია ევროკავშირში სისუსტის კი არა, სიძლიერის ზონად უნდა იქცეს, რადგან თავად ევროკავშირი იტალიის დახმარებით შეიქმნა და მასში იტალია წამყვან როლს უნდა თამაშობდეს.

იტალიის პრეზიდენტის ჯორჯიო ნაპოლიტანოს თქმით, მონტის დანიშვნა 2008 წლის არჩევნების შედეგების გაუქმებას არ ნიშნავს, რადგან იტალიას სჭირდება მთავრობა, რომელიც სხვადასხვა პოლიტიკური ძალის გაერთიანებას შეძლებს და ამჟამინდელი სავალალო ფინანსური და ეკონომკური მდგომარეობის შესაბამის ნაბიჯებს გადადგამს.

ევროკომისიის თავმჯდომარე ხოსე მანუელ ბაროზუ და ევროკავშირის პრეზიდენტი ჰერმან ვან რომეპი ერთობლივ განცხადებაში მონტის პრემიერად დანიშვნას მიესალმნენ.

მონტის პრემიერად დანიშვნამდე ორი დღით ადრე ადრიატიკის ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროზე, საბერძნეთში ხელისუფლების სათავეში ქვეყნის ახალი, ტექნოკრატიული მთავრობა მოვიდა პრემიერ ლუკას პაპადიმოსის ხელმძღვანელობით.

გ.თ.

## აშშ-ში პრეზიდენტ ლინკოლნის საფლავი შეურაცხყვეს

ფერად ლითონებზე მონადირეებმა ამერიკელების ერთ-ერთი ყველაზე საყვარელი და პატივცემული პრეზიდენტის, აბრაამ ლინკოლნის საფლავი შეურაცხყვეს. უცნობმა ბოროტმოქმედებმა ერთ-ერთ სტატუეტს ხმალი მოაგლიჯეს, რომელიც აშშ-ს მე-16 პრეზიდენტის მემორიალს ამშვენებს. მემორიალი ილიონისის შტატში, სპრინგფილდში, ოუკ-რიჯის სასაფლაოზე დგას.

დანაკარგი მემორიალის ერთ-ერთმა თანამშრომელმა შენიშნა. შტატის ხელისუფალნი მემორიალს უახლოეს დროში შეაკეთებენ.

– წარმოდგენაც არ შეგვიძლია, ვის მოუვიდა ეს თავში, არაფერს ვამბობთ მის განხორციელებაზე! – განაცხადა ილიონისის შტატის ისტორიული ფასეულობების შენარჩუნების სააგენტოს წარმომადგენელმა დეივ ბლანშეტმა.

აღსანიშნავია, რომ ამ სახით მემორიალს უკვე მეორეჯერ შეაკეთებენ. 1890 წელს ვანდალებმა ძეგლს იგივე ხმალი მოაგლიჯეს.

ადრე ღამღამობით მემორიალს ყარაული იცავდა, თუმცა ეკონომიის მიზნით ადგილობრივმა ხელისუფლებამ ეს შტატი გააუქმა. პირველი ამერიკელი რესპუბლიკელი-პრეზიდენტი აბრაამ ლინკოლნი ნაციონალური გმირია, რომელმაც შავკანიან მონებს თავისუფლება მისცა. მოკლეს თავში გასროლით 1865 წლის 14 აპრილს, ფორდის თეატრის საპრეზიდენტო ლოჟაში.

მოამზადა გერა მამულაშვილმა

## კაცობრიობის ისტორიაში ყველაზე დიდი ქორწილი ინდოეთში გაიმართება

დასაწყისი მე-12 გვერდზე

ძლო კი – ყველაზე გავლენიანი ინდური გაზეთის თიმეს ოფ ინდია-ს რეგიონული გამოცემის მთავარი რედაქტორის – არვინდ სინგხი ბიშტის ქალიშვილია. სტუმრების სია არა მხოლოდ პოლიტიკის, არამედ ბიზნესის, სპორტის, კულტურისა და სხვა სფეროს წარმომადგენელ მრავალ ცნობილ ადამიანს მოიცავს.

მდიდრული ქორწილის მომზადებას ნახევარი წელი დასჭირდა. ქორწილი 2 დეკემბერს საფაში დაიწყება და 7 დეკემბერს უტარ-პრადეშის დედაქალაქ ლაკნოუში 1 500 პერსონაზე გათვლილი ბანკეტით დასრულდება.

თავად საქორწინო ცერემონია მესამე დღეს გაიმართება. სწორედ ამ დღეს მოიყრის თავს საფაში 100 000 სტუმარი ინდოეთის ყველა კუთხიდან. საზეიმო ღონისძიებები ქალაქის ქუჩებსა და მოედნებზე გაგრძელდება.

მოამზადა გერა მამულაშვილმა

საქართველოს თვითდასაქმებულთა, ვაჭრობისა და ინდივიდუალური წარმოების სფეროში მომუშავეთა პროფესიული კავშირი ულოცავს

ბატონ ელდარ ანჯულაძეს

დაბადების 60 წლისთავს. უსურვებს ჯანმრთელობასა და ბედნიერებას.

## ლონდონში სტუდენტების საპროტესტო აქციის მონაწილენი დააპატიმრეს

ლონდონის პოლიციამ დააპატიმრა საპროტესტო აქციის მონაწილეები, რომლებმაც უნივერსიტეტებში სწავლების საფასურის ზრდასთან დაკავშირებით გამოსვლის დროს ტრაფალგარის მოედანზე კარვების ქალაქის დაცემა სცადეს.

პოლიციამ ათამდე კარავი დაშალა, კარვებში მყოფი 20 ადამიანი კი განყოფილებაში მიიყვანეს.

ოთხშაბათს ლონდონის ცენტრში გაიმართა სტუდენტების მსვლელობა, რომლებიც უმაღლესი განათლების რეფორმის ფარგლებში სწავლების ღირებულების ზრდის გეგმებთან დაკავშირებით პროტესტს გამოთქვამდნენ.

სტუდენტებმა ლონდონის საქმიან რაიონს, სითის მიაშურეს, სადაც წმინდა პავლეს ტაძრის მოედანთან კაპიტალიზმის წინააღმდეგ მებრძოლთა კარვების ბანაკი იყო გამართული.

Dდედაქალაქის ქუჩებში პოლიციის დამატებითი რაზმები გამოიყვანეს. მხოლოდ ლონდონის სითიში 4 ათასამდე პოლიციელი მორიგეობდა. ზოგიერთი მათგან შეიარაღებული იყო სპეციალური თოფებით, რომლებიც პლასტიკის ტყვიებს ისროდნენ.

გასულ წელს სტუდნეტური გამოსვლები ლონდონში პოლიციასთან შეტაკებაში გადაიზარდა. ამის გამო წლეულს პოლიცია სტუდენტური გამოსვლებისათვის საგანგებოდ მოემზადა.

განათლების ხარჯების შემცირებისა და სწავლების ღირებულების გაზრდის გეგმების წინააღმდეგ მიმართული საპროტესტო კამპანია განათლების სისტემაში საბაზრო ელემენტების შეტანის წნააღმდეგ არის მიმართული.

სტუდენტური გამოსვლების ერთ-ერთი ლიდერის თანახმად, მილიონერებისაგან შემდგარი მთავრობა სწავლების ღირებულების სამჯერ გაზრდას აპირებს.

ლონდონის პოლიციის წარმომადგენლებმა განაცხადეს, რომ პოლიციამ საგანგებო ვითარების შემთხვევაში პლასტიკის ტყვიების გამოყენების უფლებამოსილება მიიღო.

მალეთ სთრითზე მდებარე ლონდონის უნივერსიტეტის შენობასთან ათასობით სტუდენტმა მოიყარა თავი. ისინი სითისაკენ გაემართნენ. Aაქციის მონაწილეებს მიჰქონდათ პლაკატები „ძირს სწავლების გადასახადი“, „უფასო განათლებისათვის“, „გადასახადები მდიდრებისათვის და არა სტუდენტებისათვის“.

პოლიციის წარმომადგენლებმა განაცხადეს, რომ დააპატიმრებდნენ ნებისმიერს, ვინც ხელისუფლების მიერ დადგენილი მარშრუტიდან გადაუხვევდა.

საპროტესტო აქციას მხარს უჭერდა სტუდენტთა ეროვნული კავშირი, რომელიც აქციის ორგანიზატორი არ ყოფილა.

აქციის მონაწილეების განსაკუთრებულ უკმაყოფილებას იწვევს სწავლების ღირებულების წელიწადში 9 ათას გირვანქამდე გაზრდა, რაც ინგლისის უნივერსიტეტებში ძალაში მომავალი წლიდან შევა.

გასულ წელს სტუდენტების უფრო მასშტაბური გამოსვლები სტუდენტებსა და პოლიციელებს შორის გააფთრებულ შეტაკებებში გადაიზარდა. Aაქციის მონაწილენი ამსხვრევდნენ ვიტრინებს, რამდენჯერმე შენობებისათვის ცეცხლის წაკიდება სცადეს. ერთი ეპიზოდის დროს მტრულად განწყობილ ბრბოში პრინცი ჩარლზისა და მისი მეუღლის ავტომობილიც მოხვდა, ვისაც ანგარიშსწორებით დაემუქრნენ.

გ.თ.

## გახასიათებთ თუ არა პრაქტიკულობა

ტესტი



***1. რას ამჯობინებთ მატარებლით შორ მანძილზე მგზავრობის დროს?***

ა. კითხვას. ბ. თანამგზავრთან საუბარს. გ. ძილს.

***2. რა უფრო მნიშვნელოვანია თქვენთვის, ადამანებთან კარგი ურთიერთობა თუ თვითგამოხატვის შესაძლებლობა.***

ა. პირველი. ბ. რაღაც საშუალო გ. მეორე.

***3. შეგიძლიათ თუ არა ადამიანის სახის გამომეტყველებით მიხვდეთ, რას ფიქრობს ადამიანი?***

ა. დიახ. ბ. ზოგ შემთხვევაში. გ არა.

***4. როგორ გგონიათ, არის თუ არა საჭირო ყოველდღიური მოსაწყენი საქმეების ბოლომდე მიყვანა?***

ა. გარემოებებს გააჩნია. ბ. რა საჭიროა? გ. აუცილებლად.

***5. თუ დაიწყებთ იმ იდეის რეალიზებას, რომელიც არარეალურად მიგაჩნიათ?***

ა. არა. ბ. იქნებ გამიმართლოს. გ. დიახ.

***6. სულიერი ფასეულობები გაინტერესებთ თუ მატერიალური.***

ა. საქმიანი ადამიანი ვარ. ბ. მიჭირს პასუხის გაცემა. გ. სულიერი უფრო მნიშვნელოვანია.

***7. რას იტყვით მეგობრებთან ტყუილ ლაყბობაზე?***

ა. მაღიზიანებს. ბ. ხანდახან სასარგებლოა. გ. სავსებით ნორმალურია.

## პასუხები

7-11 ქულა: საქმიანი ადამიანი ხართ, არ გიყვართ ტყუილად დროის კარგვა, თითოეული სიტუაციიდან მაქსიმალური მოგების მიღებას ცდილობთ.

12-16 ქულა: ვერ ვიტყვით რომ რეალობას სავსებით ხართ მოწყვეტილი, საკმაოდ რაციონალურად ირჯებით, თუმცა მატერიალური საწყისი თქვენთვის უმნიშვნელოვანესი არ არის.

17-21 ქულა: თქვენ მეოცნებე ხართ, თქვენი შინაგანი სამყარო გარემო სამყაროზე უფრო მნიშვნელოვნად მიგაჩნიათ.

გ.თ.



## კროსვორდი ბ

შვეულად: 1. მთიანეთი ევროპაში; 2. იოსებ სტალინის ლიტერატურული ფსევდონიმი; 3. საზეიმო წვეულება, დარბაზობა; 5. მწვერვალი კავკასიონზე; 6. ხელოვნურად გაშენებული ტყის მასივი; 8. თანამედროვე ქართველი თეატრალური რეჟისორი; 11. სპირტიანი სასმელებით მოვაჭრე კონდრაბანდისტის სახელწოდება ძველად აშშ-ში; 13. სასიამოვნო სურნელება; 14. კახეთში გავრცელებული შავყურძნოვანი ვაზის ფრანგული ჯიში; 15. სტრიქტურა, მთლიანობა, რომელიც შედგება ერთმანეთთან კანონზომიერად დაკავშირებული ნაწილებისაგან; 19. წყლის დიდი სივრცე, ოკეანის ნაწილი.

თარაზულად: 1. შავყურძნოვანი ვაზის ქართული ჯიში; 4. პოლონური ხალხური ცეკვა; 7. ხეობა კახეთში; 9. პურის ნაჭრების შესაწვავი ელექტროხელსაწყო; 10. ჩამქრალი ვულკანი თრიალეთის ქედზე; 12. ქართული წარმოშობის რუსი კომპოზიტორი, ქიმიკოსი; 16. ქუჩა ლონდონში, სადაც განთავსებულია სამთავრობო დაწესებულებები; 17. ჩეხეთის ისტორიული სახელწოდება; 18. იზოლირებული, ფეშენებელური ბინა, მრავალსართულიანი სახლის ბოლო სართულზე; 20. საკვების ნორმა, ულუფა გარკვეული ვადისთვის; 21. წყალქვეშა კლდე ზღვაში; 22. ენაჩლუნგობა.

შეადგინა თ.გოგინაშვილმა.

## წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

**კროსვორდის პასუხები:**

**თარაზულად:** 6. სტადიონი; 7. ფალავანი; 8. მარანი; 9. ვარია; 10. ფილაქანი; 11. ზურმუხტი; 15. სისხლსავსე; 17. ტაროსი; 19. თითლიბაზი; 21. კანტორა; 22. კინგსტონი; 23. პარადი.

**შვეულად:** 1. ატამანი; 2. პირამიდა; 3. ფლეიტა; 4. ტაბლა; 5. ნისკარტი; 8. მაჭახელა; 12. მინა; 13. მინერალი; 14. ასანთი; 16. სიმინდი; 18. ბერეტი; 20. იარა.

**სკანვორდის პასუხები:**

1. მერაბ; 2. საფარი; 3. ენიო; 4. დო; 5. ბრედ; 6. არ; 7. კვირა; 8. კუ; 9. ეროზია; 10. კაენი; 11. ტურ; 12. კენტი; 13. არია; 14. მაკეტი; 15. კაა; 16. ალტი; 17. ვო; 18. ზავი; 19. აზოტი; 20. ომარ; 21. მაიორი; 22. კიური; 23. ტაიგა; 24. ნევა; 25. ნიორი; 26. მირაბელი; 27. ფირუზი; 28. ნოე; 29. იარდი; 30. ავენიდა; 31. ბზე; 32. კუნელი; 33. ტომ.

**სერათებზე:** დაკოტა ფანინგი; რიკარდუ კარვალიუ.

# ტაილანდში დაღუპულების რაოდენობამ 560-ს მიაღწია

ტაილანდში წყალდიდობის შედეგად დაღუპულთა რაოდენობამ 562 ადამიანს მიაღწია. ორი ადამიანი უგზოუკვლოდ დაკარგულად ითვლება. 76 პროვინციიდან 22 დღემდე დატბორილი რჩება.

ხელისუფლების ცნობით, დატბორვა ემუქრება ბანგკოკის ცენტრალურ ნაწილსაც, სავაჭრო ცენტრს და ფერმერების ბაზარს. სააგენტო ასოშეიტედ პრესის ცნობით, წყალმა დაფარა ბანგკოკის ცენტრალური რკინიგზის სადგურის ლიანდაგი და ბაქანიც კი.



ტაილანდის პრემიერ-მინისტრმა დედაქალაქის მოსახლეობას მიმართა. მისი თქმით, ბანგკოკში მოვარდნილი წყალდიდობა მალე დასრულდება.

მისი განცხადებით, ქვიშის ტომრების ბარიერები უკვე მზადაა, ხოლო სადრენაჟო სისტემა დედაქალაქის ეკონომიკურ და პოლიტიკურ ცენტრს სტიქიას თავიდან აარიდებს.

სტროპიკული შტორმი ნოკ-ტენი ტაილანდის ჩრდილოეთს 5 ივლისს დაატყდა, სტიქიური უბედურება 63 პროვინციას შეეხო, დაზარალდა 11 მილიონზე მეტი ადამიანი, დაახლოებით მილიონმა სამედიცინო დახმარებისთვის მიმართა. თითქმის 250 ათასი ადამიანი უსახლკაროდ დარჩა.

ზოგიერთი მონაცემით, ზარალის ოდენობა 16 მილიარდ დოლარს შეადგენს.

ქვეყნის დედაქალაქ ბანგკოკში კიდევ სამი რაიონიდან ევაკუაციაა გამოცხადებული. სულ მეგაპოლისში მთლიანად თუ ნაწილობრივ 12 რაიონია წყალქვეშ მოყოლილი, ხოლო წყალდიდობის შედეგად დაზარალებულების რაოდენობა 500 ათას ადამიანს უახლოვდება.

ბანგკოკის მერიის მონაცემებით, ქალაქში წყალდიდობის შედეგად დაზარალდა 494893 ადამიანი. სამეფოს დედაქალაქში სულ 12 მილიონი ადამიანი ცხოვრობს.

ქალაქის ზოგიერთი რაიონი წყალმა 20 სანტიმეტრით დაფარა, ხოლო ზოგიერთი ადგილი 2 მეტრითაც. აღსანიშნავია, რომ მეგაპოლისის ჩრდილოეთ რაიონებში წყლის დონე თანდათანობით მცირდება, თუმცა წყალდიდობას გაფართოება ახასიათებს.

ამასობაში, ხელისუფალნი ამტკიცებენ, რომ ქალაქის ისტორიული ცენტრის ჩაძირვის საფრთხე ჯერჯერობით არ არის. მერის თქმით, ცენტრალურ რაიონებში წყალი მხოლოდ იმ შემთხვევაში ამოხეთქავს, თუ 17 წყალსაქაჩიდან ერთდროულად ხუთი არ იმუშავებს.

მეცნიერების და ტექნოლოგიების მინისტრმა პლოდპრასონ სურასვადიმ განაცხადა, რომ ბანგკოკის დასავლეთ რაიონები, ჩრდილოეთიდან მომდინარე წყლებით იქნება დაფარული. პოლიტიკოსმა გააფრთხილა, რომ მთავრობა მზად უნდა იყოს იმისთვის, რომ ამ რაიონში წყალდიდობა ერთი თვის განმავლობაში შენარჩუნდება.

რვაასმა სამთავრობო ავტომობილმა ბანგკოკის დაზარალებულ რაიონებში დახმარების დარიგება დაიწყო.

მთავრობის წარმომადგენლები ადამიანებს სასმელ წყალს, მედიკამენტებს და საკვებ პროდუქტებს ურიგებენ.

ტაილანდის პრემიერ-მინისტრმა განაცხადა, რომ 50-ივე რაიონში საველე მობილური სამზარეულო გაიშლება. მათი ამოცანაა იმ ადამიანების ცხელი საკვებით უზრუნველყოფა, რომლებმაც გადაწყვიტეს, რომ სახლები არ დატოვონ იმ შემთხვევაშიც კი, თუ დატბორვის ზონაში არიან. მათი რაოდენობა 800 ათას ადამიანს შეადგენს.

ტაილანდში შიშობენ, რომ დაზარალებულებს შორის სუიციდის შემთხვევები იფეთქებს.

სპეციალისტების განსაკუთრებულ კონტროლქვეშ არიან ისინი, ვინც წყალდიდობის შედეგად მთელი ქონება დაკარგეს. სპეციალისტებს თვითმკვლელობების ზრდა აშინებთ.

– სუიციდების რისკის ჯგუფში დღეისთვის ათასი ადამიანია, რომელთა ყოველდღიური ცხოვრების წესი წყალდიდობამ სრულიად დაანგრია, – განაცხადა საგანგებო მიგრაციული ცენტრის დირექტორმა ფხანუ იამერსიმ.

მან განმარტა, რომ ტაილანდის ჯანდაცვის სამინისტრომ 114 ათას 815 ადამიანის ფსიქიკური მდგომარეობა შეამოწმა, მათგან 7 ათას 308-ს დეპრესიული მდგომარეობა გამოუვლინდა, 6 ათას 170-მა ექიმებთან აღიარა, რომ დღემდე ძლიერ სტრესს განიცდიან.

სტიქიის შედეგად სულ ქვეყნის 1,3 მილიონი მცხოვრები დაზარალდა, თუმცა ყველას შემოწმება შეუძლებელია, – ამატებს იაემსრი.

ამ კონტექსტში თვალი გადავავლოთ წლევანდელ ყველაზე ხმაურიან სტიქიურ უბედურებებს.

თავიდან, რა თქმა უნდა, იაპონიის უდიდესი ტრაგედიით დავიწყოთ.

იაპონიის მიწისძვრის პირველი ბიძგები იგრძნობოდა 9 და 10 მარტს, რასაც მოყვა 11 მარტის 8.9 მაგნიტუდის სიმძლავრის უდიდესი მიწისძვრა დედაქალაქიდან 400 კმ-ის დაშორებით ოკეანეში.

მიწისძვრამ 10 მეტრის სიმაღლის ტალღები წარმოქმნა.

მორიგი მიწისძვრა იაპონიის ფუკუსიმას პრეფექტურაში, სადაც ორი ატომური ელექტროსადგური მდებარეობს, თბილისის დროით 17:15 საათზე დაფიქსირდა. მთავრობამ ევაკუაციის ზონის 20 კილომეტრამდე გაფართოება „ფუკუსიმა-1“-ზე აფეთქების შესახებ ინფორმაციის გავრცელების შემდეგ გადაწყვიტა.

მანამდე მცირე ხნით ადრე გამოცხადებული იყო ევაკუაცია მხოლოდ 10-კილომეტრიანი ზონიდან. ატომური ელექტროსადგურები ერთმანეთისგან 12 კილომეტრის დაშორებით მდებარეობს.

ცოტა ხნის წინ, 23 ოქტომბერს, თურქეთში 7,3 მაგნიტუდის სიმძლავრის მიწისძვრა მოხდა. მოგვიანებით განმეორებული ბიძგების სიმძლავრემ 6,1 მაგნიტუდა შეადგინა. ამასთან, 4,3 მაგნიტუდის მიწისძვრა თურქეთში მეორე დღესაც განმეორდა.

ვანში ანალოგიური სიმძლავრის მიწისძვრა 1976 წელს მოხდა. სტიქიას მაშინ 3840 ადამიანი ემსხვერპლა.

ქართველი სეისმოლოგების განცხადებით კი, თურქეთში 23 ოქტომბერს მომხდარი მიწისძვრა უფრო ძლიერი იყო, ვიდრე – 1991 წლის რაჭის და 1988 წლის სპიტაკის მიწისძვრები.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ტაილანდის დედაქალაქს წყლით დაფარვა ემუქრება. უცხოური მედიის ინფორმაციით, ბანგკოკის ზოგიერთ რაიონში წყალი ორ მეტრს აღწევს.

ხელისუფლებამ მაშველებს ახალი არხის გაყვანის განკარგულება მისცა, რადგან, წინააღმდეგ შემთხვევაში, არსებობს რისკი, რომ ქალაქი წყლით დაიფაროს.

არსებული ცნობით, წყალმა უკვე დატბორა ჩრდილოეთ ბანგკოკი და მისი შემოგარენი.

ბოლო ნახევარი საუკუნის განმავლობაში ტაილანდში ყველაზე ძლიერი წყალდიდობაა. მან უკვე 500-მდე ადამიანი იმსხვერპლა.

დიდთოვლობა აშშ-ში:

აშშ-ის ჩრდილო-აღმოსავლეთ შტატები მოულოდნელად მოსულმა თოვლმა ელექტროენერგიის გარეშე დატოვა. პენსილვანიის, მერილენდისა და დასავლეთ ვირჯინიის 44 ათასზე მეტ მცხოვრებს ელექტროენერგია არ მიეწოდებოდა.

თოვლმა პრობლემები ტრანსპორტის გადაადგილებასაც შეუქმნა. ფილადელფიის საერთაშორისო აეროპორტში რამდენიმე საათით შეყოვნდა ავიარეისები.

რამდენიმე შტატში თოვლის სიმაღლემ 30 სანტიმეტრს მიაღწია.

## ირანში საბრძოლო მასალების საწყობის აფეთქებას 15 ადამიანი ემსხვერპლა



თეირანის სამხრეთით საბრძოლო მასალების აფეთქების შედეგად შაბათს 15 ადამიანი დაიღუპა, ამის შესახებ „იტარ-ტასი“ სქაი ნიუსზე დაყრდნობით იუწყება.

არხის მონაცემებით, აფეთქება საბრძოლო მასალების დატვირთვისას მოხდა.

მანამდე ირანულმა სააგენტო „მეჰრმა“ ირანის დედაქალაქიდან დასავლეთით, შაჰრიარის რაიონში ორი აფეთქების შესახებ განაცხადა.

შემთხვევის ადგილზე მედიკოსები, მეხანძრეები, მაშველები და კინოლოგები მუშაობენ. სასწრაფო დახმარების მანქანებს დაზარალებულები საავადმყოფოებში გადაჰყავთ.

დასავლური მედია მომხდარ აფეთქებებს ირანში ბირთვულ ცდებს უკავშირებს.

## სანიტარმა ონიშჩენკომ ტაჯიკ მიგრანტებს ინფექციები აღმოუჩინა

ტაჯიკეთთან მოსკოვის ურთიერთობის გაუარესებისთანავე, საქმეში რუსეთის მთავარი სანიტარი გენადი ონიშჩენკო ჩაერთო. პუტინის „მძიმე არტილერიამ“ „ინტერფაქსს“ განუცხადა, რომ ტაჯიკეთიდან შრომითი მიგრაცია შეიძლება სამედიცინო მასაზრებებით აიკრძალოს.

მისი თქმით, ბოლო დროს ბევრი შემთხვევაა, როდესაც ტაჯიკ შრომით მიგრანტებს ინფექციები და ტუბერკულოზი უვლინდებათ.

– მოცემულ შემთხვევაში ბუნებრივი გამოსავალი შეიძლება ამ ქვეყნიდან შრომითი მიგრაციის სრული აკრძალვა იყოს; სანამ ტაჯიკეთში ჯანდაცვის მინიმალური პირობები არ შეიქმნება, – ამბობს ონიშჩენკო.

„როსპოტრებნადზორის“ მონაცემებით, 2010 წელს რუსეთიდან გაძევებული იქნა ტაჯიკეთის 188 მოქალაქე, მათგან 40 – ინფექციური დაავადებებით, 103 ტუბერკულოზით.

## ვარშავის არეულობების შედეგი: დაკავებულია 210 რადიკალი, დაჭრილია 40 პოლიციელი

პოლონურმა პოლიციამ პარასკევს დამოუკიდებლობის დღეზე მასობრივი არეულობისას 210 ადამიანი დააკავა, მათ შორის 92 გერმანიის მოქალაქეა; დაიჭრა 40 პოლიციელი, განადგურებულია 14 პოლიციის საპატრულო მანქანა, – ამის შესახებ მედიას ვარშავის პოლიციის პრესმდივანმა, მაჩეი კარჩინსკიმ განუცხადა.

პოლონეთმა 11 ნოემბერს, 1918 წელს გამოცხადებული დამოუკიდებლობის წლისთავი აღნიშნა.

თარიღთან დაკავშირებით ვარშავაში 23 მასობრივი შეკრების, მიტინგების და მსვლელობების ჩატარება იყო გამოცხადებული.

ყველაზე მრავალრიცხოვანი ტრადიციული დამოუკიდებლობის მარში იყო, რომელიც რადიკალურ-ნაციონალისტურმა გაერთიანებებმა მოაწყვეს. ვარშავის კონსტიტუციის მოედანზე მარშის მონაწილებთან შეტაკებისას პოლიციამ წყლის ჭავლი და ცრემლსადენი გაზი გამოიყენა.

დემონსტრანტები პოლიციელებს ქვებს, ბოთლებს ესროდნენ, თავს ესხმოდნენ, აზიანებდნენ და წვავდნენ ავტომობილებს კონსტიტუციის მოედანზე.



დაიწვა ტელეკომპანია ტვნ24-ის სპეცავტომობილი, რომელიც მოვლენების ეპიცენტრიდან პირდაპირ ტრანსლაციას ახორციელებდა. გაანადგურეს კიდევ ორი ტელეკომპანიის და პოლონური რადიოს სამსახურებრივი მანქანები.

რამდენიმე ჟურნალისტმა და ფოტორეპირტიორმა დაზიანება მიიღო.

დაკავებულებს შორის ე.წ. საფეხბურთო ხულიგნები არიან, რომლებიც ვარშავაში ქვეყნის სხვა ქალაქებიდან ჩამოვიდნენ, ასევე არიან უკიდურესად მემარჯვენე ორგანიზაციების წარმომადგენლები.

– პოლიციამ ყველაზე აგრესიული მანიფესტანტები დააკავა. მოქალაქეები დაკავებულნი არიან 48 საათით, დასაბუთებულ შემთხვევებში – 72 საათამდე, – განაცხადა პოლიციის პრესმდივანმა კარჩინსკიმ.

მთელი გასული ღამის განმავლობაში ვარშავის ხელისუფლებას კონსტიტუციის მოედანი და მარშალკოვსკის ქუჩა წესრიგში მოჰყავდა, დედაქალაქის მერია ზარალს ანგარიშობს.

კონსტიტუციის მოედანზე დარბევების შემდეგ, დამოუკიდებლობის მარშის მონაწილეები რომან დმოვსკის ძეგლამდე მივიდნენ.

სამართალდამცავი ორგანოების მონაცემებით, მანიფესტაციაში დაახლოებით 10 ათასი კაცი მონაწილეობდა.

## კარდიოლოგმა დიდხანს სიცოცხლის 7 წესი დაასახელა



ცნობილმა ამერიკელმა კარდიოლოგმა კლაიდ იანსიმ განაცხადა, რომ თითოეულ ადამიანს დიდხანს სიცოცხლისთვის 90-პროცენტიანი შანსი აქვს. იანსი თვლის, რომ ამისთვის მხოლოდ შვიდი უბრალო პრინციპის დაცვაა საჭირო:

1) აქტიური ცხოვრების წესი. რადგან ფიზიკურად არააქტიური ადამიანები ორჯერ მეტად რისკავენ, რომ გულის ავადმყოფობები და ინსულტი განუვითარდეთ.

2) ქოლესტერინის კონტროლი, რომლის მომატებული დონე გულის ავადმყოფობის და ინსულტის განვითარების რისკს ზრდის.

3) სწორი კვება. ექიმები თვლიან, რომ კარგი განწყობის შენარჩუნებისთვის ადამიანისთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მიიღოს დიდი რაოდენობით ბოჭკოვანები, ახალი ბოსტნეული და ხილი.

4) სისხლის წნევის კონტროლი.

5) ზედმეტ წონასთან ბრძოლა.

6) დიაბეტთან დაკავშირებული საფრთხეების ცოდნა და სისხლში შაქრის კონტროლი.

7) მოწევაზე უარის თქმა.

ამ რჩევების გათვალისწინება სიცოცხლეს ახანგრძლივებს. სამწუხაროდ, მათ ადამიანის გენეტიკის შეცვლა არ შეუძლიათ, რომელიც სიცოცხლის ხანგრძლივობას მთელი 50%-ით განსაზღვრავს.

მოამზადა გერა მამულაშვილმა

## სამგლოვიარო განცხადებები



რძალი რუსუდან ფარფალია, შვილიშვილები ცირა ქეცბაია, ჯუმბერი და გია იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

**ჯუმბერ სარდიონის ძე ქეცბაია**

გამოსვენება: სამშაბათს, 15 ნოემბერს, 14 საათზე, ვაკე-საბურთალოს ველოტრეკის უკან მდებარე წმინდა ნინოს სახელობის ეკლესიიდან.

სამგლოვიარო განცხადებები მიიღება ყოველდღე, კვირის გარდა, 12-დან 17 საათამდე.

## TV პროგრამა

### სამშაბათი 15 ნოემბერი

**06.30** მოამბე (აფხაზურ, ოსურ, სომხურ, აზერბაიჯანულ ენებზე) **07.30** ჩვენი დილა **11.00** სამოთხის ვაშლები **12.00, 16.00, 20.00** მოამბე **12.30** საფეხბურთო მიმოხილვა **13.50** აუდიტორია **15.00** სერიალი **"მეორე შანსი"** **17.00** მედ-ინფო **17.30** დამზადებულია საქართველოში **18.00** პეპე და მეგობრები **19.05** სერიალი **"მეორე შანსი"** **21.00** დოკ. ციკლი "ოკუპაცია" **22.00** დიალოგი დ. პაიჭაძესთან **23.00** ქართული დოკუმენტალისტიკა **23.40** მხ. ფილმი **"ახალი სეზონი"** (12) **01.50** კავკასუს ლაივი **02.50** მხ. ფილმი **"მესამე ტიპის ახლო კონტაქტები"**

**08.00, 00.00** მოამბე (აფხაზურ, ოსურ, სომხურ, აზერბაიჯანულ ენებზე) **09.00, 12.00, 14.45, 17.45, 23.00** ბრიფინგის დროით **10.00, 22.00** თავისუფალი ტრიბუნა **11.00, 16.00** დოკ. ფილმი **14.00** საუკუნის პორტრეტები **17.00** მეხსიერება **19.00** სერიალი **"ელიტარული უბანი"** **20.00** მხ. ფ. **"კვლავ მე და შენ"** **21.30** ევროკავშირი და საქართველო **01.00** მხ. ფილმი **"ბოლო მომენტში"**

**07.30** დილა მშვიდობისა **10.00** სერიალი **"როსალინდა"** **11.00** სერიალი **"კლონი"** **12.00, 15.00, 18.00, 21.00, 04.00** კურიერი **12.30** სხვა ამბები **13.00** ბიზნეს კურიერი **13.30** შუა დღე **15.40** ვანოს შოუ **17.00** სერიალი **"ავრორა"** **18.45** სერიალი **"მიყვარხარ ლოლა"** **19.45** სერ. **"სახლი მეზობლად"** **21.50** ეროვნული ლატარეა **22.00** თქვენი შოუ **23.00** მელომანია **00.00** შუა დღე **01.30** პატრული **02.00** მხ. ფილმი (სუბტ.)

**07.30** იმედის დილა **10.00** სერიალი **"მოპარული ბედნიერება"** **11.00, 14.00, 17.00, 20.00, 01.25** ქრონიკა **11.40** სერ. **"ქალის სიტყვა"** **12.30** დღის შოუ **14.30** ტვ-მარკეტი **14.40** სერ. **"ყავა და ლუდი"** **16.00** სერიალი **"შურისძიების საფასური"** **17.40** სერიალი **"ევა ლუნა"** **19.05** სერიალი **"ბედისწერის ძალა"** **21.00** სერიალი **"დამალული სიმართლე"** **22.00** ნანუკას შოუ **23.30** ბიზნეს ლიდერი **00.30** მხიარულთა და საზრიანთა გუნდების ჩემპიონატი **01.50** მხ. ფილმი **"საქმიანი ქალი"** (12) (მ. გრიფიტი) **04.05** მხ. ფ. **"უკანასკნელი ლეგიონი"** (კ. ფერტი) **06.30** სერიალი **"მარინა"**

**08.00** ანიმაცია "ტომი და ჯერი" **08.55** სერიალი **"ჩემი შეყვარებული"** **10.00** მხ. ფილმი **12.00, 15.15, 17.00** ტვ-მარკეტი **12.15** სერიალი **"ფანტაზიების კუნძული"** **13.00** მზესუმზირა (პირდ.) **15.30** მხ. ფილმი **17.10** სერიალი **"ტყუპები"** **18.00** მხ. ფილმი **20.00** სერიალი **"ლარედოს ქუჩები"** **21.00** სერ. **"გაუხსნელი საქმე"** **22.00** მხ. ფილმი **00.00** მხ. ფილმი

**08.30, 11.30, 14.30, 17.30, 20.30, 22.30, 01.30** "დრო" **09.00, 23.40** სერიალი **"სოფია, ცოტა მადროვე"** **10.30** დოკ. ფილმი **10.40, 16.00** სახლი ბათუმში **11.10, 14.10, 17.10** ინგლისურის გაკვეთილი **11.40, 15.00, 18.00** თურქულის გაკვეთილი **11.50, 21.00** სერიალი **"ორმაგი ცხოვრება"** **12.50, 19.35** სერიალი **"ადვოკატი"** **15.15** სერიალი **"ექიმი ქმორი"** **16.30** დროის ვექტორი **18.15** დოკ. ფილმი **23.00** დოკ. ფილმი **00.30** მხ. ფილმი

**ერთსულოვნება 08.30** განთიადი **10.05, 19.00, 22.00, 00.05** სიახლენი **10.25** დოკ. ფილმი "ნოდარ დუმბაძე" **11.00** საღვთისმეტყველო საუბრები **11.55, 14.55, 17.55, 20.55, 23.55** შვიდგზის ლოცვა **12.00, 15.00** საეკლესიო კალენდარი **12.15** მხ. ფილმი **"ხევისბერი გოჩა"** **13.35** კონცერტი – ზუმბალენდი **15.05** განთიადის სტუმარი **15.25** მხ. ფილმი **"ენი მწვანესახურავების მამულიდან"** 1-ლი ს. **17.15** დოკ. ფილმი "ველური ბუნება" **17.40** მოკ. ფილმი **"ბზიანეთი"** **18.05** ჩვენ ვუკრავთ კლასიკას **18.40** ძველი აღთქმის განმარტებანი **19.25** მხ. ფილმი **"საჰაერო ხიდი"** **21.05** პატრიარქის ქადაგება **21.20** საყმაწვილო ბიბლიური ენციკლოპედია **22.25** მგზავრები წუთისოფლისა **23.00** საღამოს ლოცვა **23.15** დროის ჩანაწერები **00.30** განთიადის სტუმარი **01.00** მხ. ფილმი **"ბოცვერების მესერი"**

პროგრამები იბეჭდება სააგენტო „ინფოზავრის“ ნებართვით

# ახალი თაობა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba


**15 ნოემბერი**

## ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

აშშ დოლარი — 1,6613

ევრო —2,2702

ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 2,7208

რუსული რუბლი — 0,057

**აღმოსავლეთ საქართველო:** ცვალებადი მოღრუბლულობა, თოვლი, ტემპერატურა დღისით — 6–9, ღამით — 2–4

**დასავლეთ საქართველო:** ცვალებადი მოღრუბლულობა, ტემპერატურა, დღისით —14–17, ღამით — 5–8

**სამხრეთ საქართველო:** ცვალებადი მოღრუბლულობა, თოვლი, ტემპერატურა, დღისით — 2–4, ღამით — -3-3




# 7 ნოემბრიდან

„ახალ თაობასთან“ ერთად იყიდება უნიკალური პროექტის „ადამიანები, რომელთაც შეცვალეს მსოფლიო — 100 წიგნი“ მე-14 ტომი

**უნიკალური პროექტი**

# მარკო პოლო




**უკვე გამოცემულია „100 წიგნის“ 11 ტომი. ესენია:**
**1.განდი, 2.ფრანკო, 3.ჩერჩილი — პირველი ნაწილი, 4.ჩერჩილი — მეორე ნაწილი, 5.სერვანტესი, 6.მარკესი, 7.რიშელიე, 8.ნაპოლეონი, 9.ვაჟა-ფშაველა, 10. კეისრები, 11.ათათურქი, 12. კოკო შანელი, 13. ჩარლი ჩაპლინი.**
**გამოსაცემად მზადაა: ბიტლზი, რეიგანი.**

„100 წიგნში" შედის იმ ადამიანთა ბიოგრაფიები, რომელთაც დიდი კვალი დატოვეს მსოფლიო პოლიტიკაში, მეცნიერებასა და კულტურაში.

**გაზეთი და წიგნი ერთად 8 ლარი**

## თარგამაძე ტოპ-გუნდში — „პორტუში“ გადასვლა გადაწყვეტილია



საქართველოს ეროვნული ნაკრების და უკრაინული „ოლექსანდრიას“ გარემარბი დავით თარგამაძე კარიერას პორტუგალიურ გრანდ „პორტუში“ გააგრძელებს.

ეს ინფორმაცია გამოცემა „სპორტ-ექსპრესის“ უკრაინულმა ვერსიამ გაავრცელა, რომლის ინფორმაციით, 22 წლის ქართველი ფეხბურთელი პორტუგალიელებთან წინასწარ კონტრაქტს ნოემბრის ბოლოს გააფორმებს, ხოლო 2012 წლის დასაწყისში, როდესაც ევროპაში ზამთრის სატრანსფერო ფანჯარა გაიხსნება, პორტუგალიურ კლუბში ოფიციალურად გადაბარგდება.

ხსენებული გამოცემის ცნობით, რომ „პორტუს“ სელექციონერები თარგამაძის სანახავ თბილისშიც იყვნენ ჩამოსული და ევრო-2012 შესარჩევ ტურნირში საქართველოს ნაკრების მიერ თბილისში საბერძნეთთან ჩატარებულ შეხვედრას (1:2) დაესწრნენ. შეგახსენებთ, რომ ამ მატჩში ანგარიში სწორედ თარგამაძემ გახსნა, შემდეგ კი, მეორე ტაიმში ტრავმა მიიღო და ამის გამო შეცვალეს.

„პორტუს“ სკაუტებმა გუნდის მთავარ მწვრთნელ ვიტორ პერეირას თარგამაძის მაღალ სისწრაფეზე, ტექნიკაზე, არაორდინალურ დრიბლინგსა და შრომისუნარიანობაზე მიუთითეს.

თავად თარგამაძემ „სპორტ-ექსპრესთან“ საუბარში დაადასტურა, რომ საბერძნეთთან შეხვედრას მის მენეჯერ ანდრეი ბილეიჩუკთან ერთად სამი უცხოური კლუბის წარმომადგენლები ესწრებოდნენ. თუმცა, დაამატა, რომ მის მომავალ კლუბთან დაკავშირებით საბოლოო გადაწყვეტილება ჯერ მიღებული არ არის.

„სპორტ-ექსპრესის“ ცნობით, ქართველმა ფეხბურთელმა, რომელსაც კლუბთან კონტრაქტი 2012 წლის ზაფხულში უმთავრდებოდა, „ოლექსანდრიასთან“ ხელშეკრულება 2013 წლამდე გაახანგრძლივა. მოთამაშის მიერ გადადგმული ნაბიჯი ბილეიჩუკმა ასე ახსნა:

— მან ასეთი ნაბიჯი დიდწილად კლუბის პრეზიდენტის, ნიკოლაი ლავრენკოს პატივისცემის ნიშნად გადადგა, რომელიც ნიჭიერი ფეხბურთელის ბედით ძალიან არის დაინტერესებული. ასევე, ამით ერთგვარი პასუხი გაეცა ორ უკრაინულ კლუბს, რომელთაც ფეხბურთელის გადაბირება არაკეთილსინდისიერ, მტაცებლურ სტილში სურდათ. მათი ქმედებების დამამტკიცებელ საბუთებს უახლოეს პერიოდში გადავცემთ უკრაინის ფეხბურთის ფედერაციის ეთიკისა და სამართლიანი თამაშის კომიტეტს.

გეტყვით იმასაც, რომ თარგამაძით „პორტუს“ გარდა კიდევ ორი რუსული კლუბია დაინტერესებული — მოსკოვის „დინამო“ და ცსკა.

*მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა*

## კაცობრიობის ისტორიაში ყველაზე დიდი ქორწილი ინდოეთში გაიმართება



ინდოეთში, ქალაქ საფაში არა მხოლოდ ინდოეთის, არამედ კაცობრიობის ისტორიაში ყველაზე მასშტაბური ქორწილი გაიმართება.

23 წლის პრატიკ იადავასა და 21 წლის აპარნი ბიშტის ქორწილი პრინც უილიამისა და ქეით მიდლტონის, ასევე პრინც ალბერისა და შარლენ უიტსტოკის ქორწილებს დაჩრდილავს.

წყვილი ამჟამად დიდ ბრიტანეთში სწავლობს.

6-დღიან საქორწინო ცერემონიაში სულ 100 000 ადამიანია მიწვეული.

სასიძო და საპატარძლო ინდოეთის ორი ძალიან ცნობილი ოჯახის წარმომადგენლები არიან. სასიძო სოციალისტური პარტიის ლიდერისა და ინდოეთის ყველაზე მჭიდროდ დასახლებული უტარ-პრადეშის შტატის მთავრობის სამგზის მეთაურის, ასევე ინდოეთის ყოფილი თავდაცვის მინისტრის — მაულაიმ სინგხი იადავას ვაჟია, საპატარ-

გაგრძელება მე-10 გვერდზე

## ასტროპროგნოზი
15 ნოემბრისთვის

**ყველამ გაითვალისწინეთ!**
წარმატებული დღეა

**ვერძი** — არ აყვეთ სხვებს, თავს მიხედეთ. **კურო** — ფულს შოულობთ, ნავაჭრით კმაყოფილი ხართ. **ტყუპები** — გზიდან ფულს და საჩუქარს მიიღებთ, გახარებული ხართ. **კირჩხიბი** — ახალი ცხოვრება გეწყებათ, მოემზადეთ. **ლომი** — სიყვარულში გიმართლებთ, გელით საჩუქარი. **ქალწული** — არ გარისკოთ, დღეს არ ღირს. **სასწორი** — ყველა საქმე გამოგდით, პრობლემები არ გაქვთ. **ღრიანკალი** — არ აჩქარდეთ, მშვიდად იმოქმედეთ. **მშვილდოსანი** — ყური მიუგდეთ ინტუიციას, ის არ გიღალატებთ. **თხის რქა** — მშვენიერი დღეა, დაჯილდოვდებით. **მერწყული** — მოემზადეთ სიახლისთვის, შეიძლება საქმის გადადებაც მოგიწიოთ. **თევზები** — იმიჯზე ზრუნვა სწორედ რომ დროულია, წარმატება ახლოს არის.

**გისურვებთ ბედნიერ დღეს!**

## იუმორი



***

ცოლ-ქმარი სტუმრად აპირებს წასვლას. ცოლი სარკესთან იღებება და მერე ქმარს ეკითხება:

— ფოტომოდელს ვგავარ?

— უფრო ფოტორობოტს ჰგავხარ...

***

— გარეგნობას ბევრი უჩივის, ჭკუას — არავინ...

***

— ძალიან მორცხვი ვარ და გოგოსთან მისვლა მერიდება.

— შენც დალიე და მიხოხდი...

***

ორი მეზობელი საუბრობს.

— ვთქვათ ორი 'მერსედესი'' მოგცა ვინმემ, უკანასკნელი მოდელის. ერთს ხომ მომცემ?

— რას მეკითხები. ლამდენი ხანია ერთმანეთს ვიცნობთ? თხუთმეტი წელია არა? რა თქმა უნდა, ორი ერთნაირი მერსედესი რომ მქონოდა, ერთს აუცილებლად მოგცემდი.

— ორი ერთნაირი იახტა რომ გქონოდა?

— რა სისულელეებს მეკითხები. ლამის ძმებივით ვართ. ქორწილში ჩემი მეჯვარე იყავი. Ორი იახტა რომ მქონოდა. ერთს აუცილებლად შენ მოგცემდი.

ცოტა ხნის შემდეგ

— წარმოიდგინე, რომ ორი ქათამი გყავს...

— აბა, აბა, ასე არ შეიძლება. შენ იცოდი, რომ ორი ქათამი მყავს...

**გ.თ**

## კროსვორდი ა



**შვეულად:** 1. ცხენების შემსწავლელი მეცნიერება; 2. თაღლითის ძველი ქართული სახელწოდება; 3. ლუდის მწარმოებელი ირლანდიური ფირმა; 4. სიგრძის საზომი ერთეული საფრანგეთში; 5. მონარქიული სახელმწიფო კუნძულ კალიმანტანზე; 11. ხევისბერი ფშავ-ხევსურეთში; 12. დიდი დასახლებული პუნქტი; 14. იაპონური ბრინჯის არაყი; 16. ძვირფასი სარეწაო თევზი; 17. მდინარე ამსტერდამში; 19. ამერიკული ავია-კოსმოსური კონცერნი; 21. მუშაობის, ენერგიის საზომი ერთეული ფიზიკაში; 22. უნგრული ღვინო.

**თარაზულად:** 6. მეშახტეთა შორის გავრცელებული ფილტვების სპეციფიკური დაავადება; 7. სწრაფმავალი, მოტორიანი სპორტული ნავი; 8. აღმოსავლური ხის ჩასაბერი მუსიკალური საკრავი; 9. მთათა სახელწოდება შუა-აზიაში; 10. გარკვეული ვადითა და პირობით გაცემული თანხა; 13. გემების სადგომი ნავსადგურში; 15. გერმანიაში გამოყვანილი სამომსახურეო ჯიშის ძაღლი; 18. სამონასტრო კომპლექსი ქსნის ხეობაში; 20. ღვინის ჩამომსხმელის, მერიქიფის ძველებური სახელწოდება; 21. წყლით სამკურნალო აბაზანა; 23. ჯარების განლაგება; 24. კაფე, სასაუზმე გერმანიაში.

*შეადგინა: თ კოპალეიშვილმა.*

ჩვენს საყვარელ

**ზურა ბერიძეს**

ვულოცავთ დაბადების დღეს!
ვუსურვებთ ჯანმრთელობას,
ბედნიერებას, წარმატებებს
ოჯახთან ერთად. ღვთის
წყალობა არ მოჰკლებოდეს!

*„ახალი თაობა“*

